ისტორიის სწავლების 100+ იდეა

ჯულია მერფი

100+IDEAS
FOR TEACHIN HISTORY

Julia Murphy

მთარგმნელი: მალხაზ გაგუა
რედაქტორი: მარინე კვესელავა
წიგნი ითარგმნა საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტისთვის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) შუამდგომლობით იაპონიის მთავრობის მიერ ტექნიკური დახმარების პროგრამის ეგიდით რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (მსოფლიო ბანკის) მიერ გამოყოფილი გრანტის (PHRD Grant No. TF057515)სახსრებით.
წიგნი გამოსაცემად მომზადდა გამომცემლობა „დიოგენეში“.

©სსიპ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2010
წიგნის გამოყენება კომერციული მიზნებისთვის აკრძალულია.

© Julia Murphy, 2007
ყველა უფლება დაცულია
წინამდებარე თარგმანი გამოცემულია საგამომცემლო ჯგუფ "Continuum"-თან შეთანხმებით

შესავალი

როგორ გავალვივოთ ინტერესი ისტორიისადმი

1 რატომ უნდა ვისწავლოთ ისტორია? 4
2 ისტორიის სწავლის აუცილებლობის სხვა მიზეზები 5
3 მოსწავლეთა ნაშრომების ჩვენება 6
4 საკლასო თვალსაჩინოებებთან დაკავშირებული სხვა იდეები 7
5 ეს დღე ისტორიაში 8
6 საგაზეთო ამონარიდები 9
7 ისტორიულ პერსონაჟებთან დაკავშირებული გამოწვევები 10
8 საკლასო მუზეუმი 11

აქტივობები გაკვეთილის დასაწყისში

9 ზოგადი საკითხები 14
10 წარსულის ქრონოლოგიურად დალაგება 15
11 ძირითადი ტერმინების ბინგოს ლექსიკონი 16
12 ბინგოს ლექსიკონი თარიღებით 17
13 ვერბალური წრეები 18
14 გამოცანები 19
15 მოემზადეთ დისკუსიისთვის 20
16 ვიზუალური გამოცანები 21
17 კარგი, ცუდი და „ბოროტი“ 22
18 „რისკი და განსაცდელი“ 23
19 ნასწავლის გამეორებისა და განმტკიცების სავარჯიშოები 24
20 ახალი თემის დაწყება 26

ქრონოლოგიის გაგება

21 დროითი ჩარჩოების შექმნა 28
22 დროითი ჩარჩოების შექმნა 29

23 ტერმინოლოგია 30
24 გენეალოგიური ხეები 31
25 გენეალოგიური ხეები 32
26 ცვლილებების გაგება 33

წერითი სავარჯიშოები 35

27 ზოგადი საკითხები 36
28 ზოგადი საკითხები 37
29 „წერილები“ 38
30 „საფოსტო გარათები“ — როგორ შევარჩიოთ სურათები და დავწეროთ ტექსტი 39
31 „ისტორიული წიგნები“ უმცროსკლასელებისთვის 40
32 სახელმძღვანელოს გვერდის შექმნა 41
33 ფურცელზე ვებ-საიტის გვერდის აწყობა 42
34 პური ჩვენი არსებისა: რეცეპტები და მენიუ 43
35 უძრავი ქონების ამბები: როგორ დავწეროთ განცხადება 44
36 გაზეთის მთავარი გვერდი 45
37 ნარკვევების წერის საწყისები 46
38 ნარკვევების წერის საწყისები 47
39 რაპორტები 48
40 დამატებითი სამუშაო 49

თეატრალური აქტივობები

41 ზოგადი საკითხები 52
42 შემზადება 53
43 შემზადება 54
44 „ბრიფინგი“ 55
45 პიესების წერა 56

46 „თოქშოუ“ 57
47 როგორ ავიცილოთ თავიდან აყალმაყალი 58
48 ახალი ამგეები რადიოთი 59
49 რიტორიკული დეგატები 60
50 ცოცხალი სცენები 61
51 როგორ უზრუნველვყოთ კლასის სრული ჩართულობა 62

საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება 63

52 ზოგადი საკითხები 64
53 სიდი-რომები 65
54 ვიდეოსა და დივიდის გამოყენება 66
55 დასაკაბადონებელი და უორდპროსესინგის პროგრამების გამოყენება 67
56 ახალი უნარების სწავლება 68
57 სფრედშითები და აღწერის მონაცემები 69
58 როგორ ვიპოვოთ სასარგებლო ვებ-საიტები 70
59 საკლასო ოთახში გამოსაყენებელი ვებ-საიტების შერჩევა 71
60 როგორ გამოვიყენოთ ვებ-საიტები გაკვეთილზე 72
61 ონლაინმუზეუმები 73
62 როგორ გამოვიყენოთ ფაუერპოინტი 74
63 როგორ გამოვიყენოთ ფაუერპოინტი 75

პირველადი წყაროების გამოყენება

64 არტეფაქტები 78
65 სხვა პირველადი წყაროები 79
66 ისტორიული კოსტიუმების მორგება 80
67 როგორ ამოვავსოთ „შავი ლაქები“ 81
68 ისტორიული მუსიკა და ლიტერატურა 82

69 მიკერძოებულობის ახსნა ანალოგიების გამოყენებით 83
70 მიკერძოებულობის ახსნა ისტორიული მაგალითებით 84
71 პროპაგანდის ახსნა 85
72 სატირა 86

ნაწილი როგორ გავხდეთ კრეატიულები

73 ზოგადი საკითხები 88
74 თემატური ლონისძიებები 89
75 ბანქოს თამაში 1: რიგითობის სავარჯიშოები 90
76 ბანქოს თამაში 2: მიზეზების დალაგება 91
77 უცხო სიტყვების დამახსოვრება 92
78 როგორ „დავაძველოთ“ „დოკუმენტები“ 93
79 მოდელების კეთება 94
80 კალენდარი 95
81 ხელოვნება და ისტორია 96
82 ხელოვნება და ისტორია 2 97

ინტელექტუალური სავარჯიშოები

83 ინტელექტუალური უნარების კლასიფიკაცია 100
84 მოგზაურობა დროში 101
85 არასწორი სურათი 103
86 შეწყვილება 104
87 გამოძიება „დანაშაულის“ ადგილზე 105
88 სატელევიზიო შოუ 106
89 „მაღალი კოზირი“ 107
90 საკლასო ოთახი – ბრძოლის ველი 108
91 ვისწავლოთ სწორი კითხვების დასმა 109
92 ცოცხალი თარიღები 111

ისტორიული თამაშები

93 არქეოლოგია და ნაგვის ურნები 114
94 ნაგვის ურნები გასაანალიზებლად 115
95 სამაგიდო თამაშები 116
96 გამოცანები 117

ექსკურსიები და ვიზიტორები

97 ადგილობრივი ისტორიის ძიებაში 120
98 ადგილობრივი ისტორიის ძიებაში 2 121
99 როგორ დავგეგმოთ ექსკურსია 122
100 ვიზიტორები 123

არქეოლოგია

101 რატომ არქეოლოგია? 126
102 არქეოლოგიის ახალგაზრდული კლუბი 127
103 ონლაინრესურსები არქეოლოგიაზე 128
104 არქეოლოგიური რესურსები საკლასო ოთახისთვის 130
105 რითი განსხვავდება არქეოლოგია ისტორიისგან 131
106 თუ გათხრების სურვილი არ გასვენებთ 132

აქტივობები გაკვეთილის ბოლოს და საშინაო დავალება

107 ზოგადი საკითხები 134
108 გამოკითხვა 135
109 წერილობითი დავალებები 136
110 კვლევითი დავალებები 137

როგორ უზრუნველვყოთ მოსწავლეების სათანადო პროგრესი

111 რას სწავლობენ უმცროს კლასებში 141
112 რას სწავლობენ უფროს კლასებში 142
113 ორგანიზაციები და საკონტაქტო ინფორმაცია 144

ისტორიული ფულის „ღირებულება“

114 ფულთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები 148
115 მონეტები: უმცროსი კლასებისთვის 149
116 მონეტები: საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამა 151
117 სტანდარტიზაციამდე და მას შემდეგ 153

სასარგებლო ცნობები

118 ბრიტანეთის მონარქია: ვინ ვინ იყო 156
119 ეროვნული სასწავლო გეგმის დონეების მოკლე მიმოხილვა 160
120 სიცოცხლის ღირებულება 161

ამ წიგნში იდეები არა თემატურად, არამედ შესაბამისი უნარების მიხედვით არის დალაგებული. ამის მარტივი მიზეზი არსებობს: ბევრი სხვა მეცნიერებისგან, მაგალითად, მათემატიკისგან განსხვავებით, ისტორია მარტო ცოდნის დაგროვებაზე არ არის დამყარებული. ვთქვათ, ტიუდორების ეპოქის ბრიტანეთის ისტორიის შესასწავლად სულაც არ გჭირდებათ ძველი ეგვიპტელების მიერ მიცვალებულთა მუმიფიკაციისა და დამარხვის თავისებურებების ცოდნა. ისტორიის მრავალნაირი სასწავლო გეგმა არსებობს და თითოეულ მათგანში განსხვავებულ თემებზე მახვილდება ყურადღება.

ამ წიგნში ბევრ ისეთ მაგალითს შეხვდებით (პირველი კლასიდან მე-9 კლასამდე პროგრამიდან), რომლებიც საკლასო ოთახში კონკრეტული თემების შემოტანაში დაგეხმარებათ. ამავე დროს, აქ წარმოდგენილ ბევრ იდეას უნივერსალური ბუნება აქვს და შეგიძლიათ ნებისმიერი თემის სწავლებისას გამოიყენოთ.

ითვლება, რომ ამგვარი სასწავლო მეთოდების გამოყენება ბავშვებს განათლების უფრო მაღალი საფეხურებისთვის მომზადებაში ეხმარება, ამიტომაც ის მოსწავლეები, რომლებიც დაწყებით კლასებში მოდელების კეთებას, პორტრეტების ხატვასა და სხვა კრეატიულ სავარჯიშოებს არიან შეჩვეულნი, არ იბნევიან ხოლმე, როცა უფროს კლასებში სტრუქტურირებული წერითი დავალების შესრულებას მოსთხოვენ და თანაც ყოველგვარი მითითების გარეშე.

ეს მეთოდები ბავშვებს ბევრ ისეთ უნარს უვითარებს, რომლებიც სხვა საგნებშიც გამოადგებათ, მაგალითად, ნარკვევების წერის უნარს. თუ დაწყებით კლასებში მოსწავლეებს წერით დავალებებს მისცემთ და მასალის ზოგადი სტრუქტურული ჩარჩოებით მოამარაგებთ, შემდეგ კი ამ ჩარჩოების კომპონენტებს თანდათანობით მოაცილებთ, შედეგად იღებთ მოწაფეს, რომელსაც სტრუქტურირებული ესეს დაწერა სრულიად დამოუკიდებლად შეუძლია.

იმედი მაქვს, რომ აქ მოყვანილი ბევრი იდეა პრაქტიკაში რეალურად გამოგადგებათ. შეგიძლიათ ბევრი მათგანი თქვენს სპეციფიკურ საჭიროებებსა და მოთხოვნებს მოარგოთ. არ ვამტკიცებ, რომ ყველა ეს იდეა ჩემი მოფიქრებულია — ბევრი მათგანი უკვე დიდი ხანია რაც შემოწმებული და ბრიტანულ სკოლებში დამკვიდრებულია; ამიტომ ცხადია, ჩემი ამჟამინდელი და წარსული კოლეგებისგან დიდად დავალებული ვარ.

ეს წიგნი არაპროფესიონალ პედაგოგებსა და ახალბედა მასწავლებლებს სასწავლო ტექნიკებითა და გაკვეთილების ჩატარებასთან დაკავშირებული ბევრი სასარგებლო იდეით მოამარაგებს, რომლებიც ერთ პატარა, მოსახერხებელ სახელმძღვანელოში იქნება თავმოყრილი.

ნაწილი

1

როგორ გავაღვივოთ ინტერესი ისტორიისადმი

საერთოდ, რატომ სწავლობენ ადამიანები ისტორიას? სასწავლო იდეებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო არ არის შესაფერისი ფორმატი, რათა ისეთ საკითხებზე მსჯელობა დავიწყოთ, რომლებიც მეცნიერებს მრავალი ათწლეულია აწუხებთ და რომელთაც აკადემიური იდეებით განმსჭვალული მრავალი სქელტანიანი ნაშრომი მიეძღვნა. მაგრამ, ამასთანავე, ამ კითხვას აუცილებლად დაგისვამენ მოსწავლეები, რომლებსაც ჯერ კარგად არა აქვთ გაცნობიერებული, რა კავშირები არსებობს სასწავლო საგნებსა და მათ პირად ცხოვრებას შორის. ამ კითხვასთან „გამკლავების“ საუკეთესო საშუალება მისი წინასწარ განჭვრეტაა, რაც თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ საკლასო ოთახში ისეთი თვალსაჩინოებები გექნებათ, რომლებიც ისტორიის შესწავლის აუცილებლობას გაუსვამს ხაზს.

რა თქმა უნდა, ქვემოთ შემოთავაზებული ორიოდე მოსაზრება აკადემიური ბჭობის ნაწილი არ არის, თუმცა, როცა მოსწავლეების კითხვებზე პასუხის გაცემა მოგიწევთ, შეგიძლიათ საკმაოდ ეფექტიანად გამოიყენოთ.

1. თქვენ იმის შესწავლას იწყებთ, თუ რა ხდებოდა წარსულში. ოდესმე გაგჩენიათ სურვილი, გაგეგოთ, როგორი ცხოვრება იყო კომპიუტერების გამოგონებამდე? რა ხნისაა თქვენი სახლი? რა ხდებოდა მანამ, სანამ სავალდებულო სწავლებას შემოიღებდნენ? რატომ შემოიღეს კანონი, რომელიც სკოლაში სიარულს გავალდებულებთ? წარსულში რომ ცხოვრობდეთ, ახლა რისი კეთებით იქნებოდით გართულები? რატომ ვზეიმობთ ხოლმე ჭიაკოკონობასა და დედის დღეს? რატომ არის ჩვენ ქვეყანაში ამდენი ციხესიმაგრე, უზარმაზარი ქვებისგან შემდგარი კონსტრუქციები და ადამიანის ხელით შექმნილი ყორღანები? ან თუნდაც ის, თუ რატომ ტარდება საფეხბურთო თამაშები მაინცდამაინც შაბათს ნაშუადღევს ხოლმე?

   თუ მოსწავლეებს ამ კითხვებს დაუსვამთ, უმალ გაუცოცხლებთ წარმოსახვას. უკეთესი იქნება, თუ შეკითხვებში ახლომდებარე შენობებს, პარკებსა და ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს გამოიყენებთ.

2. ეს ფიქრისა და აზროვნების სწავლის საშუალებას გაძლევთ. შეგიძლიათ კითხვების დასმა და დასკვნების გასაკეთებლად არგუმენტების, ლოგიკის მოშველიება. შეგიძლიათ ესა თუ ის ამბავი სხვადასხვა კონტექსტში აწონ-დაწონოთ. თქვენ იწყებთ იმის გაგებას, რა ხდება, როცა ადამიანები იღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ასეულობითა და ათასობით სხვა ადამიანის ბედ-იღბალს განაპირობებს, და იმაზე მსჯელობთ, სწორი იყო თუ არა ესა თუ ის კონკრეტული გადაწყვეტილება.

წინა იდეაში შემოგთავაზეთ ორიოდე პასუხი კითხვაზე „რატომ უნდა ვისწავლოთ ისტორია?“ ახლა მოვიყვან კიდევ სამ პასუხს, რომლებიც მოსწავლეებს ისტორიის სწავლის აუცილებლობაში კიდევ უფრო მეტად დაარწმუნებს. ეს შეგიძლიათ საკლასო თვალსაჩინოებების საფუძვლადაც გამოიყენოთ. წაახალისეთ მოსწავლეები ახალ-ახალი მაგალითებით გაამდიდრონ საკლასო ღირსშესანიშნაობების კოლექცია. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს საფოსტო ბარათი, სადაც გამოსახული იქნება ის ციხესიმაგრე, რომელიც დაათვალიერეს, ან თუნდაც რეკლამა, რომელსაც ამა თუ იმ ჟურნალიდან ამოჭრიან. და კიდევ ერთხელ: რატომ სწავლობენ ადამიანები ისტორიას?

1. ეს დაგეხმარებათ იმ მოვლენების შეცნობაში, რომლებიც აწმყოში ვითარდება. მაგალითად, იმის გაგებაში, ერთი ქვეყანა რატომ მეგობრობს მეორესთან, მესამესთან კი ომის მდგომარეობაშია.
2. თქვენ უნდა გაივარჯიშოთ ის უნარები, რომლებიც სხვა საგნების სწავლაში დაგეხმარებათ; მაგალითად, დეტალური პასუხებისა და ესეების წერაში, სათანადო არგუმენტების მოყვანასა და ნაშრომის დაწერისას სხვადასხვა წყაროს გამოყენებაში. ეს უნარ-ჩვევები გამოგადგებათ გაზეთების კითხვისა და ტელევიზორით ახალი ამბების ყურებისას, რადგან გაითავისებთ, რომ ყოველ ისტორიულ ფაქტს არა ერთი, არამედ რამდენიმე ასპექტი აქვს.
3. თქვენ უფრო ინფორმირებული ადამიანი გახდებით. დაიწყებთ იმ ისტორიული ცნობების გათავისებას, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებათ ხოლმე, დაწყებული ჰოლივუდის ბლოკბასტერებით, სატელევიზიო რეკლამებით გაგრძელებული და „სიმფსონების“ მულტსერიალით დასრულებული. ამავე დროს, დიდია იმის ალბათობა, ისტორიის შესახებ იმაზე მეტ ცნობას ფლობდეთ, ვიდრე აცნობიერებთ — ალბათ, კარგად იცნობთ კომპიუტერულ თამაშს „იმპერიების ხანა“ ან ნამყოფი ხართ შუა საუკუნეების რომელიმე ციხე-სიმაგრეში სასკოლო არდადეგების დროს. სკოლაში ისტორიის შესწავლა დაგეხმარებათ მეტი რამ გაიგოთ იმ ისტორიული მოვლენების შესახებ, რომლებიც თქვენ გარშემო ამჟამადაც ვითარდება.

როგორც მასწავლებელს, ალბათ, კიდევ მოგეძევებათ თითო-ოროლა სხვა პასუხიც, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეებისთვის ამ კუთხით ინტერესის კიდევ უფრო გაღვივებას შეძლებთ. განსაკუთრებით იმ საკითხების ირგვლივ, რომელთაც კონკრეტულად აღებულ მომენტში ასწავლით. აუცილებლად დარწმუნდით, რომ ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემა შეგიძლიათ!

საკლასო ოთახში გამოკრული თვალსაჩინოებები შესაძლოა მასწავლებლის პასუხისმგებლობის სფეროს სცდებოდეს. მიუხედავად ამისა, ყოველთვის უნდა ეცადოთ, კლასში სასიამოვნო და სასწავლო თემის შესაფერისი ატმოსფერო შექმნათ. თვალსაჩინოებად შეგიძლიათ უამრავი რამ გამოიყენოთ და რასაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, ეს მხოლოდ ამის მცირე ნაწილია.

მაგალითად, დაასწარით კითხვას, თუ „რატომ უნდა ვისწავლოთ ისტორია“, და კედლებზე შესაბამისი ცნობილი გამონათქვამები გამოაკრათ, იმის მსგავსი, წინა ნაწილებში რომ შემოგთავაზეთ.

ყოველი ნახევარი სემესტრისთვის რაიმე ერთი კონკრეტული თემა შეარჩიეთ. თუ დაწყებით კლასებში ასწავლით, ეს შეიძლება იმ თემას უკავშირდებოდეს, რომელსაც ამჟამად გადიხართ. თუ საშუალო სკოლაში ბევრ სხვადასხვა კლასში ერთდროულად ასწავლით, შეგიძლიათ თქვენი თვალსაჩინოებების როტაცია განახორციელოთ კლასებს შორის. ასეთი რაღაცები ხშირად იპყრობს ბავშვების წარმოსახვას. მაგალითად, ისეთი პოსტერები, რომლებიც მომავალ წელს ან მომავალ სემესტრში სასწავლო პროგრამით დაგეგმილ თემას უკავშირდება, მოსწავლეს ინტერესს წინასწარ უღვივებს. ამავე დროს, იგივე პლაკატები უფროსკლასელებში ნოსტალგიის გრძნობებს აღძრავს ხოლმე. ისინი ცოცხლად წარმოიდგენენ იმ პერიოდს, როცა ამა თუ იმ ციხესიმაგრისა თუ შავი ჭირის შესახებ თემებს გადიოდნენ.

თვალსაჩინოებად თავად მოსწავლეების მიერ შექმნილი ცოცხალი და მიმზიდველი გამოსახულებებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. მაგალითად, საშინაო დავალებები ან საკონტროლო ნაშრომები, პლაკატები და ნახატები, სხვადასხვა სახის გამოსახულებები, რომლებიც მათ სახელმძღვანელოებშია მოცემული, ასევე ვებ-საიტების მისამართები და წიგნების სათაურები მათთვის, ვისაც მეტის გაგება სწადია.

თუ კლასთან ერთად ამა თუ იმ ისტორიული ადგილის მონახულებას აპირებთ, აუცილებლად თან წაიღეთ ციფრული ფოტოაპარატი. მისი საშუალებით ექსკურსიის ფოტოარქივს შეადგენთ და უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ბავშვს ძალიან უხარია, როცა საკლასო ოთახის კედლებზე გაკრულ თავის ან თანაკლასელების ფოტოებს ხედავს. ამას დაუმატეთ ბროშურები და ექსკურსიის ანგარიში. პიროვნული ასპექტების წარმოჩინება გარკვეულ ინტერესს სხვა კლასების მოსწავლეებშიც აღძრავს.

ამას გარდა, კონკრეტულ სეზონთან დაკავშირებული პატარა გამოფენაც შეიძლება მოაწყოთ. როდის არის „დენთის შეთქმულების“ ასახსნელად საუკეთესო დრო, თუ არა ნოემბრის თვე?! ჰელოუინის დღეებში კი შეგიძლიათ მეცნიერება და ცრურწმენები აირჩიოთ თემად. ამის შემდეგ ახსნით, რატომ მოიხსენიებენ 11 ნოემბერს „ყაყაჩოების დღედ“. შობის დღეებში კი მოწაფეებს განუმარტავთ, როგორ აღნიშნავდნენ ამ დღესასწაულს სხვადასხვა ეპოქაში, ან ყურადღებას გაამახვილებთ ტიუდორებისა და რესტავრაციის პერიოდებზე. ძალიან სასარგებლო იქნება, თუ პარალელებს სხვა კულტურებთანაც გაავლებთ, მაგალითად, თუ აცტეკების ან ძველი ეგვიპტელების მსგავს დღესასწაულებს შეადარებთ.

ეს ძალიან კარგი მეთოდია ბავშვებისთვის ქრონოლოგიის ასახსნელად. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მესამე ნაწილში („ქრონოლოგიის გაგება“) იქნება ლაპარაკი.

უფროსკლასელებისთვის, რომლებიც უკვე თავიანთ პროფესიულ არჩევანზე ფიქრობენ, შეგიძლიათ მოამზადოთ იმ ცნობილი ადამიანების სია, ვისაც ისტორიკოსის დიპლომი ჰქონდა. შეაგროვეთ მათი ციტატები, სადაც ცნობილი ადამიანები ისტორიის შესახებ საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამენ, ხსნიან, რა მოსწონთ, კონკრეტულად რა იზიდავთ ამ საგანში. როგორც კი დაიწყებთ ძიებას, საჭირო თემას უმალ იპოვით!

ეს ძალიან ეფექტიანი საშუალებაა, რათა მოსწავლეებს ცვალებადობისა და განგრძობითობის პრინციპები რეგულარულ საწყისზე შეასწავლოთ, ასევე იმისთვის, რათა მათში ინფორმაციის მოძიების წყურვილი გააღვივოთ. გარდა ამისა, ბავშვებს ეს იმასაც ასწავლის, რომ ისტორია უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ ის საკითხები, რომელთაც პროგრამით გადიან. ძალიან სასარგებლოა, თუ ამ ნუსხაში თითოეული მოწაფის დაბადების დღესაც შევიტანთ.

ამის გასაკეთებლად საკმარისია ერთი პატარა ადგილი საკლასო ოთახში, სადაც მუდმივად იქნება დაფა წარწერით „ეს დღე ისტორიაში“. თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ მოსწავლეს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ინფორმაციის მოძიება დაავალოთ ან შეიძინოთ რომელიმე იაფფასიანი წიგნი ან კალენდარი, სადაც ასეთი სახის ინფორმაცია მრავლადაა. ამასთანავე, უამრავი ვებ-საიტია, სადაც ანალოგიურ მონაცემებს იპოვით, მაგალითად, BBჩ-ის ისტორიის განყოფილება.

ესა თუ ის მოვლენა შეგიძლიათ უბრალოდ ცნობისმოყვარეობის გრძნობის დასაკმაყოფილებლად ჩამოწეროთ ან მათ გარშემო თემატური დისკუსიები გამართოთ: რა გავლენას ახდენს რომელიმე კონკრეტული მოვლენა თანამედროვეობაზე? ან ახდენს თუ არა საერთოდ? თუ ქრონოლოგიის აღქმასთან დაკავშირებით მოსწავლეების უნარების შემოწმებას გადაწყვეტთ, დაავალეთ მოვლენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგება ან, უბრალოდ, გაარკვიონ ესა თუ ის მოვლენა კონკრეტულ თარიღს წინ უსწრებდა თუ არა.

ეს კიდევ ერთი საშუალებაა, რათა მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ ისტორია უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელსაც საკლასო ოთახში და სასკოლო სახელმძღვანელოებიდან იღებენ, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად საგაზეთო სტატიები სწორედ იმ თემებს ეძღვნება, რომელთაც სკოლაში სწავლობთ, ისეთებს, როგორებიცაა, ვთქვათ, ხსოვნის დღე ან ძველი ეგვიპტური სამარხის აღმოჩენა. გაზეთებში ისტორიული სტატიების ძიება ბავშვებს იმასაც მკაფიოდ დაანახვებს, რაოდენ დიდი მოცულობის ისტორიული ინფორმაციაა თავმოყრილი მათ ირგვლივ.

ადგილობრივ გაზეთებში ხშირია ხოლმე ინფორმაცია ახალ-ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ, აქვე მრავლად შეხვდებით ამა თუ იმ რაიონის ისტორიის ამსახველ ფოტოებს. ბევრ ადგილობრივ გაზეთს აქვს რუბრიკები, სადაც 50 ან 100 წლის წინანდელი სათაურებია თავმოყრილი. გარდა ამისა, ამ რებრიკებისთვის ადგილობრივი მოსახლეობა მრავლად აგზავნის საკუჭნაოებში ნაპოვნ ძველთაძველ ფოტოებს, რათა გარკვეული ინფორმაციები მოიპოვონ, ვთქვათ, ბებია-ბაბუის ფოტოზე გამოსახული ადამიანების შესახებ. ასეთი ფოტოსურათები ნამდვილი ოქროს საბადოა ადგილობრივი ისტორიის გასაცოცხლებლად, განსაკუთრებით მაშინ,თუ ისეთ მიდამოებში ასწავლით, რომელიც თქვენთვის უცხოა.

ცენტრალურ გაზეთებს თავიანთი პლუსები აქვთ. ზოგიერთ დიდ ყოველდღიურ გამოცემას სპეციალური კორესპონდენტები ჰყავს, რომლებიც ექსკლუზურად არქეოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებს აშუქებენ. ამის საპირწონედ, ტაბლოიდები მხოლოდ იმაში თუ გამოგადგებათ, რომ საკითხში ცოტათი მეტი იუმორი შემოიტანოს. ახლახან ძალიან მომეწონა ერთი ტაბლოიდი, სადაც იყო სტატია ეგვიპტურ მუმიაზე სათაურით: *„მეფე, რომელსაც რეპერივით დიდი სამკაულები უკეთია“*. სხვათა შორის ამ სტატიამ ბავშვებში ცოცხალი ინტერესი გამოიწვია. გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი ტაბლოიდის მხატვარი, რომელმაც ნიუკასლთან აღმოჩენილი პრეისტორიული დასახლების რეკონსტრუირება მოახდინა და იმდენი მოახერხა, რომ ქვის ხანის ადამიანებს ჩააცვა ტუნიკები, რომლების ფერები „ნიუკასლ იუნაითედის“ ფეხბურთელების მაისურებისას ზუსტად ემთხვეოდა. ასეთი რაღაცები საკმაოდ ნაყოფიერი დისკუსიებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ!

ეს ფაკულტატური აქტივობაა და უფრო მეტად ფორმალური ჯგუფებისა და ისტორიული კლუბებისთვის არის განკუთვნილი. ზოგჯერ დაკავშირებულია იმ თემებთან, რომლებსაც პროგრამით გადიხართ.

წარმოადგინეთ იმ ისტორიული პერსონაჟის სურათი, რომელიც ამჟამად აქტუალურია რეკლამაში, სატელევიზიო სერიალში, ბლოკბასტერსა თუ, გარკვეული მიზეზის გამო, ახალი ამბების გამოცემებში. ამას გარდა, შეგიძლიათ გამოიყენოთ იმ პერსონაჟის გამოსახულება, რომლის ძეგლიც სკოლის სიახლოვეს დგას. დაგეგმეთ პატარა გამოძიება, რათა ამ ადამიანზე მაქსიმალურად ბევრი ინფორმაცია მოაგროვოთ და ქაღალდის ფურცლებზე ჩამოწერილი ცნობები ფოტოსურათის ირგვლივ დაკიდეთ. ამის შედეგად ის მოწაფეებიც კი, რომლებიც ისტორიის გაკვეთილებით მაინცდამაინც დაინტერესებულნი არ არიან, კედელზე „ტელევიზორიდან იმ კლიენტის“ სურათს შენიშნავენ და შესაძლოა ცოტა მეტის გაგების სურვილიც გაუჩნდეთ.

ამის გაკეთება „უკულმაც“ შეგიძლიათ. სილუეტური გამოსახულება დიდი კითხვის ნიშნით შუაში დადევით და სურათის ირგვლივ ფურცლებზე პატარ-პატარა მინიშნებები გააკეთეთ, რომლებიც ბავშვებს ამ პიროვნების იდენტიფიცირებაში უნდა დაეხმაროს. შეგიძლიათ ყოველ კვირას ახალ-ახალი დაამატოთ და ყველა მოსწავლე ჩართეთ იმის გარკვევის საქმეში, თუ ვისი გამოსახულებაა.

თუ საკლასო ოთახში საკმარისი სივრცე გაქვთ, ერთი პატარა კუთხე ისტორიულ არტეფაქტებს დაუთმეთ. თავად მოსწავლეებს შეუძლიათ კოლექცია საკუთარი ოჯახებიდან მოტანილი ძველი ნივთებით შეავსონ. ბავშვებს შესთავაზეთ, თვითონ გამოიცნონ, რა არის ესა თუ ის საგანი, შეეცადონ მათ დახატვასა და კლასიფიკაციას. თუ საგნები სხვადასხვა ეპოქას უკავშირდება, მათი გამოყენება სხვადასხვანაირად შეგიძლიათ: ერთმანეთს შეადაროთ, ევოლუციური ხასიათის ცვლილებები გაარკვიოთ, ეს არტეფაქტები სამგანზომილებიან დროით სკალაზე განათავსოთ. უფრო იშვიათი და უცნაური საგნები შეგიძლიათ ისეთი სახის თავსატეხებად გამოიყენოთ, როცა ამ საგნის დანიშნულებაზე ერთმანეთში რამდენიმე მოსწავლე კამათობს და ლოგიკური არგუმენტებით თანაკლასელების მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს.

ასევე შეგიძლიათ იმ საკითხთან დაკავშირებული საგნები შეაგროვოთ, რომელსაც ამ კონკრეტულ მომენტში სასწავლო პროგრამით გადიხართ. მაგალითად, თუ უახლესი ისტორიის კურსს გადიხართ, მოწაფეებს სთხოვეთ, სახლში ძველი საკვები ტალონები მოძებნონ და მოიტანონ, ასევე, ძველი წერილები და საფოსტო მარკები, მოხმარებიდან გასული მონეტები ან თუნდაც აირწინაღები და მედლები. ამასთანავე, გამორიცხული არ არის, განათლების ადგილობრივი ცენტრიდან ან მუზეუმიდან რამდენიმე კვირის ვადით გარკვეული სახის არტეფაქტების თხოვება შეძლოთ. თუ მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, საკლასო მუზეუმი მაინც ვერ შეავსეთ, მაშინ მეტი კრეატიულობა უნდა გამოიჩინოთ და მოწაფეებს დაავალოთ თავად დაამზადონ ძველი სამკაულების, ნიღბების, პერსონაჟების, პირამიდებისა და ა.შ. მოდელები და შემდეგ მათი ნახელავი კლასში გამოფინეთ. ასეთი საქმიანობა, თუ, რა თქმა უნდა, კლასში დროის პრობლემა გაქვთ, შეიძლება ფაკულტატურად, ისტორიის კლუბში განხორციელდეს.

ნ ა წ ი ლ ი

2

აქტივობები გაკვეთილის დასაწყისში

დღესდღეობით ისტორია უკვე არ განიხილება, როგორც მხოლოდ მშრალი ციფრებისა და ფაქტების უბრალოდ დაზუთხვის აუცილებლობა. ამის საპირისპიროდ, მოსწავლეებს უკვე აზროვნების განვითარება მოეთხოვებათ, მაგალითად, ისეთი უნარის, როგორცაა ანალიზის შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, ნაციონალური სასწავლო პროგრამის თანახმად, სწავლის აბსოლუტურად ყველა დონეზე ძირითადი საკითხების, სახელებისა და თარიღების ცოდნას ალტერნატივა არ გააჩნია. ეს აუცილებელია როგორც ისტორიული ქრონოლოგიის გასაგებად, ასევე ზოგადი ისტორიული ცოდნის მისაღებად და წარსულის მოვლენების, ადამიანებისა და ცვლილებების ჯეროვნად აღსაქმელად. სწორედ ეს უნდა გახდეს ის ამოსავალი წერტილი, საიდანაც მოსწავლე ისტორიული ანალიზის სიღრმეებს შეიმეცნებს.

გაკვეთილის დასაწყისში განხორციელებული გარკვეული აქტივობები შესაძლებლობას მოგცემთ კლასი სათანადოდ მოამზადოთ, რათა სასწავლო პროცესზე ჯეროვანი ფოკუსირება მოახდინოთ. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა საშუალო კლასებისთვის აქვს, როცა მოწაფეები საკლასო ოთახში სხვადასხვა ადგილიდან აქტივობებით გონებადატვირთული შემოდიან. ეს აქტივობები ბავშვებს ეხმარება, გაიხსენონ ისტორიის წინა გაკვეთილის პერიპეტიები, რომელიც შესაძლოა რამდენიმე დღის წინ ჩატარდა. ეს იმითაცაა კარგი, რომ მოსწავლეებს, რომლებმაც წინა გაკვეთილი გააცდინეს, დამატებით 5-10 წუთს აძლევს, რათა გაერკვნენ, რაზეა ზოგადად საუბარი.

მოწაფეები შეაჩვიეთ, რომ ყოველი გაკვეთილის დასაწყისში, საკლასო ოთახში შემოსვლისთანავე, მოიმარაგონ ყველა ის საგანი, რომლებიც მომდევნო საათის განმავლობაში დასჭირდებათ, შემდეგ კი დაფაზე თქვენ მიერ ჩამოწერილი ნუსხიდან თავად აირჩიონ ინდივიდუალური საწყისი აქტივობა ან წინა გაკვეთილის მსვლელობისას გაკეთებულ ჩანაწერებს გადახედონ, რათა თვენ მიერ დაგეგმილი ამა თუ იმ აქტივობისთვის მზად იყვნენ. ასე და ამგვარად, როგორც კი მოსწავლეები საკლასო ოთახში გამოჩნდებიან, ყოველი მათგანი დასაქმებული იქნება იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, სანამ თქვენ დაგვიანებულ ბავშვებს ელოდებით.

საწყის აქტივობებს ის კარგი თვისებაც ახასიათებს, რომ მათი საშუალებით ისტორიული ქრონოლოგიის გააზრება ადვილდება. ამ ტექნიკას მაშინაც შეგიძლიათ მიმართოთ, როდესაც მის დასაგეგმად საკმარისი დრო არ გაგაჩნიათ. მაგალითად, მოსწავლეების შესამზადებლად კარგი იქნება, თუ წინა გაკვეთილზე გავლილი მასალის საილუსტრაციო ოთხ ან ხუთ სურათს მოიმარაგებთ. მოწაფეებს ამ სურათების ასლები დაურიგეთ ან გამოსახულებები დაფაზე გამოაკარით. ვთქვათ, თუ ჰასტინგსის ბრძოლას გადიხართ, შეგიძლიათ „ბაიოს გობელენის“ რამდენიმე ფრაგმენტის გამოსახულება შეარჩიოთ, ხოლო თუ პირველ მსოფლიო ომზე ხართ შეჩერებული, შესაძლებელია ძველი ფოტოსურათების ასლების მოპოვება, სადაც გამოსახული იქნება ჯარში გაწვევის პროცესი, ჯარისკაცების ეკიპირება ან მათი გაგზავნა ფრონტის ხაზზე. იმ შემთხვევაში, თუ ძველი ეგვიპტეა სასწავლო პროგრამაში, პირამიდების გამოსახულებები საკმაოდ საინტერესო იქნება ან, კიდევ უკეთესი, (ოღონდ ცოტათი შემაცბუნებელიც) – მუმიფიკაციის პროცედურა. მოწაფეებს სთხოვეთ, ეს სურათები გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით დაალაგონ.

თუ მომზადების დრო არ გქონდათ, მაშინაც შესაძლებელია, მაგალითად, ასეთ ტექნიკას მიმართოთ: დაფაზე ჩამოწერეთ ოთხი ან ხუთი მოვლენა და მოსწავლეებს მათი ქრონოლოგიურად დალაგება დაავალეთ.

თუ გამოსახულებებს იყენებთ, მოსწავლეებს სთხოვეთ, თითოეულ მათგანს შესაბამისი სათაური მოუძებნონ, ხოლო წერილობითი კითხვების შემთხვევაში დაავალეთ ის მოვლენები ჩამოწერონ, რომლებიც დაფაზე ჩამოწერილი მოვლენების ქრონოლოგიურად დალაგებულ რიგს ან წინ უძღოდა, ან მოსდევდა.

წინა გაკვეთილზე ნასწავლის დასამახსოვრებლად საკმაოდ სასარგებლო მეთოდია ბინგოს თამაშის გამოყენება. სკოლის სასწავლო განყოფილებას შეუძლია ყოველი თემის შესწავლამდე ან სემესტრისა და წლის დასაწყისში მოსწავლეებს დაურიგოს სპეციალური ლექსიკონები, რომლებშიც სასწავლო თემებთან დაკავშირებული სიტყვების სია იქნება მოცემული. ასევე შეგიძლიათ უმნიშვნელოვანესი ტერმინები უბრალოდ საკლასო ოთახის დაფაზე ჩამოწეროთ. თუ კიდევ უფრო გავამარტივებთ, დაფაზე შესაბამისი 10 ან 15 სიტყვა ჩამოწერეთ. ახალი ტერმინები მოწაფეებს თანდათანობით უნდა გააცნოთ, მათთვის უცნობი ათეულობით ტერმინის მიწოდებამ შეიძლება ბავშვები დააბნიოს.

როგორც კი მოსწავლეებს ისტორიული ტერმინების სიას წარუდგენთ, სთხოვეთ იქიდან 6 სიტყვა შეარჩიონ და ფურცელზე ჩამოწერონ. ეს უკვე ბინგოს კარტი იქნება. თუ უმცროსკლასელებთან გაქვთ საქმე, შეგიძლიათ რომელიმე სიტყვა აირჩიოთ და ხმამაღლა წაიკითხოთ; თუ რომელიმე მათგანს ეს სიტყვა თავის ბარათზე უწერია, უნდა გადახაზოს. პირველი მოწაფე, რომელიც ექვსივე ბარათს გადახაზავს, იძახის „ბინგო“ და გამარჯვებულად ცხადდება. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შედეგი ერთზე მეტ ბავშვს აქვს, ეს მდგომარეობა შეგიძლიათ წერა-კითხვის უნარის გასავარჯიშებლად გამოიყენოთ, გამარჯვებულის გამოსავლენად კი სთხოვეთ, ბარათებში ჩაუხედავად სიტყვები დამარცვლით წაიკითხონ.

საშუალო და უფროსკლასელებისთვის ბინგოს უფრო რთული ინტელექტუალური თამაშის სახე უნდა მისცეთ. როგორც კი მოსწავლეები თქვენ მიერ შეთავაზებული სიიდან 6 სიტყვას შეარჩევენ, შეგიძლიათ დაავალოთ, რომ გადახაზვამდე სიტყვებს შესაბამისი განმარტებები მოუძებნონ. მაგალითად, თუ ძველ ეგვიპტურ სამარხზეა ლაპარაკი, მოსწავლეებს ასეთი მარტივი დეფინიციის გაკეთება შეუძლიათ: „ეს შენობა გარდაცვლილი ფარაონების ცხედრებისა და მათი პირადი ნივთების შესანახად იყო აგებული“. შესაძლებელია უფრო ვრცელი განმარტებების მოფიქრებაც. ნიჭიერი ბავშვებისთვის დავალების გართულებაც შეგიძლიათ, მაგალითად, დაშიფრული მინიშნებების მიცემით. ეს იმ შემთხვევაშიც კარგია, თუ შერეული ან განსხვავებული შესაძლებლობების კლასს ასწავლით. ამ დროს უფრო რთული მინიშნებებით დაიწყეთ და შემდეგ ისინი ნელ-ნელა გაამარტივეთ, რათა ყველა დონის უნარის მქონე ბავშვმა მათზე პასუხის გაცემა შეძლოს.

ბინგოს ლექსიკონი შეგიძლიათ თარიღებისთვისაც გამოიყენოთ. გამომდინარე იმ მოვლენების დროითი ჩარჩოებიდან, რომელთაც ამჟამად გადიხართ, მოსწავლეებს ათწლეულების, წლების, თვეების ან კონკრეტული დღეების ნუსხა შესთავაზეთ. როგორც კი ყოველი მათგანი ამ სიიდან 6 თარიღს შეარჩევს და ბინგოს საკუთარ ბარათზე დაწერს, აღწერეთ ერთი ან ორი მოვლენა და მოწაფეებს დაავალეთ თავიანთ ბარათებზე ამ მოვლენების შესაბამისი თარიღები მონახონ და გადახაზონ. ეს პროცესი მანამ უნდა გაგრძელდეს, სანამ რომელიმე ექვსივე ბარათს არ გადახაზავს და „ბინგოს“ არ დაიძახებს.

სავარჯოშოს გართულება თუ გსურთ, გამარჯვებულს დაავალეთ თითოეულ ბარათზე დაწერილ თარიღთან დაკავშირებულ მოვლენაზე ორიოდე სიტყვა თქვას, რომელიმე მათგანი კი უფრო დაწვრილებით აღწეროს.

ეს აქტივობა გარკვეულ მინიმალურ შემზადებას მოითხოვს. შეარჩიეთ უკვე გავლილი რომელიმე თემის შესაბამისი ნახატი, პორტრეტი ან სულაც ილუსტრაცია სახელმძღვანელო წიგნიდან, რომელზეც, სულ მცირე, ორი ადამიანი იქნება აღბეჭდილი. გადაიღეთ ამ სურათის ფოტოასლი. მასზე გამოსახულ თითოეულ ადამიანს მიუხატეთ „პირიდან გამომავალი“ წრე. ამ სავარჯიშოს არსი იმაშია, რომ მოსწავლეებმა წინა გაკვეთილის თემის შესაბამისი ტექსტი წრეებში უნდა ჩაწერონ. შესაძლებელია თავიდან მოწაფეებს დახმარება დასჭირდეთ. ამ შემთხვევაში პირველი წრე თავად შეავსეთ შესაბამისი კითხვით, რომელზეც ბავშვებმა პასუხი ასევე წერილობით უნდა გასცენ და ის იმავე წრეში უნდა ჩაწერონ.

მაგალითად, თუ ძველი რომის ისტორიას გადიხართ, შეგიძლიათ ორი ლეგიონერის სურათი აირჩიოთ. ერთი ჯარისკაცი მეორეს შესაძლოა ძალიან მარტივ რამეს ეკითხება, ვთქვათ ამას: „რამდენი კაცია ჩვენს ლეგიონში?“ ურიგო არ იქნება, უფრო რთულ კითხვას თუ მოიფიქრებთ, რომელიც ვრცელ პასუხს მოითხოვს, მაგალითად: „რა სახის აბჯრის აღება დამჭირდება არსენალიდან?“

თუ ჰენრი VIII-ის ეპოქაზეა ლაპარაკი, აიღეთ სურათი, რომელზეც ინგლისის მეფე შვილებთან ერთად იქნება გამოსახული. აქვეა პრინცესა მერი, რომელიც და-ძმებს ეკითხება, ვინ არის მათი დედა. შეგიძლიათ კითხვა გაართულოთ და ჩაწეროთ, ვთქვათ, ასეთი რამ: „რატომ გაშორდა მეფე ჰენრი თავის ცოლებს?“

როცა ამ სავარჯიშოსთვის გამოსახულებას შეარჩევთ, შეგიძლიათ წრეების შევსება ორ მოსწავლეს ერთდროულად დაავალოთ ან, უბრალოდ, დაფაზე გამოაკრათ. მოწაფეების მოსაზრებები მოისმინეთ და შემდეგ ისინი წინა გაკვეთილთან თემატურად დასაკავშირებლად გამოიყენეთ.

იმაში დასარწმუნებლად, რომ მოსწავლეებმა ძირითადი ტერმინები ჯეროვნად აღიქვეს, წინა გაკვეთილის თემის შესაბამისი ანაგრამები მოიმარაგეთ. დაფაზე ოთხი ან ხუთი ანაგრამა ჩამოწერეთ, მოსწავლეები დააწყვილეთ და სთხოვეთ, მათი მნიშვნელობები გამოიცნონ. ზოგიერთი მოსწავლისთვის ეს ფრიად იოლი საქმეა. მათთვის დავალება ცოტა გაართულეთ და სთხოვეთ, თითოეული სიტყვისთვის კროსვორდის მაგვარი გამოცანა მოიფიქრონ. შემდეგ შეძლებთ ეს გამოცანები იმ ბავშვებისთვის გამოიყენოთ, რომლებსაც ანაგრამების გამოცნობა მაინცდამაინც არ ეხერხებათ!

იმ შემთხვევაში, თუ ვიქტორიანულ ეპოქას გადიხართ, კარგი იქნება, თუ ანაგრამებს ისეთი სიტყვებისგან შეადგენთ, როგორებიცაა „ჯურღმული“, „გარეუბნები“, „ბრბო“, „ავადმყოფობა“ და „სიღატაკე“. მოსწავლეებს თითოეულ მათგანთან დაკავშირებით პატარ-პატარა გამოცანის მოფიქრება დაავალეთ, რათა თანაკლასელებს, რომლებისთვისაც ანაგრამების გამოცნობა ძლიერი მხარე არ არის, დავალების შესრულება გაუადვილდეთ. მაგალითად, „ავადმყოფობასთან“ დაკავშირებით შესაძლებელია ასეთი გამოცანის მოფიქრება: „ეს შეიძლება იყოს როგორც ქოლერა, ასევე ტუბერკულოზი“. პრინციპში, ნიჭიერი ბავშვებისთვის უფრო რთული გამოცანების მოფიქრებაც არ იქნებოდა ურიგო.

ამასთან ერთად, იმავე მიზნით შესაძლებელია სხვა სახის დავალებაც მოიფიქროთ. მაგალითად, მოწაფეებს სთხოვეთ წინა გაკვეთილის თემასთან დაკავშირებული ძირითადი სიტყვებისგან ერთი ან ორი წინადადება შეადგინონ.

გაკვეთილის პირველი ხუთი წუთისთვის ასეთი აქტივობა განახორციელეთ. მოსწავლეები დააწყვილეთ ისე, რომ ის, ვინც წინა გაკვეთილს არ ესწრებოდა, იმ მოწაფესთან მოხვდეს დუეტში, რომელიც გაკვეთილზე იმყოფებოდა. დაავალეთ, რომ თითოეულმა წყვილმა წინა გაკვეთილის ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი გაიხსენოს და მათ გარშემო მთელ კლასთან დისკუსიისთვის მოემზადოს. მრავალფეროვნებისთვის შეგიძლიათ დაავალოთ, რომ ამ ხუთ მომენტს საგაზეთო ჰედლაინის ან რადიოპროგრამის ანონსის სახე მისცენ.

ზოგიერთ კლასს ამ დავალების შესრულება უჭირს, განსაკუთრებით პირველად, და მცირედი მინიშნება ესაჭიროება ხოლმე. ასეთ შემთხვევებში ბავშვებისთვის მიმართულების მისაცემად დაფაზე ხუთ შესაბამის კითხვას დაწერთ ან ისეთ სურათებს გამოაკრავთ, რომლებსაც მინიშნებებად გამოიყენებენ. თუ არც ამან გაჭრა, შეგიძლიათ რვა კითხვა დაუსვათ ან ამდენივე ვიზუალური მინიშნება გამოუკრათ და სთხოვოთ, მათგან ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი აირჩიონ. მოსწავლეები მზად უნდა იყვნენ თავიანთი არჩევანი არგუმენტირებულად დაიცვან. ამას გარდა, შეიძლება ხუთი შერჩეული მომენტი იერარქიულად დაალაგონ და შემდეგ არგუმენტირებულად იკამათონ სხვა ჯგუფებთან, რომლებსაც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

აუცილებელი არ არის ყველა გაკვეთილი მაინცდამაინც წინა თემის გახსენებით დაიწყოთ. შესაძლებელია პირდაპირ ახალი თემის გაცნობით დაწყებაც, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც კარგი ვიზუალური მასალა მოგეპოვებათ. ბავშვები დააწყვილეთ და ის გამოსახულება ჩამოურიგეთ, რომელიც ამ გაკვეთილის თემას უკავშირდება. რაც უფრო დეტალური იქნება სურათი, მით უკეთესი. შეგიძლიათ ეს გამოსახულება დაფაზეც გამოაკრათ. მოსწავლეებმა სურათს მხოლოდ ერთი-ორი წუთის მანძილზე უნდა უყურონ. შემდეგ კლასს ნახატი მხედველობის არეალიდან მოაცილეთ და წყვილებს სთხოვეთ ამ გამოსახულების დეტალები ფურცელზე ჩამოწერონ. თითოეულ წყვილს შეუძლია სურათის შესახებ პატარ-პატარა გამოცანები შეადგინოს და მეზობელ წყვილს დაუსვას.

შემდეგ სურათი კიდევ ერთხელ აჩვენეთ და სთხოვეთ მოსაზრებები გამოთქვან იმის თაობაზე, რაოდენ შეესაბამება იგი იმ თემას, რომელსაც სასწავლო პროგრამით გადიან. თუ ეს ახალი თემაა და ბავშვებისთვის სრულიად უცნობია, მაშინაც კი ფრიად სასარგებლო იქნება, რადგან მოსწავლეებს პატარა დეტექტივების როლში აღმოჩნდებიან. გამოსახულების ხასიათიდან გამომდინარე, დაუსვით კითხვა, რომელი — პირველადი თუ მეორადი — წყაროდან არის ის მოპოვებული, რომელი სოციალური კლასის წარმომადგენელი ადამიანები არიან მასზე გამოსახულნი, რას აკეთებენ, არის თუ არა ნახატზე რაიმე მინიშნება, რომელ ისტორიულ პერიოდს უკავშირდება ის და ა.შ.

ამის ალტერნატივა შეიძლება იყოს გამოსახულების პატარა დეტალებად დანაწევრება. ეს ძალიან სასარგებლოა, თუ გსურთ, რომ ბავშვებმა დეტალებზე გაამახვილონ ყურადღება. შეგიძლიათ სურათიდან რომელიმე დეტალი ამოიღოთ და ბავშვებს სთხოვოთ მოსაზრებები გამოთქვან იმის თაობაზე, რა დეტალი უნდა იყოს ცარიელ ადგილას.

თუ წინასწარ გამოსახულებების ლამინირებას გააკეთებთ, მათ მრავალჯერად გამოყენებას შეძლებთ. ლამინატებს კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ მათზე შეიძლება მარკერებით მასწავლებლის კითხვაზე პასუხის დაწერა ან რაიმე მნიშვნელოვანი დეტალის შემოხაზვა და ა.შ.

ამ აქტივობასაც გარკვეული შემზადება ესაჭიროება. კლასი ორ ნაწილად გაყავით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ აგრძნობინოთ, რომ ამ ნაწილებს შორის რაიმე განსხვავებაა! ერთ ნაწილს, ინდივიდუალურად ან წყვილ-წყვილად, რომელიმე ისტორიული ფიგურის ან მოვლენის შესახებ ერთი სახის წყაროები მიეცით, ხოლო მეორე ნაწილს იმავე ობიექტის გარშემო სრულიად საპირისპირო წყაროები დაურიგეთ. მაგალითად, ესპანური არმადას დამარცხებას თუ სწავლობთ, კლასის ერთ ნაწილს დაურიგეთ წყაროები, სადაც ლაპარაკია, თითქოს ინგლისმა ესპანური ფლოტი კარგი დაგეგმვის წყალობით დაამარცხა; მეორეს კი ის წყაროები, რომლებიც ამტკიცებს, რომ ინგლისელებმა ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ იმის წყალობით მოიგეს, რომ იღბალი მათ მხარეზე იყო. ასეთი თემების გამოძებნა, რომლებზეც ორზე მეტი დიამეტრულად განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, პრობლემა არ არის.

სადაც საჭიროდ ჩათვლით, შეგიძლიათ ვიზუალური გამოსახულებები გამოიყენოთ, ისევე როგორც შერჩეული თემის შესაბამისი საგაზეთო ჰედლაინები. მოსწავლეებს სთხოვეთ, ინდივიდუალურად ან წყვილებში, წყაროების შესახებ საკუთარი იდეები მოკლედ ჩამოაყალიბონ ან, უბრალოდ, განსხვავებული მოსაზრებების სია ჩამოწერონ. შემდეგ თითოეული ნახევრის წარმომადგენელს საკუთარი იდეები საჯაროდ წააკითხეთ. ძალიან საინტერესოა ხოლმე, როცა ასეთ მომენტებში ბავშვები „ოპონენტი“ ჯგუფის საუბარს ისმენენ! ეს ჩინებული საშუალებაა, რომ ბავშვებს ვასწავლოთ როგორ შეიძლება ისტორიული წყაროები განსხვავდებოდეს.

აქ იგივე პრინციპია, რომელიც ამავე სახელწოდების პოპულარულ სატელევიზიო ვიქტორინაში, ანუ კლასს ეუბნებით პასუხებს, რომელთა შესაბამისი კითხვები თავად უნდა ჩამოაყალიბონ. მაგალითად, ეუბნებით შემდეგ სიტყვებს: „მოტე და ბეილი“, ისინი კი უნდა მიხვდნენ, რომ ეს არის პასუხი შემდეგ კითხვაზე: „რა ეწოდება ყველაზე ძველ ციხე-სიმაგრეებს?“ ან კიდევ, „1914“ შეიძლება იყოს პასუხი კითხვაზე: „როდის დაიწყო პირველი მსოფლიო ომი?“ აბსოლუტური ჩართულობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია მოწაფემ, რომელიც პასუხს სწორად გამოიცნობს, თავად თქვას შემდეგი პასუხი და კითხვის ჩამოყალიბება იმ თანაკლასელს სთხოვოს, რომელსაც თამაშში ჯერ არ უაქტიურია. ასე გააგრძელეთ, სანამ ყველა მოსწავლეს საკუთარი ერუდიციის წარმოჩენის საშუალება არ მიეცემა.

ამ თამაშს უფრო მიმზიდველსა და მხიარულს გახდით, თუ ქულათა სისტემას და გარკვეულ მსუბუქ „სასჯელს“ შემოიღებთ. ასევე შეგიძლიათ რამდენიმე „ლიგა“ შექმნათ, რომლებიც ამ აქტივობაში მონაწილეობას მონაცვლეობით მიიღებენ. სრული ჩართულობის ხრლშესაწყობად შეგიძლიათ ბავშვებს სავარჯიშო მორიგეობით შეასრულებინოთ საკლასო ოთახში ადგილების მიხედვით ან რაიმე სხვა სახის რიგითობით. თუ ეს აქტივობა აუტანელ ხმაურს გამოიწვევს, მაშინ სავარჯიშო წერით ჩაატარეთ.

ეს სავარჯიშო მაშინაც კარგად ტარდება, თუ მოსწავლეები კლასში სხვადასხვა მიზეზების გამო არა ერთდროულად, არამედ მცირე ჯგუფებად შემოდიან. დაფაზე რამდენიმე პასუხი ჩამოწერეთ და კლასს დაავალეთ, დროის კონკრეტულ მონაკვეთში, სულ მცირე, ხუთი სწორი შეკითხვა ჩამოაყალიბონ. ამის შედეგად, მოსწავლეებს შეეძლებათ დავალების შესრულებას კლასში შემოსვლისთანავე დაუყოვნებლივ შეუდგნენ.

ნასწავლის განმტკიცების ან მოსწავლეთა მოტივირებისთვის ისეთ შემთხვევებში, როცა „პარასკევის სინდრომი“ მოქმედებს, საკმაოდ ხანმოკლე სავარჯიშოებიც სავსებით საკმარისი იქნება. ქვემოთ შემოგთავაზებთ რამდენიმე მათგანს, რომელთა გამოყენებაც შეგიძლიათ როგორც გაკვეთილის დასაწყისში, ასევე სხვა დროსაც.

„შავი სია“: ეს სავარჯიშო შეგიძლიათ შეასრულოთ კლასთან ერთადაც და უფრო პატარა ჯგუფებშიც. აირჩიეთ ერთი მოსწავლე და მიეცით დავალება, რომ რომელიმე კონკრეტული სიტყვის ან მოვლენის შესახებ ვრცლად ილაპარაკოს. ამასთანავე, შეადგინეთ იმ სიტყვების „შავი სია“, რომლების გამოყენების უფლებაც მოსწავლეს თავისი გამოსვლისას არ ექნება.

უორდსერჩი: შეგიძლიათ ეს სავარჯიშო თავად შეადგინოთ ან ინტერნეტიდან გადმოიწეროთ. დავალების გართულება თუ გსურთ, საძიებელი სიტყვები საერთოდ არ მიუთითოთ. კლასს თავსატეხის ამოსახსნელად გარკვეული მკაცრად განსაზღვრული დრო მიეცით. შესაძლებელია, რომ ბავშვებს ლექსიკონის გამოყენების ნება დართოთ, ეს მათ ძირითადი ტერმინების დამახსოვრებაშიც დაეხმარება.

ოცი კითხვა: შეარჩიეთ რომელიმე ისტორიული ფიგურა ან მოვლენა დაკავშირებული იმ თემასთან, რომელსაც ამ კონკრეტულ მომენტში სასწავლო პროგრამით გადიხართ. მოსწავლეებს თქვენი არჩევანის გამოცნობა დაავალეთ, მხოლოდ 20 კითხვის დასმის საშუალებით, რომლებზეც შეგიძლიათ მხოლოდ „კი-არას“ რეჟიმში უპასუხოთ.

„ჰენგმენი“: ეს ძველთაძველი გასართობი თამაში ძალიან სასარგებლოა უკვე ნასწავლი ძირითადი ტერმინებისა და მოკლე ფრაზების გასახსენებლად. ერთ მოსწავლეს დაფაზე გამოჰყავს ზუსტად იმდენი წერტილი, რამდენი ასოცაა ამ კონკრეტულ სიტყვასა თუ ფრაზაში. შემდეგ კლასი სათითაოდ ასახელებს ასოებს და, თუ ისინი ამ საძიებელ სიტყვაში მოიპოვება, მოწაფე დაფაზე წერს. უფრო სუსტებს საშუალება მიეცით თავიანთი ვარაუდები სხვებზე ადრე გამოთქვან. სავარჯიშოს ცოტა გასახანგრძლივებლად მოსწავლეს, რომელიც სწორ პასუხს ხვდება, სთხოვეთ ის შესაფერის წინადადებაში ჩასვას. თუ თავსატეხი სიტყვა უკვე ნაპოვნია, მთელ კლასს დაავალეთ მასთან დაკავშირებული კიდევ ხუთი სიტყვა ან ფრაზა ჩამოწეროს.

„ერთი ზედმეტი“: მოსწავლეებს ოთხი სიტყვა, ობიექტი ან სურათი აჩვენეთ. მათგან ერთი ისეთი უნდა იყოს, რომ სხვა სამს არ უკავშირდებოდეს. ბავშვებს სთხოვეთ ეს ერთი ზედმეტი სიტყვა დაასახელონ, თანაც ისე, რომ თავიანთი არჩევანი არგუმენტირებულად ახსნან. შემდეგ თითოეულ მოსწავლეს სთხოვეთ, ზუსტად ასეთივე სავარჯიშო თავად შეადგინოს, ოღონდ იმ სიტყვების გამოყენებით, რომლებიც იმ დღეს ნასწავლ თემას შეესაბამება. ეს სავარჯიშო შეიგიძლიათ გაკვეთილის ბოლოსაც გააკეთოთ.

ძალიან ადვილი და მოსახერხებელია ანალოგიური მიზნით სხვა თავსატეხების გამოყენებაც. მაგალითად, რომელიმე ერთ მოწაფეს სთხოვეთ დაფაზე წინა გაკვეთილიდან რაიმე მნიშვნელოვანი მომენტი დახატოს, სხვებს კი დაავალეთ მიხვდნენ, რატომ არის ეს მოვლენა ან ისტორიული პერსონაჟი აგრერიგად მნიშვნელოვანი. ასეთი სავარჯიშოები ბავშვებს კარგ სტიმულს აძლევს, საკლასო ოთახში დროულად გამოცხადნენ. განსაკუთრებით მაშინ, როცა დაფასთან იმ მოსწავლეს იძახებთ ხოლმე, რომელიც კლასში დაგვიანებით შემოდის.

სანამ ახალ თემაზე გადახვალთ, ურიგო არ იქნება, თუ მოსწავლეებს ჰკითხავთ, რა იციან ამ საკითხის ირგვლივ ან ჰგონიათ, რომ იციან. ამ ხერხით მიღებული ინფორმაცია შეაგროვეთ და დაფაზე ან დიდ თეთრ ფურცელზე ჩამოწერეთ. შემდეგ კი კლასს უთხარით, რომ, როგორც კი თემის სწავლას დაასრულებთ, ამ ნუსხას კვლავ დაუბრუნდებით, რათა გაარკვიოთ, რა აღმოჩნდა მართალი და რა არა.

ამ შემთხვევაშიც მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად კარგი იქნება, მას შემდეგ, რაც გაარკვევთ, რა ცოდნა აქვს კლასს მოცემული საკითხის გარშემო, მოსწავლეებს სთხოვოთ, თითოეულმა ხუთ-ხუთი ისეთი კითხვა ჩამოწეროს, რომლებსაც, შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, ამ კონკრეტული პერიოდის რომელიმე ისტორიულ პერსონაჟს დაუსვამდა. გამოცდილება აჩვენებს, რომ ამ დროს საკმაოდ პოპულარულია ასეთი კითხვა, განსაკუთრებით უმცროსკლასელებში: „სად დადიხართ ხოლმე ტუალეტში?“ სხვათა შორის, ეს კითხვა შეიძლება საკმაოდ კარგი საწყისი წერტილი იყო ისეთ საკითხზე დისკუსიის გასამართად, როგორებიცაა ჯანმრთელობა და ჰიგიენა, გამოგონებები, ძველი სახლების მოწყობილობა და ა.შ. მოსწავლეებს უთხარით, თავიანთ სიას მუდმივად გადახედონ ხოლმე და ის კითხვები გახაზონ, რომელთაც გაკვეთილზე უკვე გაეცა პასუხი, ან ის პასუხები ჩამოწერონ, რომლებსაც თავად მიაგნებენ. თუ რომელიმე კითხვა მაინც პასუხგაუცემელი დარჩა, შეგიძლიათ ის საკვლევ პროექტში ერთ-ერთ კომპონენტად შეიტანოთ ან საშინაო დავალებად გამოიყენოთ.

ნ ა წ ი ლ ი

3

ქრონოლოგიის გაგება

დროითი ჩარჩოების შექმნა უმცროსი კლასებიდან იწყება და სწავლის ბოლომდე გრძელდება. ეს მოსწავლეებს დროის დინების გათავისებასა და მის ჯეროვან სტრუქტურიზებაში ეხმარება. პირველ რიგში, დროითი ჩარჩოები შეგიძლიათ თავად მოსწავლეებს მიუსადაგოთ, მაგალითად, განსაზღვროთ, რას აკეთებს თითოეული ბავშვი ყოველი „ჩვეულებრივი“ ერთი დღის განმავლობაში. შემდეგ ერთ „ჩვეულებრივ“ კვირაზე გადადით და დაასრულეთ მოსწავლის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენებით მისი დაბადებიდან დღემდე. კარგი იქნება, თუ ამ მხრივ მოსწავლეებს ერთმანეთს შეადარებთ, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევაში მათ შორის ასაკობრივი სხვაობა შესაძლოა ერთ წელსაც აღწევდეს.

იმის საჩვენებლად, რომ დროითი ჩარჩოები უფრო რთული ფენომენია, შემოიტანეთ ცნებები „ჩვენს წელთაღრიცხვამდე“ და „ჩვენი წელთაღრიცხვით“. დროითი ჩარჩოები შესაძლოა რომელიმე კონკრეტულ პერიოდს უკავშირდებოდეს, მაგ., დედოფალ ვიქტორიას მმართველობის წლებს, ან რომელიმე ცალკეულ თემას, მაგ., საუკუნეების მანძილზე საბავშვო სათამაშოების განვითარებას.

გამორიცხული არ არის, რომ დროითი ჩარჩოების ცნების შემოტანა საკმაოდ რთული საქმე აღმოჩნდეს. ამისთვის ერთი ხერხი ასეთია: თარიღები და დროის მონაკვეთები ცალკე ფურცლებზე ჩამოწერეთ და მოსწავლეების ნაწილს დაურიგეთ. თითოეულმა მათგანმა თავისი ფურცელი მთელი კლასის დასანახად უნდა დაიკავოს. ამის შემდეგ კლასის დარჩენილმა ნაწილმა ეს ფურცლები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით უნდა დაალაგოს. დავალების გასაიოლებლად ფურცლები წინასწარ კროსვორდის პრინციპით ისე შეარჩიეთ, რომ ერთმანეთში მხოლოდ შესაბამისი ნაწილები ჯდებოდეს.

ამ დროს მცირე საკლასო გამოფენის გაკეთებაც შეიძლება. ყოველი თემის დასაწყისში კედელზე ცარიელი ფურცლები გამოაკარით, თითოეული უნდა შეესაბამებოდეს რომელიმე დროით მონაკვეთს ან კონკრეტულ წელს. ამის შემდეგ ყოველ ფურცელზე მოსწავლეთა მიერ შესრულებული შესაბამისი საუკეთესო ნახატები მიაკარით. საშინაო დავალებებად შესაძლებელია პატარ-პატარა კვლევითი აქტივობების დაგეგმვაც. თუ საკლასო ოთახის ფართობი საკმარისი არ არის, ამ მიზნით სკოლის დერეფანი გამოიყენეთ.

გარდა ამისა, დროითი ჩარჩოები შეგიძლიათ საკლასო ოთახის ჭერზე ფერადი ძაფებით ან ლენტებით გამოსახოთ, კონკრეტული თარიღები კი მათზე მიმაგრებული ნიშნულებით. ამავე მიზნისთვის ძველი შპალერიც გამოგადგებათ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ფართობის პრობლემა გაქვთ ან გაკვეთილების ჩატარება სხვადასხვა საკლასო ოთახში გიწევთ. დროითი ჩარჩოები შპალერის უკანა მხარეს გამოსახეთ.

ბოლოს და ბოლოს, ხანმოკლე ქრონოლოგიური თამაშის ინიცირებაც შეგიძლიათ! დაამზადეთ ბარათები, რომლებზეც აღბეჭდავთ სხვადასხვა თარიღს როგორც ჩვ. წ. აღ-მდე, ასევე ჩვ. წ. აღ-ით. შემდეგ გააკეთეთ ზუსტად ისე, როგორც ბანქოს ზოგიერთ თამაშშია: კლასს ერთ ბარათს ანახებთ და ეკითხებით, მასზე გამოსახული თარიღი სხვა ბარათისას წინ უსწრებს თუ არა.

ახალი სიტყვებისა და ცნებების შემოტანა, განსაკუთრებით ნიჭიერი მოწაფეებისთვის, სტიმულის მიმცემია. როდესაც ბავშვებს ქრონოლოგიასა და დროით ჩარჩოებზე ელაპარაკებით, ისიც უნდა აუხსნათ, რომ ქრონოლოგიის ბრიტანული სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისაგან, რომელიც ბევრ სხვა ქვეყანაშია გავრცელებული.

მაგალითად, ცნებები ჩვ. წ. აღ-მდე და ჩვ. წ. აღ-ით, რომლებიც იესო ქრისტეს დაბადების თარიღს უკავშირდება, ქრისტიანობისთვის არის დამახასიათებელი. ზოგჯერ იმავე ცნებების აღსანიშნავად ბრიტანეთში იყენებენ ტერმინებს „ჩვენი ერა“ და „ჩვენს ერამდე“. მუსლიმანები თავიანთ წელთაღრიცხვას ჰიჯრიდან, ანუ მუჰამედის მექადან მედინაში გადასვლის დღიდან იწყებენ, ასე რომ ჩვ. წ. აღ-ით 2 000 წელი მუსლიმებისთვის არის 1 422 წელი ჰიჯრიდან. იუდაიზმში კი, სადაც წელთაღრიცხვის ათვლა, თორას თანახმად, სამყაროს შექმნიდან იწყება, ჩვენი 2 000 წელი 5 761 წელს შეესაბამება.

დედამიწაზე ათვლის სხვა სისტემებიც არსებობს. მათი მოძიება სპეციალური პროექტის ფარგლებში ყველაზე ნიჭიერ მოსწავლეებს უნდა დაავალოთ. ეს დავალება შეიძლება ითვალისწინებდეს კონკრეტული თარიღის გამოთვლას სხვა სისტემის მეშვეობით ან დროის გაზომვის სხვა გზების შესწავლას.

ვერსად გაექცევით იმ ფაქტს, რომ გენეალოგიური ხეების შედგენის დავალებამ შესაძლოა მოსწავლეები ფრიად შეაცბუნოს. ეს არც არის გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახების გენეალოგია, უამრავი ქორწინება-განქორწინებისა და ნახევარ-ძმა ნახევარ-დების გამო, ძალიან ჩახლართულია ხოლმე. ამიტომ კარგია, თუ მოსწავლეებს თავიდან რომელიმე ისეთი ფიქციური ოჯახის გენეალოგიის დადგენას დაავალებთ, რომელსაც ყველა კარგად იცნობს: მაგალითად, კარგი იქნება, თუ, ვთქვათ, სიმფსონების მულტსერიალის გმირებზე გააკეთებთ არჩევანს, რომელიც ყველა ბავშვისთვის კარგადაა ცნობილი. შეგიძლიათ სიმფსონების ოჯახის წევრების სურათები ინტერნეტიდან გადმოიწეროთ და სხვადასხვა ჯგუფში განაწილებულ მოსწავლეებს მათი გენეალოგიის დადგენა დაავალოთ. შეეცადეთ ის ბავშვები, რომლებიც ამ მულტფილმს კარგად იცნობენ, და ისინი, ვინც ამ ამბებში არც ისე კარგად არის გარკვეული, ჯგუფებში თანაბრად მოხვდნენ. ამ სერიალის კიდევ ერთი პლუსი ის არის, რომ პერსონაჟების სამ თაობას ადვილად გაარჩევთ: სამი ბავშვი, მათი მშობლები და დეიდა, ბებია-ბაბუები ორივე მხრიდან.

უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეებმა სურათები სწორად უნდა დაალაგონ, მერე კი თქვენ მიერ შერჩეული პირობითი ნიშნების საშუალებით ნელ-ნელა გენეალოგიური ხის ხატვა დაიწყონ. როგორც კი ამ ამოცანას თავს გაართმევენ, შეგიძლიათ გაბედოთ და სთხოვოთ საკუთარი ოჯახების გენეალოგიური ხეების შედგენას მიჰყონ ხელი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ბავშვისთვის ეს სენსიტიური სამუშაოა, ასეთ შემთხვევებში დავალება შეუცვალეთ და სხვა ფიქციური ოჯახის გენეალოგიის გამოკვლევა შესთავაზეთ. იმის საჩვენებლად, როგორ გაუმკლავდნენ მრავალრიცხოვან განქორწინებებსა და ხელახალ ქორწინებებს, შეგიძლიათ მაგალითებად უინძორების ან ტიუდორების სამეფო ოჯახების გენეალოგიები გამოიყენოთ.

ბავშვებისთვის ქრონოლოგიის არსის ასახსნელად ხის მეტაფორული გამოყენება საკმაოდ სასარგებლო საშუალებაა. ეს მათ ნათლად დაანახვებს, რა დამოკიდებულებაში ვიმყოფებით საკუთარ წარსულთან. მოძებნეთ ხის სურათი, სადაც მისი ფესვებიც იქნება გამოსახული. ყველაფერი, რაც მიწის ქვეშაა, ეს არის ცივილიზაცია ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რაც მიწის ზემოთაა – შესაბამისად, კაცობრიობა ქრისტესშობიდან დღემდე. ხის გამოსახულებას ისტორიული თემის შესატყვისი ეტიკეტი მიაკარით. ცხადია, თავად მოსწავლეების აღმნიშვნელი ეტიკეტები კენწეროს წვერში განთავსდება. იმედია, ამ მეტაფორის საშუალებით ბავშვები მიხვდებიან მიზეზშედეგობრივ კავშირს წარსულსა და აწმყოს შორის: მაგალითად, რა მოხდებოდა, ვინმეს ამ ხიდან ტიუდორების დინასტიის წარწერიანი ტოტი რომ მოემტვრია? რა გავლენას მოახდენდა ეს შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე?

მიზეზშედეგობრიობის უფრო დეტალურად ასახსნელად მოამზადეთ ფურცლები, რომლებზეც ცხრილი ან ქულათა სისტემა იქნება მოცემული. ფურცლის ზედა ნაწილში ჩაწერეთ მთავარი კითხვა, რომელიც იმ თემას უკავშირდება, რომელსაც ამჟამად გადიხართ. ვთქვათ, ასეთი კითხვა: „რატომ გადაწყვიტეს ესპანელებმა ინგლისში შეჭრა?“ აქ მოსწავლეებს შეგიძლიათ უკვე მზა პასუხები შესთავაზოთ ან სთხოვოთ, უკვე ნასწავლი მასალის გამოყენებით, პასუხები თავად მოიფიქრონ. ამის შემდეგ უთხარით, რომ თითოეული მიზეზის მნიშვნელოვნება 10-ქულიანი სისტემით შეაფასონ. მერე უთხარით, თავიანთი არჩევანის დასასაბუთებლად არგუმენტები მოიყვანონ. ამ სავარჯიშოს გართულებას თუ გადაწყვეტთ, პატარა ტექსტების დაწერა დაავალეთ ან თუნდაც ესეების, სადაც თითოეული მიზეზის გარჩევას ცალკე თავს მიუძღვნიან.

როგორც არ უნდა მიუდგეთ, ფაქტია, რომ, როცა დროში გაწელილი ცვლილებების ახსნას ცდილობთ, ცხრილებს, სქემებსა და გრაფიკებს ძალიან სასარგებლო ფუნქცია აქვს. მაგალითად, შეიძლება ასეთი საკითხით დაინტერესდეთ: „რა ცვლილებები გამოიწვია ბრიტანეთში ორთქლის ძრავის გამოგონებამ?“ ამ დროს შეგიძლიათ ორი სვეტისგან შემდგარი ცხრილი დახაზოთ. ერთს დააწერთ „ორთქლის ძრავამდე“, მეორეს — „ორთქლის ძრავის შემდეგ“. შემდგომ შესაბამისი კატეგორიები თავად მოიფიქრეთ (მაგ., ტრანსპორტი, ესა თუ ის წარმოება და ა.შ.) ან ეს არჩევანი მოსწავლეებს დაუტოვეთ.

შესაძლებელია უფრო ფართო დიაპაზონის კითხვების მოფიქრებაც. მაგალითად, დაწყებითი კლასებში უფრო ასეთი კითხვით დაინტერესდებიან: „როგორ შეიცვალა ბრიტანეთი ვიქტორიანულ პერიოდში?“ ამ დროს კარგია, თუ კლასს რამდენიმე ჯგუფად დაყოფთ და თითოეული მათგანი, ამ ფართო დიაპაზონის კითხვის ფარგლებში, ცალკეულ საკითხზე იქნება ფოკუსირებული. ყველაფერი ამის ინდივიდუალურ დონეზე დაყვანაც შეიძლება, როცა თითოეული მოწაფე თემას მისთვის საინტერესო საკითხებზე შეადგენს.

ეს სავარჯიში შეგიძლიათ გააკეთოთ სხვადასხვა ჯგუფთანაც, რომლებსაც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. მაგალითად, თუ აცტეკებსა და კორტესის დაპყრობებს სწავლობთ, კლასი ორად გაყავით. ერთი ნაწილი ჩაუღრმავდება ასეთ საკითხს: „რა ცვლილებები განიცადეს აცტეკებმა კორტესის შემოჭრის შემდეგ?“ მეორე ნაწილი კი საკითხს ევროპელთა თვალთახედვიდან შეისწავლის. ან, ისევ ვიქტორიანულ ეპოქას რომ დავუბრუნდეთ, რკინიგზის დამკვიდრებას შესაძლებელია სამი ასპექტით შევხედოთ — მეეტლის, მრეწველისა და სოფლის მცხოვრებლის.

წერითი
სავარჯიშოები

ისტორიის საგანში მოსწავლეების აკადემიური მოსწრება დიდწილად წერილობითი ნამუშევრების საფუძველზე ფასდება. გამომდინარე აქედან, დიდი მოცულობის წერითმა დავალებებმა შესაძლოა ზოგიერთი ბავშვი შეაცბუნოს და საგანზე გულიც აუცრუოს. ეს განსაკუთრებით იმ მოწაფეებს ეხება, რომლებიც წერა-კითხვის საქმეში, ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებენ. წერითი დავალებები უფრო მიმზიდველი რომ გახადოთ, ამ ნაწილში მოცემული რამდენიმე სასარგებლო რჩევის გამოყენება დაგეხმარებათ. ბევრი მათგანი ცოდნისა და უნარების ისეთივე დონეს მოითხოვს, როგორსაც ჩვეულებრივი ზეპირი გამოკითხვა კითხვა-პასუხის რეჟიმში. აქ, ზოგადად, წერა-კითხვის უნარებთან გარკვეული კროს-კურიკულუმი, საგანთაშორისი კავშირებიც არსებობს. და კიდევ, აქ მოყვანილი იდეების უმრავლესობა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ისტორიულ პერსონაჟებთან გარკვეული სულიერი სიახლოვე განიცადონ. დაიმახსოვრეთ, ბავშვისთვის გაცილებით იოლია სიახლოვე ახლობელ ადამიანთან იგრძნოს, მაგალითად, თანაკლასელთან, ვიდრე, ვთქვათ, ვიქტორიანული ეპოქის მეწარმესთან ან ტიუდორების პერიოდის მაწანწალასთან!

ერთი გაფრთხილება: გამომდინარე იქიდან, რომ აქ შემოთავაზებული ბევრი წერითი აქტივობა მოსწავლეებისგან პირველ პირში ისტორიების შეთხზვას ითვალისწინებს, ყოველთვის არის იმის ალბათობა, რომ გაკვეთილზე რომელიმე ტვინიკოსმა გკითხოთ, კი მაგრამ „მაშინ“ ხომ ბევრმა წერა-კითხვა არ იცოდაო. მაგალითად, ასეთი პრობლემა შეიძლება წამოიჭრას მაშინ, როცა ბავშვები რომაელი ლეგიონერის ხელით სამხედრო ბანაკიდან ოჯახისთვის წერილს წერენ. ამ დროს ან წინასწარ უნდა მოამზადოთ პატარა ისტორია იმის შესახებ, რომ ესა თუ ის პერსონაჟი კარგად წერდა და კითხულობდა, ან აქცენტი იმაზე გადაიტანოთ, რომ ბავშვებს შეახსენოთ, რა უპირატესობა აქვთ მათ იმ კუთხით, რომ წერა-კითხვას სკოლაში სწავლობენ!

ესეები პირველ პირში, როცა მოსწავლე რომელიმე ისტორიული პერსონაჟის აზრებისა და გრძნობების გადმოცემას „დღიურის“ ფორმატში ცდილობს, ბავშვებისგან მნიშვნელოვან ემპათიურობას მოითხოვს. ასევე, საკმაო წარმოსახვასაც, რათა იმ ეპოქის „როლში შევიდნენ“, რომელსაც სწავლობენ.

შეგიძლიათ ბავშვებს სთხოვოთ რომელიმე ცნობილი ფიგურის მაგიერ დაწერონ „დღიურები“, ისეთის, როგორიცაა, მაგალითად, ფლორენს ნაითინგეილი ან იზამბარდ კინგდომ ბრუნელი. ისეთ სტილში უნდა დაწერონ, თითქოს ამა თუ იმ მოვლენას უშუალოდ ესწრებოდნენ. არ დაგავიწყდეთ, რომ უმცროსკლასელებისთვის უფრო იოლი თავიანთი თანატოლების თვალთახედვის გაგებაა, ამიტომ შეეცადეთ მათი ასაკის ისტორიული პერსონაჟები შეურჩიოთ. მაგალითად, როცა ჰოვარდ კარტერმა ტუტანხამონის სამარხი აღმოაჩინა, ეს აკლდამა პირველად პატარა ბიჭუნამ შენიშნა, რომელსაც მუშებისთვის წყალი დაჰქონდა. სწორედ მან იპოვა სამარხის შესასვლელი მაშინ, როცა მიწაზე იჯდა და პატარა ჯოხით თამაშობდა. უმცროსკლასელებს, უმჯობესია, ამ ბავშვის როლში შესვლა დაავალოთ, ვიდრე თავად ჰოვარდ კარტერისა.

შეგიძლიათ მოსწავლეებისთვის ესა თუ ის ისტორიული სცენარი თავადაც მოიფიქროთ. მაგალითად, უთხარით წარმოიდგინონ, თითქოს პატარა ბავშვები არიან, რომლებიც თავიანთ სოფელზე ვიკინგების თავდასხმის მოწმენი გახდნენ. შეიძლება ისინი ახალბედა მონაზვნად ან ბერად „აქციოთ“, ვინც იგებს, რომ ჰენრი VIII მათი მონასტრის დახურვას აპირებს. ან თავი წარმოიდგინონ პატარა ძველ ბერძენ ბიჭუნად, რომელსაც ჯარში უშვებენ საწვრთნელად, რათა პროფესიონალ მეომრად აქციონ.

ჩამორჩენილებს ნამუშევრის ჩარჩოს ჩამოყალიბებაში დაეხმარეთ ან კლასს სთხოვეთ ძირითადი საკითხები ერთობლივად შეიმუშაონ და შემდეგ ეს ინფორმაცია სადმე თვალსაჩინო ადგილას გამოაკარით, რათა თითოეულმა მოსწავლემ მისი წაკითხვა შეძლოს.

„წერილები“ „დღიურების“ ერთ-ერთი ალტერნატივაა. ეს კიდევ ერთი ძალიან სასარგებლო სავარჯიშოა, რომელიც მოსწავლეებს ისტორიული მოვლენების განმეორებისა და ახსნის საშუალებას მისცემს. ამასთანავე, ამ ხერხს მაშინაც შეგიძლიათ მიმართოთ, როდესაც გსურთ, რომ მოსწავლეებმა ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით თავიანთი სუბიექტური აზრი დააფიქსირონ.

მაგალითად, ბავშვებს შეუძლიათ ინგლისის პარლამენტს მისწერონ წერილი, რომელშიც ღატაკთა შემწეობების კანონმდებლობასთან დაკავშირებით თავიანთ პოზიტიურ ან ნეგატიურ პოზიციას გამოხატავენ. როცა პირველ მსოფლიო ომს გადიხართ, მოსწავლეებს დაავალეთ დაწერონ „წერილები სანგრებიდან“, რომელთა ადრესატებიც მათი „ნათესავები“ იქნებიან. აქვე შეგიძლიათ ასეთი აქტივობა განახორციელოთ: ბავშვებს ერთმანეთის წერილების ცენზურა დაავალეთ, როგორც ეს რეალობაში ხდებოდა ხოლმე, ოღონდ თავიდან ამ ინსტიტუტის მოქმედების პრინციპი კარგად უნდა აუხსნათ.

უმცროსკლასელებსა და არც თუ ძალიან ნიჭიერი მოსწავლეებისთვის კარგი იქნება, თუ თავად მიაწვდით გარკვეულ შაბლონს, რომლის საფუძველზეც თავიანთ ტექსტს ააგებენ, და, რა თქმა უნდა, ძირითადი ტერმინების ნუსხას. აღსანიშავია, რომ როგორც კი ასეთი ბავშვები „წერილების“ წერის სტილს გაითავისებენ, მათი ნამუშევარი, ჩვეულებრივ, ძალიან საინტერესო და გამახალისებელია ხოლმე. ამასთანავე, ბევრი მოსწავლე ცდილობს ნამუშევარი მაქსიმალურად რეალისტურად შეასრულოს. ასეთ შემთხვევებში გამორიცხული არ არის გრაგნილის ფორმის ფურცელი მოგთხოვონ (იხ. იდეა 78) ან რომელიმე ძველთაძველი ფონტი, თუ წერილს კომპიუტერში ბეჭდავენ. იმის შეხსენება არ დაგავიწყდეთ, რომ ტექსტი რაც შეიძლება გარკვევით დაწერონ!

„წერილების“ წერის შემოკლებული ალტერნატივაა საფოსტო ბარათების შევსება. თუ ისტორიულ ამბებში მაქსიმალური რეალისტურობა გსურთ, ეს მეთოდი მარტო მე-19 და მე-20 საუკუნეების მოვლენების სწავლისას გამოიყენეთ. შეგიძლიათ ამ ანაქრონიზმზე თვალი დახუჭოთ, მეტიც, გამოიყენოთ კიდევაც — მაგ., ბავშვებთან იმაზე იმსჯელეთ, რატომ არ იყო საფოსტო ბარათები, ვთქვათ, ტიუდორების ეპოქაში!

საფოსტო ბარათების სავარჯიშოს კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს, აქ მარტო ტექსტის დაწერა არ კმარა, ბარათის მეორე მხარეს ესა თუ ის გამოსახულებაა დასახატი. კლასს სუფთა ფურცლები ჩამოურიგეთ, რომლისგანაც თითოეული თავის ბარათს დაამზადებს. თუ დროის დეფიციტი გაქვთ, რამდენიმე სურათი წინასწარ შეურჩიეთ ბარათის მეორე მხარეს დასახატად. აქვე, მათ მიერ ქრონოლოგიის აღქმის შესამოწმებლად, შეგიძლიათ ერთი-ორი ისეთი სურათი შესთავაზოთ, რომლებიც შესაბამის დროით ჩარჩოებს არ ემთხვევა.

გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს, როგორ შეიძლება ეს სავარჯიშო გამოიყენოთ: წარმოიდგინეთ, რომ ვიქტორიანულ ეპოქაში რომელიღაც ინგლისელი არისტოკრატის სახლში მსახურად მუშაობთ და ნება დაგრთეს, დედას წერილი მიწეროთ იმის შესახებ, რას ნიშნავს ამ ადგილას მუშაობა; წარმოიდგინეთ, რომ ტიუდორების ეპოქაში სოფლიდან რომელიღაც დიდ ქალაქში ჩახვედით და გსურთ მშობლებს შეატყობინოთ, რომ უკვე ადგილზე ხართ; წარმოიდგინეთ, რომ გემის ბორტზე ხართ, რომელიც დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ძიებაშია; ან, რომაელი ლეგიონერი ხართ, რომელიც სამსახურის მოსახდელად ადრიანეს ზღუდეებთან გაგგზავნეს და გინდათ ოჯახს რომში შეატყობინოთ, რომ თქვენთან ყველაფერი კარგად არის.

ეს სავარჯიშო კარგია იმის გასარკვევად, ბავშვებმა თემა კარგად გაიგეს თუ არა. გარდა ამისა, ამ აქტივობის საშუალებით შეამოწმებთ, შეუძლიათ თუ არა ინფორმაციის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა. კარგი იქნება, თუ ამ სავარჯიშოს მას შემდეგ შეუდგებით, როცა მოსწავლეებს უკვე აქვთ მომზადებული კვლევითი სახის საშინაო დავალება, რომელშიც კლასში მოსმენილი ინფორმაციას ადაპტირებას მოახდენენ და გამოიყენებენ.

უთხარით, თითქოს უკვე ნასწავლი თემა რომელიმე უმცროს კლასს უნდა მოუყვნენ, თანაც რთული სიტყვების მნიშვნელობაც უნდა აუხსნან და ასეთი ტერმინების შედარებით მარტივი ალტერნატივების გამოყენებაც ასწავლონ. ამ საქმეში თავიანთი ილუსტრაციების გამოყენებაც შეუძლიათ, ისევე როგორც თქვენ მიერ შერჩეული სურათების. კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს ამგვარი ნამუშევრის მაგალითსაც აჩვენებთ, რათა დავალება უკეთესად გაითავისონ. ბოლოს და ბოლოს, მე-3 კლასი მერვეკლასელი მოწაფისთვის ხომ ძალიან შორეული წარსულია!

თუ საშუალო კლასებს ასწავლით, ეს ხერხი კარგი საშუალებაა უმცროს კლასებთან გარკვეული „ხიდების“ გასადებად. მოსწავლეებს შეუძლიათ თავიანთი წიგნები უმცროს კლასებს გაუგზავნონ ან თავად მივიდნენ პატარებთან და მინი-პრეზენტაცია მოაწყონ. უმცროსკლასელებისგან უკუკავშირიც უნდა წამოვიდეს, უნდა თქვან, რა მოეწონათ ამა თუ იმ წიგნში, რა ისწავლეს აქედან და ა.შ. ამას გარდა, შესაძლებელია საბოლოო პროდუქტის სკანირება და ტექსტის სასკოლო ვებ-საიტზე დადება, სადაც ნებისმიერს შეუძლია გაეცნოს. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტიანი მაშინ არის, როცა ზედა და ქვედა კლასები ერთსა და იმავე თემას ერთდროულად სწავლობენ. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი თემაა ტიუდორების დინასტიის ისტორია. ამასთანავე, უნდა დარწმუნდეთ, რომ უფროსკლასელები პატარებს უფრო მოცულობით და დახვეწილ ინფორმაციას აწვდიან, ვიდრე სახელმძღვანელოშია.

ინფორმაციის მიწოდების კიდევ ერთი კარგი საშუალებაა, ბავშვებს თავად გააკეთებინოთ სახელმძღვანელოს გვერდები. ამისთვის, პირველ რიგში თქვენი საკუთარი ისტორიული ცნობარი ანახეთ და ჰკითხეთ, რა მოეწონათ და რამ მიიზიდა მათი ყურადღება. შეგიძლიათ ბავშვებს სავარჯიშო ინდივიდუალურად ან წყვილებში დაავალოთ. კარგი იქნება, თუ დავალებას A3-ის ფორმატში შეასრულებენ. შეუძლიათ თავად მოიფიქრონ მთავარი კითხვა, რომელსაც სათაურად გამოიტანენ. ეს ძალიან პრაქტიკულია, რათა მოწაფეებმა ძირითად თემას არ გადაუხვიონ. ამისთვის სთხოვეთ იფიქრონ, პასუხობს თუ არა მათ მიერ ნაშრომში შეტანილი თითოეული ცნობა ამ მთავარ კითხვას.

აქვე შეუძლიათ შეიტანონ ცხრილები, სქემები და გრაფიკები, ისტორიული წყაროები თვენ მიერ წინასწარ მიწოდებული სიიდან, მათ მიერვე შექმნილი ან მოძიებული ილუსტრაციები, კითხვები, სხვადასხვა სავარჯიშო, რომლებიც, მოსწავლეების აზრით, მკითხველისთვის სასარგებლო იქნება; ასევე, გლოსარიუმი და ძირითადი ტერმინების ჩამონათვალი. თუ ბავშვებს ერთმანეთის გამომრიცხავ წყაროებს აწვდით, ეს საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგია იმის გასაანალიზებლად, ადამიანები ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვანაირად რატომ აღიქვამენ.

სავარჯიშოს ცოტათი გართულებაც შეიძლება, თუკი უკვე მომზადებულ ფურცლებს მთელ კლასს წააკითხებთ და თანაკლასელებს ერთმანეთის ნაშრომების გაკრიტიკების საშუალებას მისცემთ. კარგი იქნება, თუ ასეთი დისკუსიის გზით მიღებული ინფორმაცია საბოლოო ნაშრომზე აისახება. ნაშრომებს მერე კედლებზე გამოაკრავთ, რაც მომავალში დაგეგმილი ღონისძიებისთვის კარგ ფონს შექმნის.

ეს წინა სავარჯიშოს ალტერნატიული აქტივობაა. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ტექნიკა ხელმისაწვდომია, შესაძლებელია, Iთ დეპარტამენტთან ერთად, ინტერნეტში რეალურად განახორციელოთ. პირველ რიგში, მოსწავლეებს აუხსენით, ვინ არის მათი აუდიტორია: ადამიანები, რომლებმაც აღნიშნული საკითხის შესახებ არაფერი იციან, თუ სხვა მოსწავლეები, რომლებიც იმავე თემას სწავლობენ? იქნებ იმ ხალხისთვის აკეთებთ, ვინც საკითხში ძალიან კარგად ერკვევა და სურს, რომ კიდევ უფრო მეტი გაიგოს?

კლასი რამდენიმე ჯგუფად დაყავით და თითოეულს თემა მათი სპეციფიკური ინტერესის მიხედვით შეურჩიეთ. მაგალითად, ერთ ჯგუფს შეგიძლიათ ამა თუ იმ ეპოქის ტანსაცმელსა და მოდაზე ინფორმაციის მოძიება დაავალოთ, მეორეს — სახლებისა და ავეჯის შესახებ და ა.შ. სავარჯიშოს საბოლოო პროდუქტი უნდა იყოს ფურცელზე გამოსახული ვებ-საიტის ერთი გვერდი, ანუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ბავშვების წარმოდგენით ეს გვერდი მონიტორზე. იმის საჩვენებლად, რა განსხვავებაა წიგნებსა და ვებ-საიტებს შორის, ამოუბეჭდეთ და ანახეთ ამის რამდენიმე ნიმუში ან საშინაო დავალების ფორმატში უთხარით, ასეთი მაგალითები თავად იპოვონ. არ დაგავიწყდეთ შეახსენოთ, რომ კარგ ვებ-საიტებზე გვერდები დიდი მოცულობის არ არის ხოლმე, რადგან ბევრი ინფორმაცია სხვა გვერდებზეა, სადაც შესაბამისი ლინკებით უნდა გადახვიდეთ. გამომდინარე აქედან, მოსწავლეებს შეუძლიათ თემის შესაბამისი ძირითადი ტერმინები შეარჩიონ და შემდეგ ლინკებად აქციონ. ეს მათ საშუალებას მისცემს იმაზეც ფიქრი დაიწყონ, როგორ დაუკავშირონ ის თემა, რომელსაც ამჟამად სწავლობენ, სხვა თემებს.

ეს სავარჯიშო კროს-კურიკულუმის კავშირებს ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში ლაპარაკი იქნება საკვების წარმოების ტექნოლოგიაზე. ამასთანავე, თუ წარსულის რეცეპტების რეკონსტრუქცია სხვადასხვა მიზეზების გამო შეუძლებელია, ამა თუ იმ ეპოქის გასტრონომიული მიდრეკილებების შესწავლას მაინც მოახერხებთ.

ეს ფრიად სახალისო აქტივობაა და, ალბათ, ამისთვის საუკეთესო დრო მეცადინეობის ბოლო ნაწილი იქნება. შეადგინეთ იმ პროდუქტების მაქსიმალურად ვრცელი სია, რომლებიც ამა თუ იმ ეპოქის ადამიანების საკვებ რაციონში მოიძევებოდა. თუ საკმარისი ინფორმაცია გაქვთ იმის შესახებ, რას მიირთმევდნენ, ერთი მხრივ, მდიდრები და, მეორე მხრივ, ღარიბები, შეგიძლიათ კლასი ორ ნაწილად გაყოთ. შესაბამისად, ერთი ნაწილი „არისტოკრატულ“ მენიუს შეადგენს, მეორე კი – ღატაკებისას. ამას შეიძლება ბაზრის სასადილოში გამოკრული მენიუს ფორმა მისცეთ ან გააკეთებინეთ გრაგნილი ტიუდორების ღრეობაზე მირთმეული კერძების ჩამონათვალით. აქ მოსწავლეებმა კვლევითი უნარებიც უნდა განავითარონ — ინტერნეტში ავთენტური კერძების გამოსახულებები მოიძიონ. ამ კუთხით ქსელში ხშირად საკმაოდ მრავალფეროვანი ინფორმაციის პოვნა შეიძლება. გარდა ამისა, ინფორმაციის მისაღებად წიგნებიც საკმაოდ კარგი წყაროა. მოწაფეებს ურჩიეთ, თემატური ფოტოების გაფერადებული ასლები თავიანთ ნამუშევარს დაურთონ.

ეს აქტივობა მომიჯნავე თემების განხილვის საშუალებასაც იძლევა. მაგალითად, მდიდრებისა და ღარიბების კერძების განხილვით დაიწყეთ, შემდეგ კი ნელ-ნელა გადადით ისეთ თემაზე, როგორებიცაა, ვთქვათ, სოციალური ან კლასობრივი პასუხისმგებლობის საკითხები.

მიუხედავად იმისა, ნორმანების კვადრატული ციხესიმაგრეა, რკინის ხანის ადამიანის მიწური, რომაულის ვილა თუ ტიუდორების ეპოქის კომერსანტის სახლი, შენობების შესწავლა ყოველთვის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია უამრავი ფოტო, ნანგრევი თუ რეკონსტრუქცია, რაც იმის ბრწყინვალე შესაძლებლობას გვაძლევს, გავიგოთ, როგორ და სად ცხოვრობდნენ ადამიანები წარსულში. მოსწავლეებს აუხსენით, რომ ბევრი ასეთი სახლის ყიდვა-გაყიდვა, როგორც დღეს ხდება ხოლმე, მაშინ შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, შეგიძლიათ მოიგონოთ რაიმე მიზეზი, რომლის გამოც გაიძვერა შერიფმა, სამხედრო მეთაურმა თუ მემამულემ მოსწავლეებს ამა თუ იმ ნაგებობის გასაყიდად განცხადების შედგენა სთხოვა.

იმის საჩვენებლად, როგორ გამოიყურება საერთოდ ასეთი განცხადებები, ბავშვებს უძრავი ქონების აგენტის რეალური დოკუმენტები წააკითხეთ. როგორც კი კლასი ამას კარგად გაიაზრებს, სთხოვეთ თავად შეადგინონ მსგავსი რამ იმ კონკრეტული შენობის შესახებ, რომელიც მათ ამჟამინდელ თემას უკავშირდება. ჩვეულებრივ, ასეთი განცხადებები გასაყიდი ქონების ერთ ან ორ სურათსაც შეიცავს, ასევე ოთახებისა და სხვა სათავსოების აღწერილობას, ადგილმდებარეობასა და იმ ავეჯის ჩამონათვალს, რომელიც სახლთან ერთად იყიდება. ფასის დადგენაზე დიდად თავი არ შეიწუხონ. თუ მაინც გაუჭირდათ ფასის დადება, უბრალოდ მიაწერონ: „იყიდება აუქციონზე“ ან „ფასი შეთანხმებით“. ეს ბევრად უფრო მიმზიდველი აქტივობაა, ვიდრე სახელმძღვანელოდან ამა თუ იმ გრაფიკის უბრალოდ გადმოწერა.

მთავარი ისტორიული მოვლენები გაზეთის მთავარ გვერდს იმსახურებს! მიუხედავად იმისა, კომპიუტერში აკეთებთ ამ სავარჯიშოს თუ ფურცელზე ხელით ხატავთ, ეს მოსწავლეებისგან დიდ მონდომებას მოითხოვს. იმის იმედი არ გქონდეთ, რომ ბავშვებს გაზეთთან დაკავშირებული დეტალები ეცოდინებათ. თავად აჩვენეთ გაზეთების პირველი გვერდები, ასევე იმიტირებული ისტორიული წიგნები, რომლებიც საბავშვო მაღაზიებსა და ბიბლიოთეკებში უხვადაა.

ყველაზე გულმოდგინე მოსწავლეები მოინდომებენ, რომ მათი ნამუშევარი რეალობასთან მაქსიმალურად ახლოს იყოს, ამიტომ სვეტებსაც დაწერენ, ფასსაც დააფიქსირებენ და შესაძლოა გაზეთის შიგთავსის ანონსებიც გამოიტანონ პირველ გვერდზე. ჩამორჩენილებს კი, პირველ რიგში, ნაშრომის სტრუქტურიზაცია გაუჭირდებათ. მათთვის, ალბათ, საჭირო გახდება წერილობითი ჩარჩოების მიცემა, რათა შესაბამისი ინფორმაცია სწორად ჩამოაყალიბონ. ასევე, მზა ფურცლები, რომელზეც ჩაწერილი იქნება გაზეთის სახელწოდება, თარიღი, ჰედლაინები და ფოტოები.

საგაზეთო სტატიებს თავისი სპეციფიკური ფორმა აქვს და სხვა სახის ტექსტებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. კერძოდ, სტატია ამა თუ იმ მოვლენის მოკლე მიმოხილვით იწყება და მხოლოდ შემდეგ ხდება დეტალებში ჩაღრმავება. ზოგჯერ აქვე თვითმხილველთა ნაამბობიც შედის ხოლმე. ეს პრინციპი კლასს სავარჯიშოს დაწყებამდე უნდა აუხსნათ და, სადაც საჭიროა, კონკრეტული მაგალითებიც აჩვენოთ.

როგორც კი ბავშვებს მიკერძოებულობის პრინციპებს გააცნობთ, საგაზეთო სტატია იდეალური ფორმატი აღმოჩნდება იმისთვის, რათა მიკერძოებული ტექსტი დაწერონ. მაგალითად, თუ ჰასტინგსის ბრძოლაზე წერენ, ეს შეუძლიათ გააკეთონ როგორც საქსონელების, ასევე ნორმანების თვალთახედვიდან. ისე, ძალიან სახალისო იქნება, თუ თითოეული მხარის მიერ შერჩეულ საგაზეთო ჰედლაინს წარმოიდგენთ. იმ შემთხვევაში კი, თუ რეფორმაციის პერიოდს გადიხართ, ბავშვებს შეუძლიათ სტატიაში შესატანი ინფორმაცია დაინახონ როგორც კათოლიკეს, ასევე პროტესტანტის თვალით.

ესეების წერა შესაძლებელია უმცროსკლასელებსაც დააწყებინოთ, ოღონდ მხოლოდ წინასწარ შერჩეული შაბლონების გამოყენებით, რაც მათ ძირითად მიმართულებებზე მიუთითებს. თუმცა ამ აქტივობას, ძირითადად, მაინც მაღალ კლასებში იწყებენ. ამისთვის მოსწავლეები თავიდან შესაბამის ინფორმაციას აგროვებენ ხოლმე და მერე, ამ ცნობებზე დაყრდნობით, ნარკვევების წერას შეუდგებიან. ნარკვევები, ჩვეულებრივ, სკოლის მე-7 წლიდან შემოდის პროგრამაში. ამ უნარის განსავითარებლად თავიდან აუცილებელია ბავშვებისთვის გარკვეული შაბლონების, გინდათ – ჩარჩოების, შედგენა. თავიდან ბავშვებს სტანდარტული ესეების წერას აჩვევენ. აქ სტანდარტი დაახლოებით ისეთივეა, როგორიც კითხვა-პასუხის სტილში წერისას.

ჩარჩოს ელემენტები ნელ-ნელა, ყოველი მომდევნო ნარკვევის შემდეგ უნდა მოაცილოთ. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ ბავშვები თავს მყარად არ იგძნობენ, რომ სწორად სტრუქტურიზებული ნაშრომის დაწერა შეუძლიათ. მომდევნო ეტაპებზე, შაბლონების ნაცვლად, შესაძლებელია პატარ-პატარა მინიშნებებისა და კითხვების სისტემის გამოყენება.

იმის ასახსნელად, რას მოელით, კარგია, თუ ანალოგიების მეთოდს მიმართავთ. ძალიან პოპულარულია „ჰამბურგერის“ ანალოგია. ანახეთ ჰამბურგერის სურათი. პურის ზედა ნაჭერი ესეს შესავალი ნაწილია, თავად ბურგერი — ძირითადი ნაწილი, ქვედა პური კი დასკვნა. სრულყოფილი ჰამბურგერი რომ გამოვიდეს, ყოველი ეს ნაწილი თავის ადგილზე უნდა იყოს. თუმცა მთავარი ნაწილი, ცხადია, ხორცის ნაჭერია. პრინციპში, ხორციანი ჰამბურგერის ვეგეტარიანული ანალოგის გამოყენებაც არ იქნებოდა ურიგო!

მოსწავლეებს ურჩიეთ, ნაშრომი გაახალისონ და თითოეული მოსაზრება ჯეროვანი არგუმენტებით გაამყარონ, მაგალითად, იმ წყაროებით, რომლებიც უკვე ნასწავლი აქვთ. შემდეგ უნდა ახსნან, რას ნიშნავს ესა თუ ის არგუმენტი. ამას შეიძლება „მოსაზრება/მტკიცებულება (ან მაგალითი)/ახსნის“ მეთოდი ვუწოდოთ. ნარკვევების წერის სწავლა სასკოლო ატესტატის მისაღებად ყველა მოსწავლისთვის აუცილებელია, მიუხედავად იმისა, უმაღლეს სასწავლებელში ისტორიის სწავლის გაგრძელებას აპირებს თუ არა.

წროცა ისტორიულ ფიგურებს სწავლობთ და გსურთ, რომ მოსწავლეებმა კარგად გაითავისონ ამ ადამიანების ცხოვრების ძირითადი მომენტები ან მათი წვლილი საზოგადოებრივ ცხვრებაში, დაავალეთ ეს ინფორმაცია ნეკროლოგის ფორმატში წარმოადგინონ. გაზეთებში ნეკროლოგების რამდენიმე მარტივი მაგალითი იპოვეთ და ბავშვებს აჩვენეთ, რა, ჩვეულებრივ, ნაწილებისგან შედგება ხოლმე ასეთი ტექსტები. ეს სავარჯიშო მოწაფეებს მიკერძოებულობის, გინდათ სუბიექტურობის წყაროების შეფასების საშუალებას აძლევს. თუ ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება გსურთ, ესა თუ ის პერსონაჟი „კარგი ბიჭი“ იყო თუ „ცუდი ბიჭი“, შეგიძლიათ სთხოვოთ ნეკროლოგი მიკერძოებულად დაწერონ.

ამ სავარჯიშოს გამარტივებული ვარიანტი ისტორიული ფოგურების საფლავებზე ეპიტაფიების დაწერაა, სადაც ამ ადამიანების წვლილი და მიღწევები ერთ ან ორ სტრიქონში იქნება შეჯამებული. ამასთანავე, თუ ისტორიულ პერსონაჟს სადავო რეპუტაცია აქვს, მაგალითად, როგორც ოლივერ კრომველს, ბავშვებს შეუძლიათ ერთდროულად რამდენიმე ეპიტაფია შეადგინონ, სადაც განსხვავებულ მოსაზრებებს დააფიქსირებენ. ან თავად მოიძიონ ის მტკიცებულებები, რომელთა საშუალებითაც თავიანთ პოზიციებს გაამყარებენ. ეპიტაფიების გამოყენება ამა თუ იმ ფიგურის, მისი წვლილისა და მოტივების ირგვლივ დისკუსიების დასაწყებადაც საკმაოდ სასარგებლოა.

ამასთანავე, წარმოსახვით საგვარეულო საძვალეებზე ეპიტაფიების მიწერა ბავშვებს განსხვავებული სოციალური სისტემების აღქმაშიც დაეხმარება.

ანგარიშების წერა ძალიან კარგი სავარჯიშოა, თუ გსურთ, რომ მოსწავლეებმა წყაროებზე მუშაობისა და მათი შეფასების უნარები განავითარონ. უთხარით წარმოიდგინონ, თითქოს ინფორმაციას სპეციალურად მეფისთვის აგროვებენ, ან მთავრობისთვის, ან თუნდაც გლეხებისთვის, რომლებიც აჯანყების დასაწყებად ემზადებიან. მაგალითად, შეუძლიათ მეფე ჰენრი VIII-ისთვის მონასტრებში არსებულ განწყობაზე ანგარიშის მომზადება ან მთავრობისთვის ინფორმაციის შეგროვება იმის თაობაზე, რიჩარდ III კარგი მეფეა თუ ცუდი. ჩვეულებრივ, ასეთი რაპორტები ობიექტური და მიუკერძოებელია ხოლმე, თუმცა შეგიძლიათ ბავშვებს სხვანაირი ამოცანაც დაუსახოთ, მაგალითად, უთხრათ, რომ ზემოთ მოყვანილ პირველ შემთხვევაში მონასტრების შესახებ მხოლოდ ნეგატიური ინფორმაცია შეაგროვონ, მათ კორუმპირებულობაზე გააკეთონ აქცენტი, რიჩარდ III-სთან დაკავშირებით კი, პირიქით, მთავრობას მის მიერ ბრძოლის ველზე გამოჩენილი საარაკო სიმამაცის შესახებ მიაწოდონ მაგალითები – ეს მიკერძოებული ანგარიშის არც თუ ურიგო მაგალითები იქნება.

ანგარიში შეიძლება დაიწეროს მოგზაურის სახელითაც, რომელიც მისი მეშვეობით შეეცდება, მონარქი შორეულ ქვეყნებში ექსპედიციის გაგზავნის აუცილებლობაში დაარწმუნოს, ან მტკიცე არგუმენტებს იმპერატორ ადრიანეს დაყოლიებას შეეცადოს, რათა ინგლისის ჩრდილოეთში დიდი ზღუდის აგება ბრძანოს. მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფისთვის განსხვავებული ან ერთმანეთის საპირისპირო ამოცანების დასახვა ნაყოფიერი დისკუსიის კარგი დასაწყისი შეიძლება გახდეს და, გამორიცხული არ არის, მომავალში ვრცელი ნარკვევის საფუძველიც გახდეს.

თქვენს კლასში განსხვავებული შესაძლებლობების მქონენი არიან, ძალიან ნიჭიერი ბავშვებით თუ შედარებით თანაბარი უნარების მქონენით არის დაკომპლექტებული, ყოველთვის გამოჩნდებიან ისეთი მოსწავლეები, რომლებიც ყველა დავალებას ძალიან სწრაფად გაუმკლავდებიან და, შესაბამისად, დამატებით სამუშაოს საჭიროებენ. უპირველეს ყოვლისა, ის გაარკვიეთ, რატომ დაასრულა რომელიმე მოსწავლემ დავალება ნაადრევად: შეიძლება მათი ნამუშევარი ძალზე ზედაპირულია და სწორედ ეს გახდა სწრაფად დასრულების მიზეზი. ასეთ მოსწავლეებს დამატებითი სამუშაო, რა თქმა უნდა, არ სჭირდებათ. მათ ან იმავე სამუშაოს ხელმეორედ გაკეთება უნდა სთხოვოთ, ოღონდ უკვე სხვა შედეგი რომ მოგცენ, ან შეგიძლიათ სხვა, ისეთივე სირთულის დავალება მისცეთ.

უფრო ნიჭიერი ბავშვები, რომლებიც დავალებას სწრაფად და, ამავე დროს, მაღალხარისხიანად ასრულებენ, მართლაც, უკვე ცოტა მეტ დატვირთვას საჭიროებენ. შეგიძლიათ ამ მოსწავლეებს უფრო მაღალი კლასებისთვის განკუთვნილი სავარჯიშოებიც კი დაავალოთ. ამასთანავე, ყოველთვის უმჯობესია, დავალება მთელ კლასს მისცეთ და არა ერთ ან რამდენიმე ნიჭიერ მოსწავლეს.

არ დაგავიწყდეთ, რომ ზოგიერთი მოსწავლე დამატებითი დავალების შესრულებას სიამოვნებით თანხმდება ხოლმე, სხვები კი, ვინც არც თუ მცირე ენერგია დახარჯა, რათა სავარჯიშო დროულად და კარგად შეესრულებინა, შეიძლება სულაც არ იყოს ახალი დავალების მიღების ხასიათზე. ამიტომ დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს დამატებითი დავალების შესრულების ჯეროვანი მოტივაცია აქვთ. ამ დროს ძალიან კარგია, როცა მოსწავლეები მათ მიერვე შერჩეულ თემატურ პროექტებზე მუშაობენ და შეუძლიათ, როგორც კი დავალების შესრულებას დაასრულებენ, პირდაპირ თავიანთ პროექტებზე გადაერთონ. ზოგიერთი მოსწავლისათვის ინდივიდუალურ საკვლევ პროექტში მონაწილეობა კარგია, ოღონდ ეს პროექტი ამა თუ იმ კონკრეტული უნარის განვითარებას უნდა უკავშირდებოდეს, რაც მოსწავლისთვის სასარგებლოა, ან თავად არის მოწადინებული, რომ განივითაროს.

ნ ა წ ი ლ ი

5

თეატრალური აქტივობები

როცა, ცოტა არ იყოს, ენერგიულ კლასთან მუშაობთ, შეიძლება იმის წარმოდგენამაც კი შეგზაროთ, რომ მათთან ერთად გარკვეული ინსცენირებების გაკეთება მოგიწევთ. მიუხედავად ამისა, უნდა იცოდეთ, რომ, მკაფიო წესების პირობებში და ინსტრუქციების მკაცრი დაცვით, „დრამატული აქტივობები“ ისტორიის გაკვეთილზე ფრიად სასარგებლო რამაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ყველაფერი კარგადაა სტრუქტურირებული. ამგვარ სავარჯიშოებს გაკვეთილზე მეტი სიცოცხლე შემოაქვთ და ბავშვებს ისტორიული პერსონაჟების მოტივაციის გაგებაშიც ეხმარება. ამასთანავე, ეს აქტივობა იმ მოსწავლეებსაც იზიდავს, რომლებიც წერა-კითხვის უნარებში ცოტა მოიკოჭლებენ და ამიტომ სხვა სახის დავალებებს უფრთხიან ხოლმე. არ დაგავიწყდეთ ისიც, რომ ძალიან ხშირად ასეთი აქტივობა ბავშვების მეხსიერებაში ღრმად იჭრება და სკოლის დამთავრების შემდეგაც დიდხანს ტოვებს კვალს.

გამომდინარე იქიდან, რომ თეატრალური თამაშობები ბევრად უფრო ხმაურიანია, ვიდრე ჩვეულებრივი გაკვეთილი, წინასწარ უნდა მოამზადოთ ისეთი სიგნალი, რომელიც ბავშვებს მიახვედრებს, რომ ყველანი უნდა გაჩუმდნენ. ეს თქვენი საკუთარი ხმოვანი იოგების დაძაბვასაც აგაცილებთ თავიდან! კლასს აუხსენით, რომ, როგორც კი ხელს მაღლა აიშვერთ, მათაც იგივე უნდა გააკეთონ და წყნარად დადგნენ ფეხზე იმის დასტურად, რომ სიგნალი გაიგეს. ამ ნიშანმა უკეთ რომ იმუშაოს, შესაძლებელია გარკვეული სტიმულის მოფიქრებაც. მაგალითად, ბავშვებს უთხარით, რომ ვინც ხელს ბოლოს აწევს, მას გარკვეული მსუბუქი „ჯარიმა“ დაეკისრება, ვთქვათ, გაკვეთილის დასრულების შემდეგ წიგნების შეგროვება ან სკამების თავის ადგილას დალაგება.

თეატრალური აქტივობები, ჩვეულებრივ, ჯგუფური სავარჯიშოა. ამ დროს ბიჭებს ხშირად საბრძოლო სცენების გაცოცხლების სურვილი უჩნდებათ ხოლმე, ყველაზე წყნარი ბავშვები კი გარიყუნი არიან. ამგვარ „გვერდით ეფექტებს“ რომ თავი ავარიდოთ, ბავშვები ჯგუფებში თავად გაანაწილეთ. ამის გაკეთების უამრავი გზა არსებობს: მაგალითად, ერთი-ორზე გათვლა შემთხვევითობის პრინციპის დაცვით, გოგონებისა და ბიჭების თანაბარი გადანაწილება და ა.შ.

მოსწავლეებს შეუძლიათ გარდასულ დროთა ადამიანების „ტყავის მორგება“ და ახლად შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება პატარ-პატარა თეატრალურ დადგმებში მონაწილეობით, რომელთა სცენარსაც თავად დაწერენ. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს რომელიმე კონკრეტული მოვლენის აღწერას, რომელსაც თქვენ დაავალებთ, ან რომელიმე ისტორიული ფიგურის საქციელს ამა თუ იმ ისტორიულ მომენტში.

მაგალითად, თუ შუა საუკუნეების ოჯახურ ცხოვრებას სწავლობთ ფეოდალური სისტემის მოწყობის კუთხით, მოსწავლეები ჯგუფებად დაყავით. ერთი ოჯახის მამა იყოს, მეორე — დედა, მესამე — ადგილობრივი ფეოდალის მოურავი, სხვები კი შვილები. შესაძლებლობა მიეცით თავად გადაწყვიტონ, რა საქმიანობით უნდა დაკავდეს დადგმაში მათი პერსონაჟი. ამის შემდეგ კი რაიმე კონკრეტული სიტუაცია დაუსახეთ. ვთქვათ, მოურავმა დაიჭირა ერთ-ერთი ბავშვი მაშინ, როცა ის ფეოდალის ბაღიდან ვაშლს იპარავდა. რა მოხდება, როცა მოურავი ამ ოჯახის ღარიბულ ქოხში გამოცხადდება?

ზოგიერთი ასეთი დადგმა უფრო დახვეწილ სტრუქტურირებას მოითხოვს, ზოგი კი – მეტ ინფორმაციას ამა თუ იმ პერსონაჟის შესახებ. ასეთ შემხვევებში თითოეული პერსონაჟისთვის შესაბამისი ბარათი დაამზადეთ, სადაც ჩამოწერილი იქნება მათი მიდრეკილებები, რწმენები, რა უყვარს და რა არა, და ა.შ. ასეთი მზა ბარათები შეიძლება სახელმძღვანელოს დამატებაში იპოვოთ, რომელიც სპეციალურად პედაგოგებისთვის არის განკუთვნილი.

როგორც კი მოსწავლე როლში შევა, ახალ-ახალი სიტუაციების მოფიქრება შეგიძლიათ. თუ ბავშვები შუა საუკუნეების სოფლის მცხოვრებლებს თამაშობენ, შეადგინეთ ახალი ბარათი, სადაც მათთვის განსხვავებული სიტუაცია იქნება აღწერილი. მაგალითად, რა რეაქცია ექნებათ, თუ გაგანია შავი ჭირის ეპიდემიის დღეებში მათ სოფელში უცნობი ადამიანი გამოჩნდება და ღამის გათევას ითხოვს?

დადგმები შეიძლება ცნობილ ისტორიულ პერსონაჟებსაც უკავშირდებოდეს. ბავშვების წყვილს შეუძლია ახსნას, რას წარმოადგენდა 1851 წლის სახელგანთქმული დიდი გამოფენა, თუ ერთი მათგანი დედოფალ ვიქტორიას როლს შეასრულებს, მეორე კი – პრინც ალბერტისას.

როლური თამაშები იმითაცაა კარგი, რომ სცენარის დაწერა საერთოდ არ არის აუცილებელი, რადგან აქ საჭიროა, რომ მოთამაშემ ამა თუ იმ გამოწვევაზე მხოლოდ თავის გმირის რეაქცია აჩვენოს. ამისთვის გარკვეული რესურსების გამოყენება შეუძლიათ. მაგალითად, „მოგზაურობა იმქვეყნიურ სამყაროში“, რისიც ძველ ეგვიპტელებს აგრერიგად სჯეროდათ, შესაბამისი მინიშნებების გარეშე ძალიან რთული იქნება. ამავე დროს, ამ აქტივობაში ფიზიკური ჩართულობა მოსწავლეს მოვლენების თანმიმდევრობის კარგად დამახსოვრების საშუალებას მისცემს.

ასეთი სავარჯიშოების შესრულებისას ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ რომელიმე მოსწავლე, მორცხვობისა თუ სხვა მიზეზის გამო, მონაწილეობაზე უარს ამბობს. ასეთ ბავშვს „რეჟისორის“ ფუნქცია ჩააბარეთ. „რეჟისორმა“ თითოეული ‘მსახიობის’ აზრის გამოთქმის საშუალება უნდა უზრუნველყოს და ლაპარაკის დროს აუდიტორიის მხარეს იყოს შებრუნებული. მანვე უნდა იზრუნოს იმაზეც, რომ „დასს“ ყველა სათანადო რეკვიზიტი აქვს.

ამ დროს თქვენ თავად ან რომელიმე მოსწავლე ამა თუ იმ ისტორიული პერსონაჟის როლს ირგებთ და მთელი კლასის კითხვებს პასუხობთ. იმას, ვინც როლს ასრულებს, საკითხის კარგად ცოდნა მოეთხოვება, რათა დასმულ კითხვებს ჯეროვანი პასუხები გასცეს. გამომდინარე აქედან, თავიდან ჯობს, ეს როლი მასწავლებელმა შეასრულოს ხოლმე. სანამ ამ სავარჯიშოს შეუდგებოდეთ, ესა თუ ის მოვლენა ან ისტორიული ფიგურა კარგად უნდა შეისწავლოთ. აუცილებელი არ არის, ეს ვინმე ცნობილი ადამიანი იყოს, შეიძლება უბრალო მოკვდავი იყოს, რომელიც ლონდონის დიდი ხანძრის თვითმხილველი გახდა, ომის დროს დიდი ხანი გაატარა სანგრებში, იულიუს კეისრის მიერ ბრიტანეთში შეჭრას დაესწრო ან ორთქლის მატარებლის პირველი გასვლა იხილა. მოსწავლეებს სთხოვეთ ერთი ან ორი კითხვა მოკლედ ჩამოწერონ და დარწმუნდით, რომ სავარჯიშოსთვის ყოველ მათგანს კითხვები მომზადებული აქვს. როგორც კი ბავშვები წინასწარ მომზადებულ კითხვებს დასვამენ, დისკუსიამ უფრო ბუნებრივი სახე უნდა მიიღოს — კლასი იმპროვიზებულ კითხვებზე უნდა გადავიდეს.

შესაძლებელია კლასის ჯგუფებად დაყოფაც, რათა თითოეულმა მათგანმა კითხვა განსხვავებული თვალთახედვიდან დასვას. მაგალითად, თუ ოლივერ კრომველს სწავლობთ, ერთმა ჯგუფმა პარლამენტარების პოზიცია დააფიქსიროს, მეორემ — როიალისტების; თუ ბრიტანეთში რომაელების შეჭრას გადიხართ, კლასს უთხარით, რომ ერთმა ჯგუფმა ის ბრიტები წარმოადგინოს, რომლებიც ამ აგრესიას ეწინააღმდეგებიან, მეორემ კი ის კატეგორია, რომლისთვისაც რომაელების მოსვლა ამა თუ იმ მიზეზის გამო ხელსაყრელია.

თუ გსურთ, რომ სავარჯიშოს შედეგებზე წერილობითი ნამუშევარი მიიღოთ, მოსწავლეებს სთხოვეთ ამ ნაწერს ინტერვიუს სახე მისცენ, რომელსაც იმდროინდელ გაზეთსა თუ ჟურნალში გამოაქვეყნებდნენ.

ეს სავარჯიშო ცოტათი უფრო რთულია, ვიდრე როლური თამაშები და „ბრიფინგი“. აქ მოსწავლეებმა თავად უნდა წარმოადგინონ თავიანთი სცენარები, რომლებიც შემდეგ პრაქტიკაში უნდა „დაიდგას“, ზოგჯერ მცირედი მოდიფიცირებით. ეს კარგია მაშინ, როცა დიდი მოცულობის ინფორმაციასთან აქვთ შეხება, რაც როლური თამაშობებისას შეიძლება დაავიწყდეთ ხოლმე. ასევე კარგია, თუ ბავშვებს დაარწმუნებთ, რომ „პიესა“ სხვა კლასისთვის დადგან ან სულაც უფრო ფართო აუდიტორიისათვის. სხვადასხვა ისტორიული ფიგურის გამოყენება, რომლებზეც საწყის ინფორმაციას განსხვავებული წყაროდან მიიღებენ, მოსწავლეებს ინფორმაციის ანალიზს შეასწავლის და მიკერძოებულობისა და ობიექტურობის ერთმანეთისგან გარჩევასაც შეაჩვევს.

მრავალი მზა პიესა შეგიძლიათ მოიძიოთ. ზოგს იუმორისტული ხასიათი ექნება, სხვები სპეციალურად სასწავლო პროცესისთვის არის განკუთვნილი და მოსწავლეებს ეხმარება მოვლენების აღქმაში, როგორ მოხდა ესა თუ ის ისტორიული ფაქტი და რატომ. ხშირად ეს რეალურ თუ წარმოსახვით სასამართლო პროცესს უკავშირდება ხოლმე, მაგალითად ისეთს, როგორიც იყო მეფე ჩარლზ I-ის სასამართლო. მოსწავლეების მიერ ამგვარი ისტორიული ფაქტების ნაწილ-ნაწილ გათამაშებას სასწავლო პროცესში უფრო მეტი სიცოცხლე შემოაქვს, ვიდრე სქელტანიანი წიგნების დაზუთხვას.

ამ დავალებას პროექტის სახე რომ მისცეთ, შეგიძლიათ პატარ-პატარა ნიუანსები შემატოთ. მაგალითად, სთხოვოთ პერსონაჟების კოსტუმები ისტორიული სიზუსტით დახატონ ან იფიქრონ, ვთქვათ, ასეთ საკითხზე: ჰქონდა თუ არა მოსამსახურეს უფლება, წარჩინებული პოლიტიკოსებით გაჭედილი დიდი სასამართლო პროცესისთვის უშუალოდ მიემართა და სიტყვით გამოსულიყო.

ეს კიდევ ერთი საშუალებაა, ბავშვებმა თავი ამა თუ იმ ისტორიული პერსონაჟის ადგილას წარმოიდგინონ და მათი ქმედებები გააანალიზონ. სავარჯოშო პოპულარული სატელევიზიო თოქშოუს ფორმატში დაგეგმეთ; კარგი იქნება თუ ჯერი შპრინგერის სახელს საერთოდ არ ახსენებთ, თუ, რა თქმა უნდა, ხმაურისა და აურზაურის გამოწვევა არ დაგისახავთ მიზნად! მოსწავლეებმა ჯგუფებში უნდა გადაწყვიტონ, ვინ იქნება თოქშოუს წამყვანი და რომელ ისტორიულ ფიგურას მოიწვევენ თავიანთ საღამოზე.

თოქშოუ მოსახერხებელი ფორმატია იმისთვის, რათა ისტორიული პერსონაჟების ინტერვიუირება მოვახდინოთ, მიუხედავად იმისა, ეს ისეთი ცნობილი ფიგურაა, როგორც ოლივერ კრომველი თუ რომელიმე კონკრეტული მიმდინარეობის წარმომადგენელი, ვთქვათ, პურიტანი ჯარისკაცი. ეს სავარჯიშო კლასს იმის საშუალებასაც აძლევს განსაჯოს, ვინ იყო მტყუანი და რა შეიძლებოდა სხვაგვარად გაკეთებულიყო. ამა თუ იმ მოვლენის კომენტირებისათვის ნებისმიერი გარდაცვლილი პერსონაჟის გამოძახება შეგიძლიათ.

როგორც კი თითოეული ჯგუფი დანარჩენ კლასს თავის თოქშოუს წარმოუდგენს, ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე კენჭისყრა გამართეთ. ჯგუფებმა კლასს რამდენიმე კითხვა უნდა დაუსვან, რათა აქტივობაში ყველა ჩართული იყოს, ან შეგიძლიათ გააფრთხილოთ, რომ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით რომელიმეს გამოიძახებთ და თოქშოუს შესახებ კითხვებს დაუსვამთ!

თუ თეატრალური აქტივობებისას ბავშვები ძალიან ახმაურდებიან, რაც ყველაზე ხშირად „თოქშოუების“ დროს ხდება ხოლმე, შეეცადეთ, გაკვეთილს მაქსიმალურად მკაცრად სტრუქტურირებული სახე მისცეთ. თავიდან კლასი ჯგუფებად დაყავით, შემდეგ კი თითოეულს ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად მკაცრად განსაზღვრული დრო მიეცით. მაგალითად, დაუთქვით ზუსტად 2 წუთი იმის განსასაზღვრად, თუ ვინ ვის როლს ითამაშებს. კარგი იქნება, თუ ეტყვით, რომ, თუ როლებს ამ ვადაში თავად არ ან ვერ გაინაწილებენ, შემდეგ ამას თქვენ თვითონ გააკეთებთ. ზოგიერთ მათგანს ასეთი პერსპექტივა, პირიქით, შეიძლება ძალიან მოეწონოს კიდეც. როლების განაწილების ერთ-ერთი გზაა, ჯგუფებს დაავალოთ თითოეულმა წევრმა, ვთქვათ, 1-დან 5-მდე რომელიმე ციფრი აირჩიოს (იმდენი ციფრი აიღეთ, რამდენი წევრიცაა ჯგუფში). შემდეგ ეს ციფრები დაფაზე ჩამოწერეთ და ყოველ მათგანს გვერდით რომელიმე პერსონაჟის სახელი მიაწერეთ. მაგალითად, ყველამ, ვინც 1-იანი აირჩია, მოსამსახურის როლი ითამაშოს, ხოლო ყოველმა 5-იანმა — დედოფალი ვიქტორია განასახიეროს.

სანამ „სპექტაკლში“ ჩაერთვებოდნენ, ბავშვებს 5-10 წუთი მიეცით, რათა ტექსტები ძალიან ზოგადად მოამზადონ. თოქშოუს სავარჯიშოში წამყვანს უკვე მზად უნდა ჰქონდეს რამდენიმე კითხვა, რომელთაც სტუმარს დაუსვამს, სტუმრებმა კი უნდა იცოდნენ, რა პასუხებს გასცემენ ამ კითხვებს. ურჩიეთ, ეს ტექსტები ერთი-ორჯერ გადაიკითხონ, „სპექტაკლს“ კარგად მომზადებულები რომ დახვდნენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტრუქტურა ასე თუ ისე გარკვეული ექნებათ, მოსწავლეებს შეუძლიათ თავიანთი მერხებიდან ადგნენ და თეატრალურ აქტივობას შეუდგნენ.

თუკი იმის წარმოდგენაც კი შიშის ზარს გცემთ, როგორ წამოხტებიან თქვენი კლასის ბავშვები თავიანთი მერხებიდან და ხმაურიან თეატრალურ თამაშობებს მოგიწყობენ, შეგიძლიათ ნაკლებად დინამიკურ სავარჯიშოზე გააკეთოთ აქცენტი. ვგულისხმობ „ახალი ამბების“ მომზადებას რადიოსთვის. ამ დავალებას ბავშვები საკუთარი მერხებიდანაც ჩინებულად გაართმევენ თავს.

ამ აქტივობის განხორციელების მრავალი გზა არსებობს. ერთ-ერთი მათგანია „ჩვეულებრივი“ რადიოსიუჟეტის მომზადება იმ ისტორიული მოვლენის შესახებ, რომელსაც ამ კონკრეტულ მომენტში გადიხართ. შეგიძლიათ კლასი ჯგუფებად დაყოთ და თითოეულ მათგანს უთხრათ, რომ რომელიმე ქვეყნის რადიოსადგურს წარმოადგენს. ვთქვათ, მსოფლიო ომების ისტორიას სწავლობთ, მაშინ ერთი ბრიტანული რადიოარხი უნდა იყოს, მეორე – იტალიური, მესამე — რუსული და ა.შ. ამ მეთოდით ძალიან კარგად გამოგივათ მიკერძოებული ინფორმაციის შექმნის ტექნოლოგიის ახსნა.

ამავე სავარჯიშოს კიდევ ერთი ნაირსახეობა ასეთია: ჯგუფები ამა თუ იმ მოვლენის გაშუქებაზე მუშაობენ, თქვენ კი მათ თემის გარშემო ახალ-ახალ ცნობებს პატარ-პატარა ინტერვალებით აწვდით. ბავშვებმა შემდეგ ეს ცნობები აუცილებლად უნდა გამოიყენონ ახალი ამბების თავიანთ გამოშვებაში. ეს მედიის სარედაქციო რუტინის კარგი სიმულაციაა, როდესაც ახალი ცნობები განუწყვეტლივ მოდის და ჟურნალისტები მუდმივად მათ ანალიზსა და სელექციას ახორციელებენ. ეს მეთოდი ძალიან კარგად მუშაობს, თუ რომელიმე ერთი კონკრეტული დღის ან დროის მოკლე მონაკვეთის მოვლენას სწავლობთ, მაგალითად, უოტ ტაილერსა და გლეხების აჯანყებას ან ისეთ ბრძოლებს, როგორიცაა ჰასტინგსი და მარსტონ მური.

სარედაქციო საქმიანობის სიმულაციისთვის ცოტა მეტი ინტრიგის შესაძენად შეგიძლიათ ჯგუფებს ინფორმაციის განსხვავებული წყაროები მისცეთ. გამოიყენეთ თქვენს სახელმძღვანელოში არსებული წყაროები ან თავად „შექმენით“ ისინი, მაგალითად, ასეთი: ინტერვიუ თვითმხილველთან, რომელიც მთავრობის რაიმე საიდუმლო წამოწყების მოწმე გახდა. როცა ამის შემდეგ ჯგუფები მთელი კლასისთვის თავიანთი ახალი ამბების „გადმოცემას“ შეუდგებიან, ბავშვები იმაზე ფიქრს დაიწყებენ, სხვა ჯგუფებთან შედარებით, რა სახის ინფორმაციის დეფიციტი ან სიჭარბე აქვთ თავად.

სიტყვით გამოსვლა კიდევ ერთი აქტივობაა, როდესაც მოსწავლეებს საკუთარი მერხების დატოვება არ უწევთ. ამას გარდა, ეს სავარჯიშო შესაძლებელია წერილობითი ნარკვევის საფუძველი გახდეს. მოსწავლეები ამ დროს მუშაობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში, თქვენ მათ ეუბნებით, ვინ უნდა განასახიერონ და პატარა სცენარსაც მისცემთ, რა თემის ირგვლივ უნდა ილაპარაკოს გამომსვლელმა. მათი პერსონაჟი შეიძლება იყოს, ვთქვათ, რომელიმე ბრძოლის მონაწილე, ან (უფრო რთული რამის მოფიქრებაც არ იქნებოდა ურიგო) პოლიტიკოსი, რომელიც ღატაკთა უფლებების დამცველ კანონს ასაბუთებს ან სიტყვით გამოდის, რათა აუდიტორია მონობის გაუქმების აუცილებლობაში დაარწმუნოს.

როდესაც მოსწავლეები ამა თუ იმ მოსაზრებას იცავენ ან მის წინააღმდეგ გამოდიან, ეს საკლასო დებატების კარგი ამოსავალი წერტილია. კლასს უთხარით, რაიმე მოსაზრება გამოთქვან ან კონკრეტული პოზიცია დააფიქსირონ. მაგალითად, ასეთი: „ჩვენ ვთვლით, რომ ოლივერ კრომველი ლორდ-პროტექტორის სტატუსს არ იმსახურებს“. აირჩიეთ მოსწავლე, რომელიც რაიმე წინადადებას წამოაყენებს, და მეორე, ვინც მას მხარს დაუჭერს. აქვე აუცილებელია ისეთი ბავშვის შერჩევაც, რომელიც პირველ იდეას ოპონირებას გაუწევს, და იმისიც, ვინც ამ ოპონენტს მხარს დაუჭერს. თითოეულმა გამომსვლელმა დაახლოებით 2-წუთიანი, არგუმენტებით გაჯერებული სიტყვა უნდა მოამზადოს, რათა კლასი თავის პოზიციის სისწორეში დაარწმუნოს. რამდენად წარმატებულად გამოდიან ამა თუ იმ იდეის დამცველები და ოპონენტები, მერე კლასში ჩატარებულმა კენჭისყრამ უნდა გადაწყვიტოს. თავად თქვენ შეგიძლიათ შეკრების თავმჯდომარის ფუნქცია იტვირთოთ ან მოსწავლეები წარადგინოთ. დანარჩენმა კლასმა კი ის კითხვები უნდა მოამზადოს, რომლებსაც გამომსვლელებს დაუსვამენ.

როგორც კი დებატები დასრულდება, სიტყვა, საკუთარი პოზიციებისა და არგუმენტების შესაჯამებლად, პროპონენტსა და ოპონენტს ეძლევა. ამის შემდეგ კი კენჭისყრა ტარდება, როდესაც მოსწავლეები ირჩევენ, რომელ მოსაზრებას დაუჭირონ მხარი.

ამას შეიძლება სხვანაირად „გაქვავებული სურათებიც“ დავარქვათ. სავარჯიშო ჯგუფებში ტარდება —თითოეულ ჯგუფს ამა თუ იმ ისტორიული სცენის ამსახველ სურათს აჩვენებთ და სთხოვთ, მისი ინსცენირება რეალობაში მოახდინონ. როდესაც დაიძახებთ „გაშეშდი!“ ყველა ადგილზე უნდა გაქვავდეს. ამ დროს კლასის დანარჩენმა ნაწილმა იმაზე უნდა იმსჯელოს, რას აკეთებდა ან რის გაკეთებას აპირებდა, რაზე ფიქრობდა ამ კონკრეტულ მომენტში ესა თუ ის გაშეშებული პერსონაჟი.

სავარჯიშო ასე ტარდება: სურათზე გამოსახული თითოეული პერსონაჟის როლის შესასრულებლად ორ-ორ ბავშვს არჩევთ; ერთი შესაბამის პოზაში უნდა გაქვავდეს, მეორემ კი მისი ფიქრები ვერბალურად გადმოსცეს.

როგორც კი ბავშვები შესაბამის პოზებს დაიჭერენ, მოვლენათა განვითარების განსხვავებული სცენარების წამოყენება დაიწყეთ, რაც მოსწავლეებმა ასევე გაქვავებულ პოზებში უნდა გამოსახონ. მაგალითად, თუ ისინი ვიქტორიანული ეპოქის ხალხს წარმოადგენენ, რომლებიც ორთქლმავლიანი მატარებლით მგზავრობენ, განასახიერონ, რა მოხდება მაშინ, თუ მატარებელი მოულოდნელად გვირაბში შევა? კიდევ ერთი მაგალითი: ვთქვათ, მეორე მსოფლიო ომის პერიოდის გოგონები არიან, რომლებიც ფრონტის ხაზს უკან სანგრებს თხრიან. რა მოხდება, როცა საჰაერო განგაშის სიგნალს გაიგონებენ? და კიდევ: ვთქვათ, ჰენრი II-ის რაინდები კენტერბერის საკათედრო ტაძარში მაშინ იჭრებიან, როცა იქ თომას ბეკეტი ბერებთან ერთად ლოცულობს..

ამ დროს ძალიან კარგი იქნება ცოცხალი სცენების ციფრული ფოტოაპარატით დაფიქსირება, რის შემდეგაც მოსწავლეებს შეეძლებათ საკუთარი გამოსახულებების „სიტყვიერი ბუშტუკებით“ ანოტირება.

რამდენიმე მეთოდი არსებობს იმისა, რომ კლასი სავარჯიშოზე ჯეროვნად იყოს ფოკუსირებული მაშინ, როცა რომელიმე ჯგუფი თეატრალურ აქტივობას ახორციელებს. ერთ-ერთი მათგანია, თითოეულ მოსწავლეს კითხვების მომზადების დავალება მისცეთ, რომლებსაც ამა თუ იმ ისტორიულ პერსონაჟს დაუსვამენ. მას შემდეგ, რაც ჯგუფი სცენის გათამაშებას დაასრულებს, შემთხვევითობის პრინციპით უნდა გამოიძახოთ მოსწავლეები და კითხვები დაასმევინოთ, რაც ამ სავარჯიშოში თითოეული მათგანის სათანადო ჩართულობას უზრუნველყოფს.

კიდევ ერთი მეთოდია გაკვეთილზე კონკურენციის ელემენტების შემოტანა. ყოველი ჯგუფი მაყურებლების მიერ რამდენიმე წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმით უნდა შეფასდეს. ასეთ კრიტერიუმებად შეგიძლიათ აირჩიოთ ის, თუ როგორ შევიდა როლში თითოეული მონაწილე ან რა ხარისხით იყო მათი თამაში დამაჯერებელი. მას შემდეგ, რაც წარმოდგენას ყველა „დასი“ დაამთავრებს, კენჭისყრა ჩაატარეთ და გამარჯვებული გამოავლინეთ. იმის დაფიქსირებაც არ დაგავიწყდეთ, რატომ გაიმარჯვა ამა თუ იმ კონკრეტულმა ჯგუფმა. ეს აქტივობა მოსწავლეებს იმაშიც ეხმარება, რომ თავიანთი გამოსვლა კრიტიკული თვალით შეაფასონ და თუ რაიმე ნაკლი აღმოაჩნდათ, მერე ამის გამოსწორება შეძლონ. ამავე დროს, თქვენ გეძლევათ დამატებითი ბერკეტი, რათა იმ ჯგუფს, რომლის წევრებიც დავალებას არასათანადოდ ასრულებენ, ქულები ჩამოაკლოთ!

თუ თეატრალურ აქტივობას დაწერილი სცენარის მიხედვით ახორციელებთ, მაყურებლებს სავარჯიშოს მსვლელობისას ქაღალდზე თავიანთი შენიშვნების დაფიქსირების საშუალებაც ეძლევათ. და კიდევ, სრული ჩართულობის უზრუნველსაყოფად აქაც, ყოველი წარმოდგენის დასრულების შემდეგ, შემთხვევით აირჩიეთ ხოლმე მოსწავლე, რათა თავისი ნაწერი შენიშვნები მთელ კლასს გაუზიაროს. მერე კი ეს შენიშვნები შეგიძლიათ დაფაზე გამოაკრათ.

ნ ა წ ი ლ ი

6

საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება

მთავრობა ისტორიის მასწავლებლებისგან საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (Iჩთ) გამოყენებას მოითხოვს. კერძოდ:

- ინტერნეტის, სიდი-რომებისა და იმეილის გამოყენებას ისტორიული ძიებისთვის;
- მონაცემთა ბაზების შექმნისას, მაგალითად, აღწერის მონაცემებისთვის;
- ეკრანზე ინფორმაციის დახარისხების, რედაქტირების, რეორგანიზაციისა და სტრუქტურირებისას;
- მოსწავლეებს საკუთარი ნამუშევრების ICT-ის ფორმატში წარდგენა უნდა შეეძლოთ.

გაკვეთილებზე Iჩთ-ს გამოყენება გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს, რათა ამ პროცესს მხოლოდ ფორმალური სახე არ ჰქონდეს და მოსწავლეებში ისტორიული ცოდნისა და უნარების რეალურ განვითარებას უწყობდეს ხელს. ამას გარდა, ცხადია, თავად Iჩთ აღჭურვილობასთან უნდა გქონდეთ შეხება და ამ დროს მნიშვნელოვანია, სანამ ბავშვებს კომპიუტერებთან ან სხვა ხელსაწყოებთან სამუშაოდ მიუშვებთ, თავად გამოსცადოთ ისინი. თუ გაკვეთილზე ამა თუ იმ Iჩთ აღჭურვილობის გამოყენებას გეგმავთ, თუნდაც უბრალო ვიდეოჩამწერზე იყოს ლაპარაკი, აუცილებლად გათვალეთ, რას გააკეთებთ იმ შემთხვევაში, თუ აპარატურა მწყობრიდან გამოვა.

წკომპიუტერი ბევრი მოსწავლისთვის სერიოზული მოტივაციის მიმცემია. ის ასევე ეხმარება ნაკლებად დაჯილდოებულ ბავშვებს და მათაც, ვისაც წერითი უნარები მაინცდამაინც კარგად განვითარებული არა აქვს, რთულ დავალებებს გაართვან თავი. კომპიუტერი, ამავე დროს, ფრიად სასარგებლოა იმ ნიჭიერი ბავშვებისთვისაც, ვინც უფრო რთულ დავალებებს საჭიროებს, მაგალითად, დამატებითი დამოუკიდებელი სამუშაოსათვის. მაშინაც კი, თუ კლასში მხოლოდ ერთადერთი კომპიუტერი მოგეპოვებათ, მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ინტერნეტშია ჩართული; თქვენს ხელში ხომ პოტენციურად ზღვა ინფორმაცია იქნება თავმოყრილი.

სიდი-რომები საკმაოდ ძვირადღირებული ფუფუნებაა სკოლისთვის და შეიძლება ისეთივე ფასი ჰქონდეს, როგორიც რამდენიმე სახელმძღვანელოს ერთად აღებულს. ასე რომ კარგად დაფიქრდით, სანამ მის ყიდვას გადაწყვეტთ! ამავე დროს, მათ ინტერნეტთან შედარებით რამდენიმე უპირატესობა აქვს. პირველი – აქ მთელი საჭირო ინფორმაცია ერთ ადგილასაა თავმოყრილი და შეგიძლიათ სახელმძღვანელოდაც გამოიყენოთ, ოღონდ ისეთად, რომელსაც დამატებითი ფუნქციები აქვს, მაგალითად, თავსატეხები, ანიმაცია, ვიდეორგოლები, ხმოვანი ეფექტები, საძიებო სისტემები, შესავსები ცხრილები, რომელთა ამობეჭდვაც შეიძლება, და მასწავლებლის შენიშვნები.

მეორე – სიდი-რომების გამოყენებისას არასდროს არ შეგაწუხებთ სკოლის შიდა ქსელთან და ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემები, არც ამა თუ იმ ვებ-საიტზე დაშვება-არდაშვების თავისტკივილი გექნებათ და არც იმით დაინტერესდებით, ბავშვები რაიმე სხვა, სასწავლო თემის შეუსაბამო ლინკზე გადადიან თუ არა. ინტერნეტს კიდევ ერთი უხერხულობა ახლავს თან: ხშირად დიდი ზომის ფაილების ჩამოტვირთვა დროს ითხოვს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბევრი მოსწავლე ერთდროულად ერთი და იმავე ინფორმაციით ინტერესდება, მაშინ როცა ასეთი პრობლემები სიდი-რომებს საერთოდ არ ახასიათებს.

სანამ გაკვეთილზე გამოიყენებდეთ, სიდი-რომის შიგთავსი თავად უნდა შეისწავლოთ სრულყოფილად და ისიც წინასწარ უნდა გათვალოთ, იქ არსებული ინფორმაციის სასწავლო თემასთან შეჯერებას როგორ მოახდენთ. თუ კლასში კომპიუტერები არასაკმარისი რაოდენობითაა, მოსწავლეები ჯგუფებად დაყავით ისე, რომ ნაწილი კომპიუტერზე მუშაობდეს, სხვები კი სხვა საქმიანობით იყვნენ დაკავებულები. იმისთვის, რომ ბავშვები სიდი-რომზე განთავსებულ ცნობებს სწორად გაეცნონ და ყურადღება სხვა ინფორმაციაზე არ გაეფანტოთ, კარგი იქნება, თუ ამისთვის სპეციალურ ცხრილებს მოამზადებთ და დაარიგებთ. ეს ბევრად უფრო სასარგებლო საქმიანობაა, ვიდრე ყოველგვარი მიზნის გარეშე წამდაუწუმ ღილაკების დაჭერა.

საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიები მარტო კომპიუტერების გამოყენებით არ შემოიფარგლება, მასში ისეთი კარგად ნაცნობი კომპონენტიც შედის, როგორიცაა გაკვეთილებზე ვიდეორგოლების ჩვენება. იმაში დასარწმუნებლად, რომ მოსწავლეები სათანადოდ ფოკუსირებულნი არიან სავარჯიშოზე, შიგადაშიგ კითხვები უნდა დაუსვათ. უკეთესია, თუ ეს სტრუქტურირებული კითხვები იქნება, რადგან ამ დროს ბავშვები სწორი პასუხების მოძიებაზე დიდ დროს არ დაკარგავენ და პირდაპირ შემოხაზავენ თავიანთ ცხრილებში, რომლებიც, ცხადია, წინასწარ ექნებათ დარიგებული. კარგი იქნება, სანამ ვიდეოს აჩვენებთ, ცოტა დრო მისცეთ, რათა ცხრილებში ჩაწერილ კითხვებსა და სავარაუდო პასუხებს თვალი გადაავლონ.

მოწაფეები სავარჯიშოზე კიდევ უფრო მეტად კონცენტრირებულები რომ გავხადოთ, განსხვავებული ცხრილები დაურიგეთ. ამ დროს მათ იმის საშუალება არ ექნებათ, რომ გვერდით მჯდომის ფურცელში ჩაიხედონ და სწორი პასუხები იქიდან გადაიწერონ.

ვიდეორგოლების გამოყენება შესაძლებელია კრიტიკული კუთხითაც. ამ დროს ბავშვებმა ვიდეოს შიგთავსი უნდა შეაფასონ, როგორც ინფორმაციის წყარო და ის სხვებს შეადარონ. ზოგიერთი რგოლი თავადაც გააკრიტიკეთ, ისტორიული მოვლენების რეკონსტრუირების სიზუსტესთან დაკავშირებით შენიშვნები გააკეთეთ, გაანალიზეთ, რამდენად სწორადაა გამოსახულებები შერჩეული, ან იმაზე იმსჯელეთ, ზუსტად არის თუ არა გადმოცემული მაშინდელი ტანსაცმელი. თუ გსურთ, რომ სავარჯიშოს კიდევ უფრო მეტი მრავალფეროვნება შესძინოთ, ბავშვებს სთხოვეთ იმაზე ისაუბრონ, თავად როგორ გააკეთებდნენ ასეთ ვიდეორგოლს, რათა ის უფრო საინტერესო და მარტივი ყოფილიყო. მოსწავლეებმა შეიძლება საკუთარი გრაფიკული სცენარის წარმოდგენა ისურვონ, სადაც იმ ახალ დეტალებსაც შეიტანენ, რომლებიც, მათი აზრით, ვიდეორგოლის ხარისხს გააუმჯობესებს. იმ შემთხვევაში, თუ ვიდეოკამერა მოგეპოვებათ, შეგიძლიათ კლასში დამზადებული ისტორიული ვიდეორგოლი ტელევიზორის ეკრანზეც კი გაიტანოთ!

დასაკაბადონებელი კომპიუტერული პროგრამების (Desktop Publishing Programs) მეშვეობით შესაძლებელია მოსწავლეებმა ისეთი ნამუშევარი გააკეთონ, რომელიც ერთი შეხედვით პროფესიულ დონეზე შესრულებულ პროდუქტს ემგვანება, მაგალითად, ჩვეულებრივ საგაზეთო სტატიას. ეს პროგრამები, ძირითადად, შაბლონებზეა მორგებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელმისაწვდომია მათთვისაც, ვინც ამ ამბებში მაინცდამაინც კარგად გათვითცნობიერებული არ არის. აქ ძალიან მარტივია ხოლმე ტექსტის სვეტებად დალაგება, სათაურების გამოტანა და მერე სურათების ჩასმა. (საგაზეთო სტატიის მომზადების შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას 36-ე იდეაში ნახავთ).

ამგვარი აქტივობისთვის შესაძლებელია, უორდპროსესინგის (Wordprocessing) პროგრამების გამოყენებაც. მათი მეშვეობით განსაკუთრებით მოსახერხებელია სხვადასხვა ტექსტის აწყობა. როდესაც მოსწავლეები თავიანთ ნამუშევრებს ამ პროგრამებში ასრულებენ, შემდეგ თავადაც უკვირთ, რაოდენ პროფესიონალურად გამოიყურება საბოლოო პროდუქტი. არსებობს მრავალი ხელსაწყო, რომლებიც შეგიძლიათ ჩართოთ ან გამორთოთ, მაგალითად, ავტოკორექტორი (Spell Checks). უორდპროსესინგის პროგრამების გამოყენებით შესაძლებელია გამოსახულების დახატვა ან ჩასმა, ასევე, ტექსტის ამოჭრა, ასლის გაკეთება და ჩასმა. ტექსტის რედაქტირება ფრიად მარტივია, რაც განსაკუთრებით მოსახერხებელია მათთვის, ვისაც წერითი უნარები კარგად განვითარებული არა აქვს და, რა თქმა უნდა, მათთვისაც, ვისაც ძალიან ცუდი კალიგრაფიული შესაძლებლობები აქვს.

დასაკაბადონებელ პროგრამებში შესაძლებელია სხვა სახის პროდუქციის შექმნაც. მაგალითად, იმ სარეკლამო პლაკატების, რომელთა საშუალებითაც პირველი მსოფლიო ომის დროს სამხედრო ფლოტში მეზღვაურების რეკრუტირება ხდებოდა, ან ელისაბედ I-ის პერიოდის ლონდონის ვიზიტორებისთვის განკუთვნილი ბროშურების. ამ პროგრამების კიდევ ერთი უპირატესობა მზა სურათების ჩასმის შესაძლებლობაა, ასევე ფერადი და ვიზუალურად მიმზიდველი ტექსტების შექმნა და, გარდა ამისა, შეცდომების ისე ჩასწორება, რომ ნამუშევარი არ დაზარალდეს.

დასაკაბადონებელი და უორდპროსესინგის პროგრამების გამოყენება, ჩვეულებრივ ჩანაწერებთან შედარებით, ყოველთვის უფრო მოსახერხებელი და სწარაფი არ არის ხოლმე, რადგან ზოგიერთ ბავშვს ძალიან დიდი დრო სჭირდება სასურველი ფონტის ასარჩევად, კლავიატურაზე შესაბამისი ასოს ან შემთხვევით წაშლილი ტექსტის მოსაძებნად და ა.შ. თუ თქვენი მოსწავლეების კომპიუტერულ უნარებში დარწმუნებული არ ხართ, სანამ მასზე მუშაობას შეუდგებოდნენ, მოკლედ აუხსენით იმ კლავიშებისა თუ სიმბოლოების მნიშვნელობა და შინაარსი, რომლების გამოყენებაც შემდეგ გაკვეთილზე მოუწევთ.

როგორც კი ბავშვები კომპიუტერებთან დასხდებიან, სიტყვიერი მითითებები მიეცით და იმაშიც დარწმუნდით, რომ ამ მითითებებს ყველა ჯეროვნად აღიქვამს. თუ მოსმენის პრობლემები არსებობს, მაშინ ნაწერი მითითებები დაურიგეთ, სადაც მკაფიოდ იქნება აღწერილი, როგორ უნდა გახსნან და შეინახონ ფაილები, შეცვალონ ფონტის ზომა და ა.შ. აუცილებლად შეახსენეთ ხოლმე, რომ ყოველ 10 წუთში თავიანთი ნაშრომი დაიმახსოვრონ! აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პროგრამა ავტომატურად იმახსოვრებს, თუ წინასწარ ასეთ ბრძანებას მისცემთ და დროით ინტერვალებსაც დაუთქვამთ.

თუ საგაზეთო სტატიების, ანგარიშების ან რაიმე სხვა პროდუქტის შესაქმნელად კომპიუტერების ხანგრძლივად გამოყენება გაქვთ დაგეგმილი, აუცილებელი არ არის ბავშვები პირველივე გაკვეთილზე მაქსიმალური ინფორმაციით გადატვირთოთ. კარგი იქნება, თუ ყოველ მომდევნო გაკვეთილზე ერთ ან ორ ახალ ინფორმაციას მიაწვდით.

თუ კლასში არის ერთი ან რამდენიმე ისეთი მოსწავლე, ვინც კომპიუტერულ ამბებში კარგადაა გათვითცნობიერებული, ასეთები დააწყვილეთ მათთან, ვისაც ამ სფეროში ძალიან უჭირს. ოღონდ აუსხენით, რომ მათ მასწავლებლობანა უნდა ითამაშონ, ანუ, კომპიუტერის კარგად მცოდნემ თავად კი არ უნდა გააკეთოს ორივეს საქმე, არამედ მეორეს უნდა აუხსნას, როგორ კეთდება ესა თუ ის სამუშაო და სავარჯიშოს ნახევარი მასვე გააკეთებინოს.

დიდი ბრიტანეთის ეროვნული სასწავლო გეგმა ისტორიის გაკვეთილებზე მონაცემთა სხვადასხვა ბაზის გამოყენებას ითვალისწინებს, მათ შორის, აღწერის მონაცემების. ეს ინფორმაცია ინტერნეტში მრავლად მოიპოვება. მოსწავლეებს შეუძლიათ აღწერის მონაცემების ინტერნეტიდან აღება და მათზე დაყრდნობით საკუთარი მონაცემების შექმნა, რაც, თავის მხრივ, რიცხვებთან მუშაობას გულისხმობს. საკუთარ უბანში „აღწერის“ ჩასატარებლად იყენებთ საეკლესიო ჩანაწერებს, ომებში დაღუპულთა სიებს ან თუნდაც ადგილობრივი სასაფლაოდან მიღებულ ინფორმაციას.

თუ სპეციალურად მონაცემთა ბაზებისთვის განკუთვნილი პროგრამა არ დაქვთ, ამ სავარჯიშოს შესრულება ფრიად გაგიჭირდებათ. თუმცა, საბედნიეროდ, ისტორიის გაკვეთილებისთვის საჭირო ბევრი ფუნქცია „სფრედშითის“ (Spreadsheet) პროგრამებს მოეპოვება (მაგ., ასეთი პროგრამებია „მაიკროსოფტის“ ექსელი ან „ოუფენ ოფისის“ სპრედშითი და ა.შ.). ასეთ პროგრამებში მონაცემთა შეყვანა საკმაოდ მოცულობითი სამუშაოა და ხშირად დიდი დრო მიაქვს, რის გამოც დავალებების შესრულება ძალიან დამქანცველია იმ ბავშვებისთვის, ვისაც ბეჭდვის უნარი განვითარებული არა აქვს. ამიტომ კარგი იქნება, თუ დოკუმენტებს თავად მოუმზადებთ და, როცა მოსწავლე მასზე მუშაობას შეუდგება, იქ უკვე მზა რიცხვები დახვდება. როგორც კი აღწერის შედეგების ნიმუშს დაამზადებთ, ამ პროდუქტის ბევრნაირად გამოყენება ხელგეწიფებათ. შეგიძლიათ ინფორმაცია სხვადასხვაგვარად დაახარისხოთ, მაგალითად, ასაკობრივ ან სხვა სახის ჯგუფებად. ამას გარდა, შესაძლებელია ზოგიერთი სვეტის დამალვა ან წინ გამოტანა; რაიმეს წაშლა, შეცვლა ან დამატება; მოსწავლეებს კი ხელ-ფეხი ეხსნებათ, რათა უამრავი გამოთვლა გააკეთონ, ვთქვათ, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შესახებ და ა.შ.

სფრედშითებს იყენებენ მაშინ, როცა დიდი რაოდენობის რიცხობრივი მონაცემები აქვთ, რაც დახარისხებასა და გამოთვლებს საჭიროებს. ასეთი პროგრამებით ხდება ბარ-ჩარტების, პაი-ჩარტების და სხვა სახის ცხრილებისა თუ გრაფიკების შექმნა. მაგალითად, თუ ბავშვები ამ პროგრამაში ვიქტორიანული ეპოქის მუშების ასაკობრივ მონაცემებს შეიყვანენ, საბოლოო პროდუქტად თითოეული ასაკობრივი ჯგუფის მუშების პროცენტული ან ნომინალური რაოდენობის ვიზუალურ რეპრეზენტაციას მიიღებენ.

მართალია, ქსელში უამრავი ვებ-საიტი მოიძებნება, სადაც საინტერესო ისტორიული მასალებია თავმოყრილი, მაგრამ ეს საიტები ისე ხშირად ცვლიან თავიანთ შიგთავსს, დიზაინსა და მისამართს, რომ სასარგებლო ვებ-საიტების სიის შედგენის მცდელობა ბევრს შეიძლება ამაო საქმედაც კი მოეჩვენოს. ზოგადად, ბი-ბი-სის საიტი, თავისი უზარმაზარი ისტორიული სექციით, სადაც ადგილობრივი მონაცემებიც საკმარისად არის წარმოდგენილი, კარგი ამოსავალი წერტილია. მისი მისამართია.www.bbc.co.uk/history

მაშ, როგორ უნდა ვიპოვოთ ასეთი საიტები? თუ პედაგოგიურ პრესას პერმანენტულად ეცნობით, ახალ ისტორიულ ვებ-საიტებზე მუდამ საქმის კურსში იქნებით. ამას გარდა, შეგიძლიათ ეწვიოთ საიტს, რომელიც სპეციალურად ისტორიის მასწავლებლებისთვის არის განკუთვნილი. აქ სასარგებლო ბმულებს რეგულარულად აახლებენ ხოლმე. ერთ-ერთ ასეთ ვებსაიტს „სასკოლო ისტორია“ ჰქვია და მისი მისამართია www.schoolhistory.co.ukხშირად ამ რესურსებს თავად მასწავლებლები ფლობენ და იქ არსებული ინფორმაციაზე ხელი მხოლოდ დარეგისტრირებულ მომხმარებლებს მიუწვდებათ. ინტერნეტძიების კიდევ ერთი გზაა სხვა სკოლების შესაბამისი საიტების დათვალიერება. აქ ხშირად ნახავთ სხვადასხვა სასარგებლო ბმულების სიებს. ბრიტანეთის ეროვნულ ფონდსა და ინგლისის მემკვიდრეობის ფონდს რამდენიმე სასარგებლო საგანმანათლებლო პროგრამა აქვს. ზოგიერთი ასეთი პროგრამა ამ ორგანიზაციების ვებ-გვერდებზეა ხელმისაწვდომი. სასარგებლო რესურსების კიდევ ერთი წყაროა ადგილობრივი არქეოლოგიური ორგანიზაციები.

თუ რაიმე სპეციფიკურ ინფორმაციას ეძებთ, მაშინ ინტერნეტის საძიებო სისტემებს უნდა მიმართოთ. ოღონდ ამ დროს საძიებო სიტყვას ან ფრაზას უნდა დაუმატოთ „სკოლა“ ან „გაკვეთილი“, რადგან სწორედ ის ინფორმაცია მიიღოთ, რომელიც სასკოლო პროგრამების შესაბამისი იქნება. როგორც კი რაიმე სასარგებლო ვებ-საიტს მიაგნებთ, უმალ უნდა დააბუკმარკოთ, რათა სხვა დროს მისი ხელახალი მოძიება არ დაგჭირდეთ.

ვებ-საიტის შექმნა ნებისმიერს შეუძლია და ამიტომ ხშირად მათი ხარისხი რადიკალურად განსხვავებულია. ზოგიერთი შეიძლება უამრავ სასარგებლო ინფორმაციას შეიცავდეს, მაგრამ ისეთი დიზაინი ჰქონდეს, რომ ეკრანზე ტექსტის წაკითხვა მომხმარებელს ძალიან გაუჭირდეს. ანდა გვერდებს ისეთი ანიმაცია და მუსიკა ახლდეს თან, რომელიც მოსწავლეებს ყურადღებას გაუფანტავს. წინასწარ განსაზღვრეთ, დაგჭირდებათ თუ არა დამატებითი აღჭურვილობა, მაგალითად, დინამიკები, ყურთსასმენები და ა.შ.

ზოგიერთი ვებ-საიტი ერთი შეხედვით საკმაოდ მაღალპროფესიონალურად გამოიყურება, მაგრამ, როგორც კი იქ განთავსებული ინფორმაციის გაცნობას დაიწყებთ, უმალ აღმოაჩენთ, რომ ამ ტექსტების ერთადერთი დანიშნულება მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ბავშვებს ანახოთ, როგორ არ უნდა იწერებოდეს ნარკვევი! ამასთანავე, ინტერნეტი, თავისი ბუნებით, ინტერაქტიური მედიუმია. გამომდინარე აქედან, ბევრ საიტზე ნახავთ უამრავ თავსატეხსა თუ თამაშს, რომლებიც უმალ იძლევა უკუკავშირს, ან ისეთ სურათებს, რომლებიც შეგიძლიათ აიღოთ და, სადაც საჭიროდ ჩათვლით, იქ ჩასვათ.

სანამ გაკვეთილზე გამოსაყენებლად ამა თუ იმ ვებ-საიტს შეარჩევდეთ, აუცილებლად დარწმუნდით, რომ ყველა გვერდი, რომლის ჩვენებასაც კლასისთვის აპირებთ, გულდასმით გაქვთ გადაკითხული. მნიშვნელობა არა აქვს, რაოდენ მძლავრი ინტერნეტ-ფილტრი აქვს თქვენს სკოლას, რამდენიმე ვებ-საიტი ამ ზღუდეს მაინც გადალახავს ხოლმე. ფრიად უცნაურ და, ცოტა არ იყოს, უხერხულ შედეგებს მიიღებთ, თუ საძიებო სისტემაში, ვთქვათ, „ჯაჭვის პერანგს“ შეიყვანთ! ამავე დროს, თუ ამა თუ იმ საიტზე დაშვებას სპეციალური ავტორიზაცია სჭირდება, წინასწარ დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს ამის საშუალება აქვთ, მერე გაკვეთილზე ასეთ საკითხებზე დრო რომ არ დაკარგოთ.

როგორც კი სასურველ ვებ-საიტს იპოვით და კარგად შეისწავლით, იმაზე მოგიწევთ ფიქრი, როგორ გამოიყენებთ მას საკლასო ოთახში. თუ გსურთ, რომ მოსწავლეებმა ინტერნეტით ინფორმაცია მოიძიონ, მაშინ მათ შესაბამისი საიტების მისამართები მიეცით, რათა ზუსტად იმ გვერდზე მოხვდნენ, რომელიც სჭირდებათ და იმ კითხვების სიაც დაურიგეთ, რაც საკვლევ საგანზე ფოკუსირებაში დაეხმარებათ. აუცილებლად აუკრძალეთ ინტერნეტიდან ფურცლების ამობეჭდვა, რადგან ამ დროს ბავშვები ხშირად ტექსტის კითხვას თავს არიდებენ ხოლმე და უამრავ გვერდს გაუცნობიერებლად ბეჭდავენ. ამას გარდა, პირდაპირ ვებ-საიტების გვერდების ამობეჭდვა საკმაოდ არაეკონომიურიცაა. ჯობს, თუ მოსწავლეები მათთვის საინტერესო სურათების, ტექსტისა და ცხრილების ასლებს გააკეთებენ, უორდპროსესინგის პროგრამაში გადაიტანენ და იქიდან ამობეჭდავენ.

ზოგიერთი ვებ-საიტი, მაგალითად, სასკოლო ისტორიის ვებ-გვერდი(www.schoolhistory.co.uk) ინტერაქტიურ თავსატეხებსა და ამოცანებს შეიცავს, რისი საშუალებითაც მოწაფეებს ონლაინრეჟიმში თავიანთი ცოდნის შემოწმება შეუძლიათ. ამისთვის ინდივიდუალური კომპიუტერების გამოყენებაც შეიძლება ან თქვენი პროექტორით დაფაზე გამოგაქვთ კომპიუტერის ეკრანი და სავარჯიშოს მთელი კლასი ერთად აკეთებს. ბი-ბი-სის ვებ-საიტზე(www.bbc.co.uk/histork) ძალიან ბევრი ისტორიული ინფორმაციაა თავმოყრილი და მათი ნაწილის გამოყენება სკოლაშიც შეიძლება. ეს რესურსი დიდი რაოდენობით ანიმაციასა და სიმულაციას შეიცავს (მაგალითად, როგორ მუშაობს ორთქლის ძრავა) და უფრო უპრიანი იქნება, თუ ამას მთელ კლასს პროექტორით ანახებთ. საერთოდ, ვებ-საიტები ფენომენალური სისწრაფით ვითარდება და ახლა უკვე შეიცავენ ვიდეოკლიპებს, ხმოვან ეფექტებსა და ანიმაციას, რასაც გაკვეთილებზე მეტი დინამიკა შემოაქვს. მხოლოდ იმაში დარწმუნდით წინასწარ, რომ კომპიუტერებზე ყველა აუცილებელი პროგრამა უკვე ინსტალირებულია, რათა ასეთი ეფექტების ჩვენებისას პრობლემები არ შეიქმნას.

მუზეუმების უმრავლესობას ამჟამად ინტერნეტში უკვე საკუთარი ვებ-გვერდები აქვს. მათი ხარისხი და სირთულე განსხვავებულია, დაწყებული უმარტივესი, საბაზისო დონეზე შესრულებული ვებ-გვერდებით და დამთავრებული მოცულობითი, რთული საიტებით, სადაც იპოვით როგორც ონლაინსავარჯიშოებს, ასევე მუზეუმის მთელ კოლექციასაც, რისი დათვალიერებაც საკლასო ოთახიდან გაუსვლელად, ონლაინრეჟიმში შეგიძლიათ. ეს საკმაოდ სასარგებლო რესურსია არა მარტო მაშინ, როცა ამა თუ იმ მუზეუმის დათვალიერება ცოცხლად შეუძლებელია, არამედ მაშინაც, როცა მუზეუმში უკვე იყავით და ახლა იქ ნანახის შესახებ ნარკვევის დაწერას აპირებთ.

თუ მოსწავლეები ამა თუ იმ პერიოდის შესახებ ნარკვევს წერენ, ილუსტრაციებისთვის მუზეუმის ვებ-საიტიდან ექსპონატების სურათების ასლების გაკეთება შეუძლიათ, რასაც მერე უორდპროსესინგის ფორმატში საკუთარ ნამუშევარში ჩასვამენ. მანამდე კი, ცხადია, ეს სურათები თემატურად უნდა დაამუშავონ და ქრონოლოგიურად დაალაგონ. მაგრამ, სანამ ამგვარ რაღაცას გააკეთებთ, აუცილებლად დარწმუნდით, რომ ამით ვინმეს საავტორო უფლებები არ ირღვევა — ვებ-საიტების უმრავლესობას აქვს სპეციალური სექცია, სადაც ლაპარაკია იმაზე, დაშვებულია თუ არა მათი შიგთავსის გამოყენება და რა პირობებით. შეგიძლიათ მოწაფეებს ასეთი „დეტექტიური“ დავალებაც მისცეთ: მიაწოდეთ ექსპონატების სია და მათი აღწერილობა; დაავალეთ ისინი ამა თუ იმ მუზეუმის ვებ-საიტზე მონახონ, რისთვისაც ქრონოლოგიის კარგი ცოდნა დასჭირდებათ. იმავე მიზნით სამხატვრო გალერეების საიტების გამოყენებაც შეიძლება.

ფაუერპოინტი ისტორიის გაკვეთილებზე საკმაოდ ნაყოფიერი და სასარგებლო რესურსია. მაგალითად, ინტერნეტიდან მზა პრეზენტაციის ჩამოტვირთვა შეგიძლიათ, რასაც მერე კლასს უჩვენებთ; ანდა თავად მოამზადეთ სლაიდების სერია და მოსწავლეებს დაავალეთ, სწორი თანმიმდევრობით დაალაგონ; ზოგჯერ თავად მოსწავლეები ამზადებენ თემატურ პრეზენტაციებს და შემდეგ მთელ კლასს წარუდგენენ ხოლმე.

ამ პროგრამის მეშვეობით შესაძლებელია სლაიდების სერიების მომზადება, რასაც მერე სლაიდ-შოუს სახით სხვებს წარუდგენთ. თითოეული სლაიდი შეიძლება შეიცავდეს ტექსტს, გამოსახულებას, ხმოვან ეფექტებს, იმპორტირებულ აუდიოკლიპს ან ვიდეოკლიპსაც კი. თუმცა პირველი ორი კომპონენტი — ტექსტი და გამოსახულება — სასკოლო პრეზენტაციების უმრავლესობისთვის სავსებით საკმარისი იქნება. სლაიდები ნებისმიერი თანმიმდევრობით ლაგდება, რაც იმის საშუალებას იძლევა, ბავშვებს ქრონოლოგიის ცოდნაზე სავარჯიშოები დაავალოთ. მოამზადეთ რამდენიმე მოვლენასთან დაკავშირებული მრავალი სლაიდი ან ისეთი სლაიდები, რომლებიც მიზეზებსა და შედეგებს გამოხატავს, და კლასს სთხოვეთ, ისინი სწორი თანმიმდევრობით დაალაგონ.

ამ პროგრამის გამოყენება შესაძლებელია კიდევ ერთი დანიშნულებით — კომპიუტერის ეკრანი ან პროექტორი ისე დააყენეთ, რომ მარტო მისთვის იყოს ხილული, ვინც პრეზენტაციას ატარებს, ისე რომ გამომსვლელმა სლაიდები მინიშნებების სახით გამოიყენოს. თუმცა პრეზენტაციისას უმჯობესი იქნება, თუ კლასს რაიმე ისეთს შევთავაზებთ, რაც მათ ყურადღებას მიიზიდავს, მაგალითად, საინტერესო გამოსახულებას. სხვათა შორის, ეს აღელვებულ გამომსვლელსაც პატარა შვებას მოჰგვრის!

ინტერნეტმა პედაგოგიურ პრაქტიკაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. ერთ-ერთი ასპექტი, რომელსაც ხშირად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ხოლმე, არის ის გზები, რომლებმაც მასწავლებლებს შორის კომუნიკაცია უაღრესად გააიოლა. ეს პედაგოგებს იდეების, რესურსებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაცვლის საშუალებას აძლევს. აქ გთავაზობთ მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი და სასარგებლო ონლაინრესურსების ჩამონათვალს:

- მთავრობის ოფიციალური ვებ-საიტები, სადაც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ მაგალითებს იპოვით.
- თავად მასწავლებლების მიერ გაკეთებული ვებ-გვერდები. იქ განთავსებული ინფორმაცია შეგიძლიათ თქვენს საკლასო ოთახში გამოიყენოთ.
- სავარჯიშოებისა და ცხრილების რესურსები, რაც შეგიძლიათ ამობეჭდოთ და ასევე გამოიყენოთ თქვენს გაკვეთილებზე.
- სხვადასხვა ონლაინგანცხადებების გვერდები, სადაც მისწერთ თქვენს კითხვას ან რაიმე პრობლემას გაუზიარებთ და კოლეგების რჩევებსა და მითითებებს დაელოდებით. ამავე დროს, თავადაც შეგიძლიათ თქვენი ცოდნა დააფიქსიროთ და გამოცდილება სხვებს გაუზიაროთ. ისეთ სკოლებთან შეგიძლიათ დაამყაროთ კონტაქტები, რომლებთანაც არასდროს გექნებოდათ შეხება, რომ არა ინტერნეტი. კოლეგებს უამრავ რაღაცაზე დაელაპარაკებით, დაწყებული ინსპექტირებაზე თქვენი გამოცდილების გაზიარებით და დამთავრებული ინფორმაციებით ვაკანსიებისა და კონფერენციების შესახებ.
- უამრავი ინფორმაცია არსებობს, რომლითაც თქვენს ცოდნაში არსებულ ხარვეზებს შეავსებთ, ან ბევრ ისეთ უხერხულ კითხვებზე იპოვით პასუხებს, რომლებსაც მოსწავლეებთან ურთიერთობისას დიდი ალბათობით შეეჯახებით! ვთქვათ, ტიუდორების ქეიფის სურათის პოვნა გსურთ ან ძველი ბერძენი მეომრის აღჭურვილობისა, ბიბლიოთეკა კი დაკეტილია. ამ დროს საძიებო სისტემის ან შესაფერისი ბმულების გამოყენებით ინტერნეტში შესაძლებელია ამის უამრავი ნიმუში იპოვოთ და არჩევანიც კი გააკეთოთ.

ნ ა წ ი ლ ი

7

პირველადი წყაროების გამოყენება

არტეფაქტების მოძიების ერთ-ერთი გზაა ახლომდებარე მუზეუმიდან ან ადგილობრივი სასწავლო განყოფილებიდან ექსპონატების თხოვება. ზოგ შემთხვევაში თავად სკოლასაც აქვს ისტორიული ნიმუშების კოლექცია. გარდა ამისა, არსებობს კომპანიები, რომლებიც არტეფაქტების ასლებს ამზადებენ და მათ შესახებ ინფორმაციის მოძიება საგანმანათლებლო პრესაშია შესაძლებელი. თუ დიდი რაოდენობით ისტორიული საგანი გჭირდებათ, ამაში მუზეუმების ონლაინკოლექციები გაგიწევენ დახმარებას.

ბავშვებს ძალიან მოსწონთ ხოლმე საგნების ხელში დაჭერა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის უჩვეულოა, მხოლოდ წიგნებში აქვთ ნანახი და თავად უწევთ იმის გამოცნობა, რა დანიშნულება ჰქონდა.

გაკვეთილზე არტეფაქტების გამოყენების ერთ-ერთი გზაა, მოწაფეებმა წარმოიდგინონ, თითქოს თავად არიან კლასის კოლექციის კურატორები. თქვენი კლასი გამოფენას იმ საკითხზე აწყობს, რომელსაც ამ მომენტში გადიხართ. მათ ხელთ არსებული ექსპონატებიდან, რომლებიც წიგნში მოცემულ სურათებსაც მოიცავს, მოსწავლეებმა საკითხის გასაშუქებლად სამი ან ოთხი უნდა აირჩიონ.

როგორც კი არტეფაქტებს შეარჩევენ, სამუზეუმო გზამკვლევი უნდა გააკეთონ. ეს შეიძლება იყოს როგორც ბროშურის, ასევე პროკლამაციისა და ვებ-გვერდის სახით. ეს გზამკვლევი ექსპონატების შესახებ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს, შესაძლებელია ცნობებს მის დანიშნულებაზეც, რას წარმოადგენს ის და რა ინფორმაციას გვაძლევს ამა თუ იმ პერიოდზე. ბაშვებს შეუძლიათ რაღაც-რაღაცა ცნობები თავადაც შეთხზან, მაგალითად, სად და როდის იქნა ეს საგანი ნაპოვნი. დამატებით შეუძლიათ არტეფაქტების იარლიყებისთვის მოკლე ჩანაწერები გააკეთონ და საკლასო გამოფენისთვის ერთი დიდი პლაკატის ესკიზიც შეიმუშაონ. ამასთანავე, აუცილებლად უნდა დაასაბუთონ, რომელიმე კონკრეტული საკითხის საილუსტრაციოდ და რის საფუძველზე აირჩიეს ესა თუ ის ნივთი.

სასკოლო სახელმძღვანელოები მრავალი სახის პირველად წყაროს შეიცავს. ამ წიგნების ავტორები ძალიან შრომატევად სამუშაოს ასრულებენ წყაროებისა და ფაქტების მოძიების საქმეში, თუმცა მათ შორის ფრიად მნიშვნელოვანი განსხვავებაცაა. ამაში დასარწმუნებლად აიღეთ ერთ რომელიმე თემაზე დაწერილი სხვადასხვა სახელმძღვანელო და ნახავთ, რაოდენ დიდია მათ შორის სხვაობა. გამომდინარე აქედან, კლასისთვის სახელმძღვანელოს შერჩევა ბევრ შემთხვევაში სუბიექტური განსჯის საგანია ან, უფრო ხშირად, ხელმისაწვდომობის საკითხი. ბოლოს და ბოლოს, იძულებული ხართ იმ არჩევანით შემოიფარგლოთ, რომელსაც თქვენი სკოლის ბიბლიოთეკა გთავაზობთ. თუმცა ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ საკუთარი რესურსების შექმნა თავად არ სცადოთ.

მოიძიეთ ძველი გაზეთები; ზოგჯერ დიდი ნაციონალური გაზეთები ამა თუ იმ ისტორიულ თარიღთან, მაგ., მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების წლისთავთან, დაკავშირებით სპეციალურ ისტორიულ ჩანართებს ბეჭდავს. ამავე დროს, ადგილობრივ გაზეთებში ხშირად წააწყდებით რუბრიკას, სადაც იხსენებენ, რა დაიწერა ამ კვირას, ვთქვათ, 50 წლის წინათ. ამასთანავე, ადგილობრივი გაზეთები ძველი ფოტოებისა და რუკების ფასდაუდებელი წყაროა: შეგიძლიათ ასეთი ფოტოები ამოჭრათ და მუყაოს ბარათებზე დააკრათ. მათი ფოტოასლების გაკეთებაც შეიძლება ისე, რომ ხარისხი დიდად არ დაზარალდეს, ეს ხომ მაინც შავ-თეთრი სურათებია. ძალიან საინტერესო ფოტოებსა და საფოსტო ბარათებს იპოვით ძველმანების ადგილობრივ ბაზრობაზეც. ეს ნივთები გამოიყენეთ კლასისთვის ცვლილებებისა და სიცოცხლის უწყვეტობის საჩვენებლად, ადგილობრივი ისტორიის გასაცნობად, ქრონოლოგიასთან დაკავშირებულ სავარჯიშოებში, ასევე, საშინაო დავალებებში, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს, ვთქვათ, ნარკვევების წერას ამა თუ იმ ეპოქის მოდაზე, არქიტექტურაზე და ა.შ.

როდესაც სამხატვრო გალერეას სტუმრობთ, იქაურ საჩუქრების მაღაზიაშიც შეიარეთ. იქ მრავალ ძალიან საინტერესო საფოსტო ბარათსა და პლაკატს ნახავთ, რომლებზეც გალერეაში გამოფენილი მრავალი ექსპონატი იქნება გამოსახული. თუ საკუთარი სკოლის ისტორიული კაბინეტის რესურსების განვითარება განგიზრახავთ, შეგიძლიათ ძალიან მარტივი ზეპირსიტყვიერი ისტორიების კოლექციის შექმნით დაიწყოთ. ამისთვის ბავშვებს სთხოვეთ, საშინაო დავალებისთვის ოჯახის წევრებისგან მე-20 საუკუნის იმ თემების შესახებ აიღონ ინტერვიუები, რომლებსაც ამ კონკრეტულ მომენტში სწავლობენ.

რა საჭიროა ბავშვებს გარდასულ დღეთა სამოსლის წვრილმანები თეორიულად უხსნათ, როცა ამის დემონსტრირება ცოცხლად შეგიძლიათ? ძველი ტანსაცმლის გადაცმა არა მარტო ძალიან სახალისო აქტივობაა, რომელიც ბავშვებს დიდი ხნის მანძილზე დაამახსოვრდებათ, არამედ ფრიად სასარგებლო პრაქტიკულ ცოდნასაც იძლევა. ბევრი მუზეუმისა თუ ისტორიული შენობის საგანმანათლებლო განყოფილება უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ დამთვალიერებლებმა ისტორიული კოსტიუმები მოირგონ. ამავე დროს, ძველ ციხე-დარბაზებში სტუმრობისას ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ, ნამდვილი (ან ბუტაფორიული) ხმლები და ფარები ხელში დაიჭირონ (ცხადია, უმჯობესია, თუ ამ იარაღს ბასრი პირი არა აქვს!) და თავზე ჩაჩქნებიც დაიხურონ. თუ სკოლაში სამოყვარულო ისტორიული კლუბის წევრებს მოიწვევთ, რომლებიც რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის თეატრალიზებულ წარმოდგენებს მართავენ ხოლმე, მათ აუცილებლად ექნებათ რაიმე ისტორიული ტანსაცმელი, რომლის გასინჯვაც მოსწავლეებს შეეძლებათ.

როგორც კი მოხალისეები შუა საუკუნეების აბჯარსა თუ იმავე ეპოქის კორსეტს მოირგებენ, სხვა მოსწავლეებს დაავალეთ, მათ კითხვები დაუსვან ან რაიმე მარტივი მოძრაობა განსახიერება სთხოვონ, მაგალითად, ძირს დაიხარონ ან უკან გაიხედონ, რათა მდევარს მზერა მიაწიონ. ასეთი აქტივობით ბავშვები კარგად გაითავისებენ (იმედია, საკუთარ გამოცდილებაზე არა), რატომ მისდიოდათ ვიქტორიანული ეპოქის ქალებს ხშირად გული და რატომ იყო ამა თუ იმ კატეგორიის ჯარისკაცი ბრძოლის ველზე შეზღუდული. გადაიღეთ ფოტოები და მათ წარწერები გაუკეთეთ. ისტორიული ტანსაცმლის მორგებასთან დაკავშირებული აქტივობების შემდეგ ბევრი სასარგებლო საკლასო სამუშაო შეგიძლიათ დაგეგმოთ. მაგალითად, ბავშვებმა იმუშაონ თემებზე: რითი განსხვავდებოდა ამა თუ იმ ეპოქის მდიდარი და ღატაკი მოქალაქეების ტანსაცმელი; გამოიკვლიონ, საიდან მოჰქონდათ რომელიმე კოსტიუმისთვის საჭირო მასალა; შეისწავლონ ძველი ნახატები და პორტრეტები და მათზე გამოსახული ადამიანების ტანსაცმლის იდენტიფიცირება მოახდინონ.

თუ კლასისთვის იმის ჩვენება გინდათ, ისტორიკოსები ერთსა და იმავე წყაროებზე მუშაობის შედეგად სხვადასხვა დასკვნებამდე როგორ მიდიან, ეს შემდეგნაირად შეგიძლიათ გააკეთოთ: ბავშვებს რომელიმე მოვლენაზე მოკლედ უამბეთ. მაგალითად, თუ ძველი რომის ისტორიას სწავლობთ, ეს შეიძლება იყოს ლეგენდა რომულუსისა და რემუსის მიერ ქალაქის დაარსების შესახებ. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მწყემსმა და მისმა ცოლმა მდინარის ნაპირას ორი მიტოვებული ბიჭუნა იპოვეს და პატარები იშვილეს. მოსწავლეებს სთხოვეთ, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მწყემსის ოჯახის შესახებ პატარა მოთხრობა დაწერონ, სადაც ამ ხალხზე საკუთარ მოსაზრებებს დააფიქსირებენ და დეტალებსაც თავად შეთხზავენ. უთხარით, თავიანთ ნარკვევში მხოლოდ ის ინფორმაცია შეიტანონ, რომელიც თითქოსდა მწყემსისა და მისი ცოლის თვალით იქნება დანახული.

ამის შემდეგ ბავშვებმა თავიანთი ნაშრომები კლასს ხმამაღლა წაუკითხონ. მსმენელებმა ამ დროს თავიანთი მოსაზრებები უნდა გამოთქვან და, მოთხრობისთვის მეტი რეალობის მისანიჭებლად, მას ახალი დეტალები დაუმატონ. მოწაფეებს აუხსენით, რომ ისტორიკოსებიც ზუსტად ასე იქცევიან, როცა პირველად წყაროებს საკუთარ ინტერპრეტაციას აძლევენ ხოლმე.

ამ სავარჯიშოში პირველად წყაროებად რაიმე ფაბულის მაგივრად არტეფაქტების გამოყენებაც შეიძლება. მაგალითად, თუ მეორე მსოფლიო ომს გადიხართ, ბავშვებს აჩვენეთ ჩანთა, რომელზეც მფლობელის გვარ-სახელია მითითებული და შეიცავს, ვთქვათ, აირწინაღს, დათუნიას თოჯინას, საკვები პროდუქტების ტალონსა და მატარებლის ბილეთს. თუ რაიმე შესაბამისი საგანი არ გაგაჩნიათ, შესაძლებელია ლამინირებული სურათების გამოყენებაც. დაამატეთ კიდევ ერთი-ორი დეტალი და მოსწავლეებს ამ არტეფაქტების საფუძველზე რაიმე ისტორიის მოგონება დაავალეთ. მიღებული შედეგი კიდევ ერთი კარგი ილუსტრაცია იქნება, ერთსა და იმავე ფაქტების საფუძველზე როგორ იქმნება ხოლმე სრულიად განსხვავებული ისტორიები.

იმ პერიოდის მუსიკის გაჟღერებას, რომელსაც კლასი ამ მომენტში გადის, გაკვეთილზე მეტი სიცოცხლე და რეალობის შეგრძნება შემოაქვს. განსაკუთრებით ეფექტიანია, როცა მუსიკა ფონად ისმის, ამ დროს კი მოსწავლეები ისეთ სავარჯიშოებზე მუშაობენ, რომლებიც ისტორიულ პერსონაჟებთან ემპათიას მოითხოვს. თუ სკოლაში შესაბამისი მუსიკალური მოწყობილობა არ მოიპოვება, დანაკლისის შევსება ადგილობრივი ხმის ჩამწერი სტუდიებიდან არის შესაძლებელი. გარდა ამისა, ინტერნეტშიც ნახავთ რამდენიმე ვებ-საიტს, საიდანაც მუსიკის გადმოწერა დაშვებულია. თუმცა ხშირ შემთხვევებში ასეთი ჩანაწერების ხარისხი დაბალია.

კიდევ ერთი კარგი ხერხია სასწავლო პერიოდის შესაბამის ეპოქაში შექმნილი ლიტერატურის მოშველიება. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი სულ სხვა საგნის – ენისა და ლიტერატურის – პრეროგატივაა, ყოველთვის შეძლებთ მათ სფეროში ასეთი შეჭრის გამართლებას, თუ შეახსენებთ, რომ ლიტერატურა თავად წარმოადგენს ერთ-ერთ პირველად ისტორიულ წყაროს. მაგალითად, ჩოსერი შუა საუკუნეების ეკლესიასა და სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ცხოვრებაზე ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის და ბევრი თანამედროვე ინგლისელი მწერალი თავის რომანებს ჩოსერის ნაწარმოებების საფუძველზე აგებს. თუ ტიუდორების პერიოდის შობის დღესასწაულის პერიპეტიები გაინტერესებთ, ამისთვის შექსპირის „*მეთორმეტე ღამის*“ სიღრმისეული ანალიზი დაგეხმარებათ, ვიკინგების შესასწავლად საუკეთესო მეთოდი კი მათი საგების წაკითხვა იქნებოდა.

ბავშვებს ამ კონცეფციის გაგება, ჩვეულებრივ, არ უჭირთ ხოლმე. განსაკუთრებით მაშინ, თუ ახსნისას სათანადო მაგალითებს მოიშველიებთ. თუ საკმარისი დრო გაქვთ, მიკერძოებულობის ასახსნელად მოთამაშეების გუნდის ან მუსიკალური ჯგუფის ანალოგიის მოშველიება შეგიძლიათ. უთხარით, ორიდან ერთი გუნდი ან ჯგუფი აირჩიონ და სავარჯიშოს მსვლელობისას მხოლოდ მას დაუჭირონ მხარი. თუ ლაპარაკია სპორტზე, აქ გუნდები, როგორც წესი, რომელიმე თასისთვის იბრძვიან ხოლმე, ხოლო მუსიკალური კოლექტივების შემთხვევაში მიზანი ჩარტებში პირველი ადგილის მოპოვება უნდა იყოს. მოდით, საფეხბურთო გუნდების მაგალითი გამოვიყენოთ. შეგიძლიათ რომელიმე რეალური გუნდი აარჩიოთ ან ყურადღება ფიქციურ საფეხბურთო კლუბზე შეაჩეროთ. მაგალითად, ავიღოთ ლურჯ მაისურებში გამოწყობილი საფეხბურთო კლუბი „სენდბორნი“ და წითელმაისურიანი ს/კ „კასტერბრიჯი“. როგორც კი მოსწავლეებს თავიანთი ფავორიტი კლუბი ეყოლებათ, უთხარით წარმოიდგინონ, თითქოს რეალურ მატჩს ესწრებიან, რის შემდეგაც შესაბამისი საკლუბო გაზეთისთვის სტატია უნდა დაწერონ.

ბავშვებს მატჩის მიმდინარეობის შესახებ ცნობები მიაწოდეთ და შიგადაშიგ თხოვეთ, დაწერონ პატარ-პატარა ტექსტები, რიმლებიც მათ ფავორიტ გუნდს პოზიტიურად წარმოაჩენს, მიუხედავად იმისა, რეალობაში რა ხდება. მაგალითად, უთხარით, რომ „სენდბორნმა“ თამაშის დაწყებისას წილისყრა მოიგო. კი მაგრამ, „ეს წმინდა წყლის გამართლება იყო“ თუ „თამაშის დაწყებამდე გამოჩნდა, რომ „კასტერბრიჯს“ არავითარი შანსი არ ჰქონდა“. ნაკლებად დაწინაურებულ მოსწავლეებს ასარჩევი ფრაზები წინასწარ მიაწოდეთ. ამ ფიქციური მატჩის შემდეგი საყურადღებო მოვლენა შეიძლება იყოს ავტოგოლი, საეჭვო პენალტი, რომელიმე მოთამაშისთვის წითელი ბარათის ჩვენება და მოედანზე ჩხუბი. როგორც კი მოსწავლეები თითოეული ამ მოვლენის შესაფასებლად ფრაზებს მოიფიქრებენ, მათ მატჩის შესახებ პატარა სტატიის დაწერა დაავალეთ, სადაც საკუთარი ფავორიტების მიმართ სიმპათიას ღიად დააფიქსირებენ, მიუხდავად იმისა, წააგო მან თუ მოიგო. ამ სავარჯიშოს შედეგად მიღებული სტატია მიკერძოებული, სუბიექტური ტექსტის თვალნათელი ნიმუში იქნება. ამის შემდეგ ბავშვებს შეუძლიათ თავიანთი ნაწერები ერთმანეთს შეუდარონ.

თუ მაგალითების გამოყენებით მიკერძოებულობის ახსნა გსურთ, მაგრამ შეძღუდული დრო გაქვთ, იმ მოვლენის ან პერსონის შესახებ, რომელსაც ამჟამად ასწავლით, ორი საგაზეთო ჰედლაინი მოამზადეთ. მაგალითად, თუ ჰასტინგსის ბრძოლას გადიხართ, ასეთი ფრაზების გამოყენება შეგიძლიათ: „მუხანათმა ნორმანებმა ქვეყანა მზაკვრობით დაიპყრეს“ და „გონებამახვილმა ნორმანებმა ჩლუნგ საქსონებს ჭკუაში აჯობეს“. მოსწავლეებმა უნდა დაახარისხონ, რომელი ჰედალაინია მიკერძოებული საქსონების მიმართ და რომელი ნორმანების მიმართ. მერე ფრაზებიდან კონკრეტული მიკერძოებული სიტყვები უნდა ამოკრიფონ და საკუთარი ჰედლაინების შექმნას შეუდგნენ. ამის შემდეგ ცოტა უფრო ნაკლებად კონტრასტულ მაგალითებზე შეიძლება გადასვლა.

კლასს აუხსენით, რომ ინგლისურ სიტყვა „მიკერძოებულობას“ ფრანგული ფესვები აქვს და ამ ენაზე ცალმხრივობის აღმნიშნველია. უთხარით, რომ ზემოთ მოყვანილი სავარჯიშოები მათ მიკერძოებულობის ამოცნობას გაუადვილებს. აგრეთვე, ისიც უნდა განუმარტოთ, თუ რატომ არის ეს აგრერიგად მნიშვნელოვანი ისტორიასთან მიმართებაში. შეგიძლიათ მოიშველიოთ დაბალანსებული ისტორიული ტექსტების მაგალითებიც, რომელთა ავტორებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა ხარისხის სუბიექტურ წყაროებს ეყრდნობოდნენ. ამის უკეთესად დემონსტრირებისთვის ბავშვებს ორი სუბიექტური წყარო მიაწოდეთ და დაავალეთ, მათგან მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი ფაქტები ამოკრიფონ, მაგალითად ისეთები, რომლებიც ორივე წყაროშია მოხსენიებული.

ამას გარდა, შესაძლოა დაგჭირდეთ დამატებითი სავარჯიშოები, რომლებიც ობიექტურ ფაქტებსა და სუბიექტურ მოსაზრებებს შორის განსხვავებების პოვნაზე იქნება ფოკუსირებული. მაგალითად, მოსწავლეებს მიეცით რაიმე ტექსტი და სთხოვეთ, სამი ფაქტი და ამდენივე მოსაზრება მოიძიონ.

ეს იდეა მიკერძოებულობის შესახებ წინა სავარჯიშოდან გამომდინარეობს. კლასს აუხსენით, რომ პროპაგანდა არის ერთი დაპირისპირებული მხარის მიერ მხარდაჭერის მოსაპოვებლად გავრცელებული ცალმხრივი ინფორმაცია. ყოველი ჯგუფი ცდილობს, საკუთარი თავი მართლად და პოზიტიურად წარმოაჩინოს, მოწინააღმდეგე კი – მცდარად და ზოგჯერ ბოროტმოქმედადაც კი. თავისი არსით პროპაგანდა, რა თქმა უნდა, მიკერძოებულია. როგორც კი ბავშვები საფეხბურთო მატჩის შესახებ მიკერძოებული სტატიის წერას დაასრულებენ, ახალი, „ცინცხალი“ ამბები მიაწოდეთ: ვთქვათ, გაირკვა, თითქოს მთავარი მსაჯის ძმა „სენდერბორნში“ თამაშობს, „კასტერბრიჯმა“ კი ლაინსმენი მოისყიდა. დაავალეთ, ამ ცნობებზე დაყრდნობით ახალი სტატია „გამოაცხონ“ ისე, რომ მოწინააღმდეგე გუნდი მიწასთან გაასწორონ, თავიანთი ფავორიტის ხარვეზები კი მაქსიმალურად მიჩქმალონ.

თუ უპირატესობას ისტორიულ მაგალითებს ანიჭებთ, ამ მიზნით უამრავი რამის გამოყენება შეიძლება. მაგრამ ისტორიულ მოვლენებში პროპაგანდის გარჩევა ყოველთვის ადვილი არ არის ხოლმე. ამიტომ იმჯობესია, ისტორიიდან პროპაგანდის მაგალითები თავად მოიფიქროთ და იმ მოვლენებს დაუკავშიროთ, რომელთაც ამ კონკრეტულ მომენტში გადიხართ. თუ მიმდინარე თემა ჰასტინგსის ბრძოლაა, მოსწავლეებს დაავალეთ, შექმნან პლაკატები, რომლებიც ხალხს საქსონელების ან ნორმანდიელების ჯარში მოხალისედ ჩაწერისკენ მოუწოდებს. თუ მოსწავლეები ნორმანების მხარდაჭერას გადაწყვეტენ, კარგი იქნება, თუ აქცენტს ნორმანდიის ჰერცოგ უილიამის წინაშე მისი საქსონელი მოწინააღმდეგე ჰაროლდ გოდვინსონის მიერ ფიცის გატეხვაზე გდაიტანთ. მათ კი, ვინც საქსონელებს ემხრობა, ნორმანდიელების მადისკრედიტირებელი არგუმენტების მოძიება დაავალეთ.

როგორც კი მოსწავლეები სატირის არსს ჩაწვდებიან, ისეთ საინტერესო შედეგს მიიღებთ, რომ შეიძლება ინანოთ კიდეც, ამ თემის მიმართ თავიდანვე მეტი ყურადღება რომ არ გამოიჩინეთ! სატირა არის რაიმე ტექსტი ან ნახატი, რომელიც ადამიანების, საზოგადოებრივი ფენებისა და იდეების ნაკლოვანებებს დასცინის და მასხრად იგდებს.

ამ იდეის ახსნა შეიძლება დაიწყოთ თამაშით, რომელსაც ჰქვია „იპოვე განსხვავება“ და ადამიანის სურათსა და მის კარიკატურას შორის განსხვავებების ძებნას გულისხმობს. ამისთვის გამოიყენეთ ისტორიული მაგალითი ან რომელიმე თანამედროვე კარიკატურა, რომელიც ჟურნალ-გაზეთებში მრავლადაა. მოსწავლეებს ჰკითხეთ, რატომ მოხდა ადამიანის ამა თუ იმ თვისების ხაზგასმა? მათი აზრით, ეს კარიკატურა მისი პერსონაჟისთვის კომპლიმენტია თუ დაცინვა? თუ თქვენს სკოლაში კროს-კურიკულური კავშირები წახალისებულია, აღმოაჩენთ, რომ ასეთი დისკუსია შეიძლება ისეთ სოციალურ საკითხებზე გადაერთოს, როგორიცაა, მაგალითად, ხულიგნობა ან ძალადობა. აქვე ნახავთ აშკარა კავშირებს ინგლისურ ენაში სატირასა და მეტაფორას შორის.

როდესაც მოსწავლეები სატირასა და მსგავს ტერმინებს პირველად შეეჯახებიან, დაავალეთ, საკუთარი განმარტებები მოუძებნონ და რვეულებში ჩაინიშნონ. ეს ბევრად უფრო სასარგებლო საქმიანობაა, ვიდრე სახელმძღვანელოდან განმარტებების უბრალოდ გადმოწერა, რადგან ბავშვების ცოდნის ხარისხის გაგების ჩინებულ საშუალებას გაძლევთ. ამასთანავე, გააცანით მათ, ამგვარი ტერმინების გამოყენება კიდევ როგორ კონტექსტებში ხდება ხოლმე.

ნაწილი როგორ გავხდეთ კრეატიულები

ისტორიის გაკვეთილები დაწყებით კლასებში იდეალური ადგილია ისეთი კროს-კურიკულური აქტივობებისთვის, რომლებიც თავის თავში მოიცავს წერა-კითხვის, ხელოვნების, დიზაინისა და ტექნოლოგიების, ასევე, ICT-s ელემენტებს. თუმცა კროს-კურიკულური საქმიანობას უფრო მაღალ კლასების ისტორიის სასწავლო გეგმებშიც ხშირად წაახალისებენ. განსაკუთრებით ეს ისეთი უნარების განვითარებას ეხება, როგორებიცაა ენა, ლიტერატურა და მათემატიკური აზროვნება.

როდესაც ისტორიაში კრეატიულობის გამოჩენა გსურთ, ძალიან მნიშვნელოვანია ამისთვის შესაბამისი რესურსებიც გამონახოთ. თუ გარემოს ნარჩენებით დაბინძურებას ეწინააღმდეგებით, ისტორია აქაც გამოგადგებათ! დაიწყეთ ისეთი გადასაყრელი ნივთების შეგროვება, როგორებიცაა, მაგალითად, ბურღულეულის ცარიელი ყუთები და ნაყინის ნახმარი ქილები, შემდეგ კი იმაზე იმუშავეთ, რომ ამ ნარჩენებისგან შუა საუკუნეების ტაძრები და ძველი საბერძნეთის ქალაქების ბაზრობების კონსტრუირება მოახდინოთ.

კრეატიული სამუშაო ისტორიას უფრო „ხელშესახებს“ ხდის, რაც, თავის მხრივ, ძალიან უადვილებს სწავლას იმ ბავშვებს, რომლებსაც ცოდნის მიღება პრაქტიკული საქმიანობის ფონზე უფრო ეხერხებათ, წერითი დავალებების შესრულება კი ძალიან უჭირთ. თუმცა ზოგადად, ყველანაირი შესაძლებლობის ბავშვები დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან ისეთ საქმიანობას, რომელიც მათთვის ახალია. აქ მოყვანილი ზოგიერთი იდეა უფრო კლასგარეშე აქტივობისთვის იქნება შესაფერისი, მაგალითად ისტორიული კლუბებისთვის. ამ იდეების პრაქტიკულად განხორციელებით თქვენს საკლასო ოთახს მშვენიერ დეკორაციებს შემატებთ, რაც შემდეგ შეიძლება სხვადასხვა სახის გამოფენებისთვისაც გამოიყენოთ.

ძალიან კარგი იქნება, თუ მოახერხებთ თემატური ღონისძიების ორგანიზებას, სადაც მთელი სკოლა რომელიმე ისტორიული მოვლენის ირგვლივ დაგეგმილ აქტივობაში ჩაერთვება. ცხადია, ასეთი რამ ძალიან კარგ დაგეგმვას მოითხოვს, ისევე როგორც გაკვეთილების ცხრილის დროებით შეცვლასა და, რაც მთავარია, კოლეგების თანადგომას!

თუ ძველი რომის ისტორიას გადიხართ და ღონისძიებაც ამ საკითხს მიუძღვენით, ამ დროს მათემატიკის მასწავლებლები რომაულ ციფრებთან დაკავშირებით ჩაატარებენ გაკვეთილს და ვილებისა და ქალაქების განლაგებას ახსნიან ან ბავშვებს ეზოში გაიყვანენ და აჩვენებენ, როგორ ეხმარება არქეოლოგებს ტრიანგულაცია ნამარხების ადგილმდებარეობის ნახაზზე გადატანაში. არც ხელოვნების მასწავლებლებიც დარჩებიან უსაქმოდ. ასეთ შემთხვევებში მათ საკმაოდ დიდი არჩევანი აქვთ, დაწყებული მოზაიკებისა და სკულპტურების კეთებით და დამთავრებული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიით. დიზაინისა და ტექნოლოგიების პედაგოგები მოსწავლეებს ძველრომაულ ვილებში იატაკქვეშა გათბობისა და წყალმომარაგების სისტემების დაგეგმვაში დაეხმარებიან. გეოგრაფები კარგად ახსნიან, როგორ გაფართოვდა იმპერია და რითი იყო რომაელთათვის ესა თუ ის ქვეყანა აგრერიგად ფასეული. ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ძველ რომაულ მითოლოგიაზე, მოთხრობებსა და სხვა სახის ტექსტებზე ისაუბრებენ, გარდა ამისა, შეუძლიათ ხელთ არსებული უამრავი კრეატიული წერითი იდეიდან რომელიმე აირჩიონ და ბავშვებთან ერთად განახორციელონ. მუსიკის, ფიზკულტურის, რელიგიის ისტორიის მასწავლებლებიც არ იქნებიან უსაქმოდ და სკოლის ბუფეტის თანამშრომლებისათვისაც შეიძლება საკმაოდ ნაყოფიერი საქმიანობა გამოიძებნოს. უცხო ენების მასწავლებლები ენების წარმოშობაზე ისაუბრებენ ან ლათინურის შესახებ გაკვეთილს ჩაატარებენ, თეატრალურ კლასში კი რომაულ დრამატურგიასა და თეატრზე ამომწურავ ინფორმაციას მიიღებთ. მოქალაქეობის გაკვეთილზე კარგი იქნება ისეთ საკითხებზე საუბარი, როგორებიცაა კულტურა, სოციალური კლასი და ზოგადად ძველრომაული საზოგადოება. ICT-is კარგად მცოდნეებს კი შეუძლიათ გააკეთონ პატარა ვებ-გვერდი ან პუბლიკაცია სასკოლო ჟურნალისთვის, სადაც საუბარი იქნება იმაზე, რა მოხდა სკოლაში მას შემდეგ, რაც მას რომაული „სენი“ შეეყარა.

ძალიან ადვილია კროს-კურიკულური იდეების სხვა პერიოდებსა და ეპოქებზე განვრცობა. მაგალიათად, ძველ ეგვიპტეზე, აცტეკებზე, ანგლოსაქსონებზე, ვიკინგებზე, ძველ ბერძნებზე, ტიუდორებზე, ვიქტორიანელებზე და ა.შ. როცა ამ ღონისძიებას გეგმავთ, ხშირად ხვდებით, რომ ერთი დღე ყველა თქვენი იდეის განსახორციელებლად საკმარისი არ არის ხოლმე!

რეატიულ აქტივობებს დიდი მომზადება არ სჭირდება. ხშირად რეალობაში ისინი გაკვეთილზე სხვა სახის სავარჯიშოებიდან თავისით გამომდნარეობს ხოლმე. რიგითობის სავარჯიშოები კარგია არა მარტო იმით, რომ მოსწავლეებს მშვენივრად უხსნის ქრონოლოგიის არსს, არამედ იმითაც, რომ მათ პრიორიტეტების პრინციპსაც აცნობს.

ქრონოლოგიის ცოდნის შესამოწმებლად, აიღეთ რამდენიმე ტექსტი ან ნახატი და თითოეული მუყაოს შესაბამის ბარათზე მიაკარით. ასეთი ბარათების რამდენიმე კომპლექტი გააკეთეთ, კონვერტებში ჩააწყვეთ და მოწაფეებს ინდივიდუალურად დაურიგეთ ან ისინი ჯგუფებად დაყავით და თითოეულ ჯგუფს თითო კონვერტი მიეცით. თუ ბარათების ლამინირებას გააკეთებთ, მათ გამოყენებას განმეორებითაც შეძლებთ. ბავშვებმა ბარათები ქრონოლოგიურად უნდა დაალაგონ. თუ ბარათები ლამინირებულია, ეს კლასს დამატებით შესაძლებლობებს აძლევს - ბავშვები შეძლებენ მათზე მარკერებით მინაწერები გააკეთონ, შემდეგ კი წაშალონ.

როგორც კი ბავშვები რიგითობის სავრჯიშოებში კარგად გაერკვევიან, უკვე შეეძლებათ, რამდენიმე ამდაგვარი თავსატეხი თავადაც გააკეთონ, შემდეგ კი ერთმანეთს გაუცვალონ. მაგალითად, დაამზადონ ბარათები, სადაც ჩამოწერილი იქნება ის მიზეზები, რომლებმაც ესა თუ ის ომი გამოიწვია ან შავმა ჭირმა ბრიტანეთამდე მიაღწია. ასევე შესაძლებელია „დაწყვილების“ თამაშის პრინციპის გამოყენებაც. ვთქვათ, ჩამოწერონ არგუმენტები, რომლებიც 1066 წელს ინგლისის მეფის ტახტის პრეტენდენტებს ჰქონდათ, ან რომის იმპერიის დაცემის გამომწვევი წინაპირობები. შეუძლიათ ეს სავარჯიშო ისე დაგეგმონ, რომ ამოცანა იყოს სურათების შესაბამის ტექსტებთან დაწყვილება. მაგალითად, ანგლოსაქსური წელიწადის ამსახველი ილუსტრაციები და ტექსტები, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ რა მოვლენა მოხდა ამა თუ იმ თვეში.

რიგითობის სავარჯიშოები მარტო ქრონოლოგიური აქტივობებით არ შემოიფარგლება, მოსწავლეებისთვის ძალიან სასარგებლოა არჩევითობის სავარჯიშოებიც, სადაც ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევ მიზეზებს პრიორიტეტების მიხედვით დაალაგებენ. ამისთვის, ისევე როგორც წინა სავარჯიშოში, ბარათებისა და მათზე ჩამოწერილი ტექსტების გამოყენება შეუძლიათ. ეს უფრო მოსახერხებელია, ვიდრე მიზეზების რვეულში ჩამოწერა, რადგან ასეთი სია ყოველთვის დიდ კამათს იწვევს ხოლმე და ხშირად ბევრ შესწორებას საჭიროებს, რისი გაკეთებაც ბარათებით ბევრად უფრო იოლია. დავალების გართულება თუ გსურთ, მათზე ფრაზები ისე ჩაწერეთ, რომ კრიტიკულად ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვები აკლდეს. ამას დახურულ სავარჯიშოს ეძახიან. ამავე სავარჯიშოს კიდევ ერთი ვარიანტია, როცა მიზეზებს მოკლევადიან და გრძელვადიან კატეგორიებად ყოფენ. ბარათების სტრუქტურიზება შესაძლებელია ასევე პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური და ეკონომიკური მიზეზების მიხედვით ან სულაც რაიმე სხვა კატეგორიის მოფიქრება თავადვე შეგიძლიათ.

აქვე შეგიძლიათ ბარათებზე დაწერილი მიზეზები და შედეგები დააწყვილოთ. მაგალითად, დასვით ასეთი კითხვა: რატომ იყო ამდენი ღატაკი ადამიანი XVI საუკუნეში? მოსწავლეებს მოუწოდეთ მოვლენებს შორის კაუზალური კავშირები დაინახონ. ბარათების სისტემა ბავშვებს იმაშიც დაეხმარება, რომ თავიანთ რვეულებში მათი გამოყენებით შესაბამისი დიაგრამები დახაზონ.

ისევე როგორც ბევრ სხვა დისციპლინას, ისტორიასაც გარკვეულწილად თავის საკუთარი „ჟარგონი“ აქვს. ბავშვები წაახალისეთ, რათა უფრო მეტად დაინტერესდნენ იმ სიტყვებით, რომელთა მნიშვნელობა არ ესმით. ურჩიეთ, თავიანთი რვეულების შუაში ან ბოლოში ძირითადი ისტორიული ტერმინების გლოსარიუმისთვის სპეციალური ადგილი გამოყონ. ამ წიგნის მეორე ნაწილში ლაპარაკია იმაზე, რომ სიტყვების ძებნასთან დაკავშირებული სავარჯიშოები და ძირითადი ტერმინების ბინგოს ლექსიკონი მოსწავლეებს ისტორიული ტერმინების გაგებასა და დამახსოვრებაში დაეხმარება. ამავე დროს, ტერმინების ცოდნის შესამოწმებლად უამრავი სავარჯიშო არსებობს.

აუცილებელია, ძირითადი ტერმინების ლექსიკონით სარგებლობა მთელ კლასს შეეძლოს. შეგიძლიათ რამდენიმე მნიშვნელოვანი სიტყვა შეარჩიოთ და დიაგრამებზე იარლიყების სახით განათავსოთ, რათა მათი მნიშვნელობა და სპელინგი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს. ყოველ გაკვეთილზე ახალი მოსწავლე შეარჩიეთ, რომლის მოვალეობა იქნება დაფაზე რომელიმე ახალი ტერმინის დაწერა სპელინგითა და მნიშვნელობით. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ზემოთ ყურება ადამიანის ტვინში მეხსიერებასთან არის ასოცირებული. შეამოწმეთ ეს მოსაზრება: კლასში უცხო სიტყვები მაღალ ადგილას დაწერეთ, ბავშვებს მის წასაკითხად ზევით ახედვა რომ დასჭირდეთ.

როცა მოსწავლეები საგაზეთო სტატიას ან ნეკროლოგს წერენ, შეიძლება სურვილი გაუჩნდეთ, მათი პროდუქტი რაც შეიძლება „ძველად“ გამოიყურებოდეს. აუცილებელი არ არის, ეს ყველაფერი ბავშვებით სავსე კლასში გააკეთოთ, მაგრამ ამ მიზნით შესაძლებელია ფურცელს კიდეები ისე მოუწვათ, რომ მართლაც მრავალჭირგამოვლილად გამოჩნდეს და „განძთა კუნძულის“ რუკას დაემსგავსოს. იმავე ეფექტის მისაღებად, ოღონდ უსაფრთხოების წესების დაცვით, საკმარისია ფურცლის კიდეებს რუხი ფერის ფანქარი დაათალოთ და შემდეგ კარგად შეაზილოთ.

შესაძლებელია ქაღალდზე ერთჯერადი ჩაის სველი პაკეტიც დაადოთ, რითაც სასურველ ფერს მიიღებთ, ან ცეცხლის ალზე თავად ფურცელი გადაატარეთ და ცოტათი მოწვით. ჩაის მაგივრად ყავის გამოყენებას არ გირჩევთ, რადგან მისი სუნი დიდხანს რჩება ხოლმე! ცვილის ბეჭდების უსაფრთხო ანალოგი შეიძლება იყოს ჩვეულებრივი პლასტილინი. მასზე მოწაფეები კბილის ჩხირებით თავიანთ სახელებსა და რაიმე ემბლემებს გამოსახავენ. თუ ამ დოკუმენტების გამოფენას აპირებთ, რაიმე ეფექტური მინაწერი გაუკეთეთ, მაგალითად: „უძველესი გრაგნილები“ ან რაიმე ამის მსგავსი.

მოდელების გაკეთება ძალიან კარგი საშუალებაა, რათა ბავშვებმა იმის ვიზუალიზაცია მოახდინონ, რაც მხოლოდ სახელმძღვანელოს ფურცლებსა და კომპიუტერის ეკრანზე აქვთ ნანახი. უმცროსკლასელთათვის განკუთვნილ ბევრ წიგნში არის ისეთი თავსატეხები და სავარჯიშოები, მაგალითად, კონსტრუქტორები, რომლებიც ბავშვებს ციხესიმაგრეების, პირამიდებისა და უამრავი სხვა რამის მოდელის გაკეთების საშუალებას აძლევს. ამ აქტივობის შედეგად მიღებულ პროდუქტს საკლასო მუზეუმში ექსპონატად გამოფენთ, ხოლო თუ ამ ნივთს საკმარისად მყარი კონსისტენცია აქვს, მაშინ შეგიძლიათ ნამარხ „განძად“ გადააქციოთ, რომელსაც „არქეოლოგიური გათხრებისას“ იპოვით.

თუ ამ აქტივობის შედეგად გაკეთებულ ნივთს დასრულებული არტეფაქტის სტატუსი ექნება, შესაძლოა წერილობითი სამუშაოსთვისაც გამოიყენოთ. მაგალითად, კელტური ყელსაბამი იყოს რომაელი ლეგიონერის მიერ ბრიტანეთის დაპყრობის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ შვილებისთვის წამოღებული სამახსოვრო სუვენირი; რომელიმე არქიტექტურულ ჟანრში შესრულებული ციხესიმაგრის მოდელს კი მეფეს მიართმევთ და წერილობით მის დარწმუნებას შეეცდებით, რომ ციხეების მშენებლობის ეს სტილი ძველს ბევრად სჯობს.

მოსწავლეებისთვის ახალი უნარების განვითარების კიდევ ერთი ხერხია მოდელების კეთება, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამუშაო დიდი რაოდენობით გაზომვებსა და გამოთვლებს მოითხოვს. როდესაც პირამიდების მოდელებს ქმნით, ბავშვებს იმის გამოთვლა დაავალეთ, ქვის რამდენი ბლოკი იქნებოდა საჭირო ნამდვილი პირამიდის ასაგებად, რა წონის უნდა იყოს ეს ბლოკები და ა.შ.

ეს ფრიად სასარგებლო სავარჯიშოა მაშინ, როცა სასწავლო თემა დროის ათვლის სისტემებში არსებულ განსხვავებებს ან სეზონურ სამუშაოებს ეხება. ბავშვებს შეუძლიათ კალენდრები ან ხელით დაწერონ, ან კომპიუტერში მზა შაბლონზე ააგონ.

მაგალითად, თუ შუა საუკუნეების სოფლის ცხოვრებას გადიხართ, კლასს დაურიგეთ სასოფლო-სამეურნეო აქტივობების სია, რომელიც ამა თუ იმ მკაცრად განსაზღვრულ დროს უნდა ჩატარდეს. ბავშვებმა ამ აქტივობების დასახელება ან მათი გამოსახულების სურათები კალენდრის შესაბამის ადგილას უნდა მიაკრან.

კალენდრის გამოყენება მაშინაც შეგიძლიათ, თუ კლასს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში არსებულ სეზონურ სისტემებს უხსნით. მაგალითად, თუ ძველი ეგვიპტის ისტორიას გადიხართ, ბავშვებს დაავალეთ, კალენდარზე ის პერიოდები მოხაზონ, როცა ეგვიპტელები ნილოსის ადიდებას ვარაუდობდნენ და ამ მოვლენის შედეგების გამოკვლევაც სთხოვეთ. რომელიმე ერთი კონკრეტული წლის კალენდრის შედგენაც შეიძლება, მაგალითად, 1066 წლის, სადაც სტამფორდ-ბრიჯისა და ჰასტინგსის ბრძოლების თარიღებს ჩაწერთ. ამით მოსწავლეებს საქსონელთა ჯარის მიერ სტამფორდ-ბრიჯში გამარჯვების მერე სამხრეთით განხორციელებული მარშის სისწრაფესაც აუხსნით და იმაზეც შეგეძლებათ კამათი, თუ როგორ იმოქმედა ამან არმიის ბრძოლისუნარიანობაზე.

ძველი რომაელები და ვიკინგები კვირის დღეებსა და თვეებს სულ სხვა სახელებით აღნიშნავდნენ. ამის გათვალისწინებით, შეგიძლიათ მოსწავლეებს ისეთი კალენდრის გაკეთება დაავალოთ, სადაც თითოეულ თვესა თუ კვირის დღეებზე ეწერება, რატომ ეწოდება მას ესა თუ ის სახელი. მაგალითად, რომაულ კალენდარზე მარტის თვის ადგილას გამოსახეთ ღმერთი მარსი და პატარა ტექსტიც მიაწერეთ, ვიკინგების კალენდარზე კი ახსნილი იქნება, რატომ ჰქვია კვირის დღეებს ესა თუ ის სახელი.

1. შექმენით კატალოგი.
   თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, შეიძლება თავს იმის ფუფუნება მისცეთ, რომ გაკვეთილებზე ისტორიასა და ხელოვნებას შორის კროს-კურიკულური ხიდები გადოთ. თუ ამ საქმიანობისთვის რაიმე მოსახერხებელ თემას ასწავლით, მაგალითად, ისტორიულ სათამაშოებს ან ძველ მოდას, მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი კატალოგების შედგენა, სადაც იმ ნიმუშებს შეიტანენ, რომლებიც თავად ნახეს და ნივთების ნიშან-თვისებებსაც ჩამოწერენ.

2. როგორ წერდნენ ძველად.
   გარდასულ დროთა კალიგრაფიული თავისებურებების იმიტაცია მართლაც რთული საქმეა. თუ მოსწავლეებს ვიქტორიანული ეპოქის სტილის ხელწერას უხსნით, ალბათ, ისეთი ხელსაწყოები დაგჭირდებათ, როგორიცაა გრიფელის დაფა და ბატის ფრთა. მას შემდეგ, რაც შუა საუკუნეების ხელნაწერებს გაეცნობიან, მაგალითად ისეთს, როგორიცაა ლინდისფარნის სახარება, მოსწავლეებს შეიძლება იმის სურვილი გაუჩნდეთ, რომ თავიანთი სახელების პირველი ასო ამ დოკუმენტის მსგავსი სამშვენისებით შეამკონ. ზუსტად ასევე, ისლამური ცივილიზაციის შესწავლისას სხვადასხვა გეომეტრიული ნიშნის იმიტირებაც უნდა სცადონ. სხვა დამწერლობების, მაგალითად, რუნებისა და იეროგლიფების, საშუალებით ბავშვები ტექსტების კოდირებასა და შემდეგ მათ გაშიფვრას შეძლებენ.

3 ეპიტაფიები
   როდესაც ძველი რომის ისტორიას გადიხართ, აუცილებლად გექნებათ შეხება საფლავებსა და აკლდამებზე გაკეთებულ წარწერებთან. მოსწავლეებს შეუძლიათ ისტორიული პერსონაჟების საფლავები დახატონ და მათზე ეპიტაფიები „ამოტვიფრონ“, რაც ნეკროლოგების წერის ალტერნატიული სავარჯიშო იქნება.

4. ძველი ხელოვნება
   როდესაც ძველ საბერძნეთს, რომს ან ეგვიპტეს ასწავლით, კლასს შესაბამისი ღმერთებისა და ქალღმერთების ქანდაკებების დახატვა ან გამოძერწვა დაავალეთ. ტიუდორების ეპოქა პორტრეტების სწავლების უნიკალურ შანსს გაძლევთ, განსაკუთრებით საინტერესოა დედოფალ ელისაბედის პორტრეტების ამა თუ იმ სტილით შესრულება. მოსწავლეებს შეუძლიათ სხვადასხვა ცნობილი პიროვნების გამოსახულებები სიმბოლიზმის ჟანრშიც შეასრულონ.

1. ქალაქის დაგეგმარება
   მოსწავლეებს სოფლის ან ქალაქის გენერალური გეგმის შემუშავება დაავალეთ და საფუძვლად მიეცით რომელიმე ფუნდამენტური კონცეფცია, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. მაგალითად, შუა საუკუნეების სოფელში აუცილებლად უნდა იყოს ეკლესია, საზოგადო მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ფეოდალის სახლი ან სასახლე და ა.შ. თავიდან კლასს რამდენიმე ნიმუში გააცანით და შემდეგ სთხოვეთ, იმის სია ჩამოწერონ, რაც, მათი აზრით, ამ სოფელში უნდა არსებობდეს. ამაზე დაყრდნობით „თავიანთი“ სოფელი დაგეგმონ ან სულაც სოფლის მაკეტი გააკეთონ. დროში განელილი ცვლილებების საჩვენებლად მოსწავლეების მიერ დახატულ სოფელს გამჭვირვალე ქაღალდზე გამოსახული იმავე სოფლის ამჟამინდელი გეგმა გადააფარეთ და სხვაობა ფანქრით მონიშნეთ.
2. „კომიქსები“
   არსებითად რომ განვიხილოთ, ბაიოს გობელენი შეიძლება უძველეს „კომიქსად“ ჩავთვალოთ. ამ პრინციპით მოსწავლეებსაც შეუძლიათ ამა თუ იმ მოვლენათა თანმიმდევრობა მსგავს ფორმატში შეასრულონ. თუ რომელიმე მათგანი ხატვაში მაინცდამაინც დახელოვნებული არ არის, მას სურათების სერია თავად მიაწოდეთ და სთხოვეთ, უჯრედებში შესაბამისი ტექსტი ჩაწეროს.
3. სტილი და იმიტაცია
   მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ჰერალდიკაც შექმნან, მაგალითად, საგვარეულო გერბი ან ძველი მონეტების ესკიზები დახატონ, სადაც ავერსზე შესაბამის მეფეს გამოსახავენ. აქ რელიგიის სწავლებასთან აშკარა კროს-კურიკულური კავშირები არსებობს – რელიგია ხომ ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ეს ორი საგანი გააერთიანეთ. მაგალითად, კლასს ფერადი ქაღალდებისგან ვიტრაჟების აწყობა დაავალეთ, სადაც რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას ან მოვლენათა სერიას გამოსახავენ.
4. მტკიცებულება და წარმოსახვა
   თუ რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოები სასწავლო თემას ეხმიანება, როგორც, ვთქვათ, „ბეოვულფი“ ანგლო-საქსების ეპოქას, კლასს ამ წიგნიდან რაიმე საინტერესო ნაწყვეტი წაუკითხეთ. შემდეგ უთხარით, წარმოიდგინონ, როგორ გამოიყურებოდა მათ წარმოდგენაში ამ ნაწარმოების პერსონაჟი მონსტრი და მისი დახატვა დაავალეთ. იმავე დავალების მიცემა ტიუდორების ეპოქის მოგზაურებთან დაკავშირებითაც შეგიძლიათ, ზოგიერთი მათგანი შორეულ ქვეყნებში ნანახ „ურჩხულებზე“ (ჟირაფებსა და სპილოებზე) ლეგენდებს ჰყვებოდა, მაგრამ, როცა მხატვრები მათ მონაყოლზე დაყრდნობით ამ მონსტრების გამოსახვას ცდილობდნენ, ძალიან უცნაურ შედეგს იღებდნენ

ხოლმე. კლასს ერთი-ორი ასეთი ვერბალური აღწერილობა წაუკითხეთ და სთხოვეთ, ესა თუ ის ცხოველი მხოლოდ ამ ცნობებზე დაყრდნობით დახატონ. მიღებული შედეგი წყაროების ინტერპრეტირების კარგი მაგალითი იქნება.

ნ ა წ ი ლ ი

9

ინტელექტუალური სავარჯიშოები

ბევრი რამ დაწერილა ინტელექტუალური უნარების შესახებ, იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი სწავლება და სწავლა. ამ ნაწილში შემოგთავაზებთ რამდენიმე იდეას, როგორ განვახორციელოთ ეს საკლასო ოთახის რეალობაში. მიღებულია ინტელექტუალური უნარების შემდეგი კლასიფიკაცია:

ინფორმაციის დამუშავების უნარები:

- შესაბამისი ინფორმაციის მოძიება და შეგროვება;
- დახარისხება, კლასიფიცირება, მოწესრიგება, შედარება და გარჩევა-კონტრასტირება;
- მთელსა და შემადგენელ ნაწილებს შორის კავშირების ანალიზი.

აზროვნების უნარები:

- მოსაზრებებისა და ქმედებების მიზეზების გაგება;
- ლოგიკური ჯაჭვების აგება და დასკვნების გამოტანა;
- აზრების ზუსტად გადმოცემა;
- გადაწყვეტილების მიღება ლოგიკურ მსჯელობასა და/ან მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

საკვლევი უნარები:

- რელევანტური კითხვების დასმა;
- პრობლემების წარმოჩენა და განსაზღვრა;
- ქმედებებისა და მათი განხორციელების გზების დაგეგმვა;
- შედეგების პროგნოზირება;
- დასკვნების შემოწმება და იდეების დახვეწა.

კრეატიული აზროვნების უნარები:

- იდეების გენერირება და განვრცობა;
- ჰიპოთეზების ჩამოყალიბება;
- წარმოსახვის შესაძლებლობა;
- ალტერნატიული, ინოვაციური შედეგის ძიება.

შეფასებითი უნარები:

- ინფორმაციის აწონ-დაწონვა;

- წაკითხულის, მოსმენილისა და გაკეთებულის შეფასება;
- საკუთარი ან სხვების საქმიანობის ან იდეების შესაფასებელი კრიტერიუმების შემუშავება;
- საკუთარ შეფასებებსა და დასკვნებში თავდაჯერებულობა.

ამ სავარჯიშომ შეიძლება ფრიად განსხვავებული შედეგები მოგვცეს. ის აზროვნების უნარებსა და კრეატიულობას მოითხოვს, მოსწავლეებს ისტორიულ პერსონაჟებთან ემპათიასა და მოვლენების გაცნობიერებაში ეხმარება და მიზეზშედეგობრიობის გაგებასაც უადვილებს. ახლა, როდესაც ბრიტანეთის ტელეეკრანებზე კვლავ დაბრუნდა სატელევიზიო სერიალი „დოქტორ ჰუ – მოგზაურობა დროში“, მოსწავლეებს დროში მოგზაურობის კონცეფციის გაგება, ალბათ, უფრო გაუადვილდებათ. მათ, ვინც ამ სერიალს არ იცნობს, და უმცროსკლასელებს, ვინც რაღაცების დამატებით ახსნას საჭიროებს, ეს იდეა წარუდგინეთ „საშინელი ისტორიების“ მულტსერიალის მაგალითზე (ახლა ეს ფილმი ხელმისაწვდომია დივიდის ფორმატშიც), რომლის გმირებიც ასევე წარსულში მოგზაურობენ.

მას შემდეგ, რაც კლასი ამა თუ იმ საკითხს საკმარისად გაეცნობა, ბავშვებს ეუბნებით, რომ უკვე დროა, დროის მანქანაში ჩასხდეთ და სასწავლო თემის შესაბამის ეპოქაში გაემგზავროთ. მაგალითად, თუ პირველ მსოფლიო ომს გადიხართ, დროის მანქანა 1914 წლის მიმართულებით წაიყვანეთ; ან შეგიძლიათ მოსწავლეების ცოდნის შესამოწმებლად თავად მათ ჰკითხოთ, რომელ წელზე მომართონ დროის მანქანის „ძრავა“. „ადგილზე“ ომის დაწყებამდე უნდა მოხვდეთ, რათა იმის მოწმეც გახდეთ, როგორ იძაბებოდა ურთიერთობები ევროპის ქვეყნებს შორის. დაავალეთ, მოიფიქრონ გზები, რომელთა საშუალებითაც ამ დაძაბულობის შემცირებას შეძლებდნენ. ეს კარგია იმისთვის, რათა დაწრმუნდეთ, ესმით თუ არა ბავშვებს ომის გამომწვევი სიღრმისეული მიზეზები. ამის შემდეგ იმ დღეზე გადადიხართ, როცა ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი მოკლეს, და კლასს ავალებთ, ამ მკვლელობის ფონზე ომის თავიდან აცილების გზები კიდევ ერთხელ გამოთვალონ. ამით გაიგებთ, ესმის თუ არა კლასს ომის უშუალო მიზეზები. მოაწყვეთ 1914 წლის ზაფხულის სიმულაცია. შეგიძლიათ, როცა საჭიროა, დღეებს „გადაახტეთ“. ბავშვებმა თავიანთი მოსაზრებები გამოთქვან იმაზე, ნამდვილად გარდაუვალი იყო თუ არა ომი? და თუ არა, მაშინ მისი თავიდან აცილების სტრატეგიები ჩამოაყალიბონ.

თუ ბავშვები შუა საუკუნეების ისტორიას გადიან, გაემგზავრეთ იმ დროში, როდესაც გემი, რომელსაც შავი ჭირი გადაჰქონდა, ინგლისის ნაპირს პირველად მიადგა, შემდეგ კი კლასს სთხოვეთ, მთელი თავისი ცოდნა მოიკრიფოს და

ისეთი აქტივობები დაგეგმოს, რომლებიც ქვეყანაში ეპიდემიის გავრცელებას შეამცირებდა. ანუ, პირველ რიგში, მიზეზებს უნდა მიაგნოთ. ახლა ჩვენ ვიცით, რომ შავი ჭირი რწყილებს გადაჰქონდათ, თავად რწყილები კი – ვირთხებს. ეს სავარჯიშო რეტროსპექტიული აზროვნების განვითარებაში დაგეხმარებათ. ამის შემდეგ შუა საუკუნეების ერთ ჩვეულებრივ სოფელს ესტუმრეთ, რომელიც შავ ჭირთან გამკლავებას ტრადიციული მეთოდებით ცდილობს და მოსწავლეებს ამ ხალხისთვის ეპიდემიასთან ბრძოლაში რეკომენდაციების შემუშავება სთხოვეთ, ისე რომ რეტროსპექტიული აზროვნების უპირატესობა არ გამოიყენონ.

ამ სავარჯიშოს ასე იმიტომ ჰქვია, რომ მოსწავლეებს რაიმე ისტორიული მოვლენის ამსახველ სურათს აჩვენებთ, სადაც რაღაც დეტალი შეგნებულად არასწორად არის გამოსახული. ეს შეიძლება თქვენ მიერვე დამზადებული ფაბრიკაცია იყოს, რომლის ქსეროასლებს კლასში ჩამოარიგებთ ან ერთ დიდ ასლს დაამზადებთ, რათა ყველამ კარგად დაინახოს (შეგიძლიათ საკლასო ოთახში სხვა სურათებთან ერთად გამოფინოთ და მერე მოსწავლეებს სურათზე არა მარტო არასწორი დეტალის ძებნა დაავალოთ, არამედ თავად სურათისაც). იმ მასწავლებლებს, რომლებიც ტექნიკურ საკითხებში კარგად არიან გარკვეულები, შეუძლიათ გამოსახულება „ინტერაქტიურ დაფაზე“ ნაწილ-ნაწილ გამოაჩინოთ.

მარტივად რომ ვთაქვათ, ეს სურათი შეიძლება იყოს ძველი გამოსახულება ან თანამედროვე ილუსტრაცია, სადაც რაიმე ანაქრონიზმია ჩამატებული. ამ შეცდომის იდენტიფიცირება მოსწავლეების ქრონოლოგიაში გავარჯიშების კარგი საშუალებაა. ცვლილებებისა და განვითარების კონცეფციის კარგად ასახსნელად კლასს დაავალეთ, ეპოქის შესაბამისი ორი ან სამი დეტალი გამოსახულებას თავად დაამატონ, ვთქვათ, ვიქტორიანული ეპოქის გამოგონებებთან დაკავშირებული. ნაკლებად განვითარებულ ბავშვებს სხვადასხვა საგნების სია დაურიგეთ, საიდანაც სწორ ნივთებს აირჩევენ, ნიჭიერ მოწაფეებს კი დაავალეთ, „არასწორი“ სურათები თავად მოიფიქრონ და შექმნან და მერე თანაკლასელებს აჩვენონ.

ამ სავარჯიშოს კიდევ ერთი ფორმაა, როცა კლასს ისეთ სურათებს ურიგებთ, რომლებსაც რაიმე მნიშვნელოვანი დეტალი, პერსონაჟი ან შენობა აკლია და ბავშვებმა პატარა მოკვლევა უნდა ჩაატარონ, რათა გამოტოვებული დეტალის იდენტიფიცირება შეძლონ. მაგალითად, თუ მეორე მსოფლიო ომის ისტორიას გადიხართ, აჩვენეთ ნიურნბერგში ცნობილი ნაცისტური თავყრილობების სურათები, სადაც ჰიტლერის გამოსახულება გამოტოვებული იქნება. ეს საინტერესო დისკუსიისთვის საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგია: რამდენად მნიშვნელოვანი იყო მსგავსი აქციები ნაცისტური რეჟიმისათვის; საერთოდ, მოხდებოდა თუ არა ომი, ჰიტლერი რომ არ დაბადებულიყო. როგორც კი კლასი ამ სავარჯიშოს შეასრულებაში დაიხვეწება, შეგიძლიათ დაავალოთ, მსგავსი „არასწორი სურათები“ თავად შექმნან და ამოსახსნელად ერთმანეთს გაუზიარონ ან ცოდნაში სხვა კლასს გაეჯიბრონ.

ინფორმაციის გადამუშავების უნარებთან დაკავშირებული ეს სავარჯიშო განკუთვნილია უმცროსკლასელებისთვის, დაბალი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის და, გარდა ამისა, მათთვისაც, ვისთვისაც ინგლისური ენა მშობლიური არ არის. მოიმარაგეთ არტეფაქტები ან ლამინირებული სურათები და საფოსტო ბარათები. უმცროსკლასელებთან ეს შეიძლება იყოს სათამაშოები ან ხმარებიდან გასული სახელმძღვანელოები, ძველი პლაკატები. ბავშვებს დაურიგეთ ბარათები, რომლებზეც ეწერება ისეთი ზედსართავი სახელები, როგორენიცაა *დამტვრეული*, *ბინძური*, *გახლეჩილი*, *სუფთა*, *პრიალა* და ა.შ. ისინი, ვინც ინგლისურს კარგად არ ფლობს, ნახატებიანი ბარათებით მოამარაგეთ, რათა კარგად გაიგონ, რაზეა ლაპარაკი. კარგი იქნება, თუ განსხვავებული შესაძლებლობების მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სირთულის ბარათებს დაამზადებთ. ნიჭიერ ბავშვებს შეგიძლიათ დაავალოთ, ასეთი ბარათების კომპლექტები თავად დაამზადონ როგორც თავისთვის, ასევე სხვებისთვისაც. თითოეული კომპლექტი უნდა იყოს სხვადასხვა ფერის ან დანომრილი მაინც, რათა მოწაფეებს დაინახვოთ, რომელი ბარათები დაურიგდათ.

ამის შემდეგ ბავშვებმა არტეფაქტებს ეს ბარათები იარლიყების სახით უნდა დააკრან. ბარათების რაც მეტი კომპლექტი გექნებათ, მით უკეთესია, რადგან ამით მოსწავლეებს ერთმანეთის მიბაძვა გაურთულდებათ! როგორც კი სავარჯიშოს შესრულებას დაასრულებენ, მიღებული შედეგი შეგიძლიათ ახალი დისკუსიის ან წერილობითი დავალების საწყის წერტილად გადააქციოთ ან ძირითადი ტერმინების ლექსიკონის სავარჯიშოზე გადაერთოთ. ეს აქტივობა ბავშვებს ქრონოლოგიის გაგებაში დაეხმარება და შეუცვლის ისეთ უსარგებლო სტერეოტიპებსაც, როცა თვლიან, რომ ყველა ჭუჭყიანი საგანი მაინცდამაინც ძველი უნდა იყოს, იდეალურ მდგომარეობაში მყოფი კი – აუცილებლად ახალი.

როცა ახალ თემას იწყებთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის მკვლელობას ან ადამიანების გარდაცვალებას ეხება, საკლასო ოთახი „დანაშაულის ადგილად“ გადააქციეთ. მეტი დამაჯერებლობისთვის შეგიძლიათ იატაკზე დაღუპულის სილუეტი ცარცით მოხაზოთ, გარშემო კი „სამხილები“ ისე მიმოფანტოთ, რომ, როგორც კი ბავშვები საკლასო ოთახში შემოვლენ, მაშინვე თვალში ეცეთ. სამხილებად შეიძლება გამოიყენოთ სახელმძღვანელოდან ამოკრეფილი და კედლებზე გამოკრული წყაროები, ვებ-გვერდების მისამართები, დანაწევრებული სურათები, რომელთა ნაწილებიც უნდა შეერთდეს, ან იდუმალებით მოცული ჰედლაინები გაზეთებიდან. თავად შეგიძლიათ იტვირთოთ თვითმხილველის ფუნქცია, რომელსაც ბავშვები დაკითხავენ. დროის ეკონომიისთვის კლასი ჯგუფებად დაყავით და საქმე ისე გაანაწილეთ, ყველა ერთდროულად დაკავებული რომ იყოს, მაგალითად, მაშინ, როცა ერთი ჯგუფი ვებ-საიტებს ათვალიერებს, მეორემ დანაწევრებული სურათების ნაწილები შეაერთოს, მესამემ სხვა საქმე აკეთოს და ა.შ. კარგი იქნება, თუ თითოეულ ჯგუფს დაახლოებით 10-10 წუთს მისცემთ.

კონკრეტული კითხვა, რომელზეც ბავშვებმა პასუხი უნდა გასცენ, დამოკიდებულია იმაზე, ვის სიკვდილს იძიებენ ისინი. თუ ეს შოტლანდიის დედოფალი მარიაა, იკითხეთ, ვინ მოკლა იგი და რატომ? თუ შავ ჭირზე მუშაობთ, შესაძლოა კითხვა ასეთი იყოს: საერთოდ, რა არის ეს და როგორ კლავდა იგი ადამიანებს?

ეს ინდივიდუალური პროექტების ერთ-ერთი სახეა იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც ვიდეოკამერაზე, ციფრულ ფოტოაპარატზე ან სარედაქციო კომპიუტერულ პროგრამებზე მუშაობა შეუძლია. საბოლოო პროდუქტი მთელ კლასს ან უფრო ფართო პუბლიკას უნდა წარედგინოს. როდესაც რაიმე თემას გადიხართ, ის რამდენიმე კატეგორიად დაყავით. მაგალითად, ძველი ეგვიპტის თემა შეიძლება ასე დავანაწილოთ: ძველი ეგვიპტელების საცხოვრებელი, ღმერთები და ქალღმერთები, საკვები და სასმელი, ფარაონები, პირამიდები და ა.შ. თითოეულ ჯგუფს საკვლევად რომელიმე ერთი კატეგორია დაავალეთ. საბოლოო პროდუქტი 5-წუთიან სატელევიზიო შოუ უნდა იყოს. რა ფორმით გააკეთებენ პრეზენტაციას, ამის არჩევანი თავად მოსწავლეებს მიანდეთ, თუმცა შეგიძლიათ იდეები თავადაც მიაწოდოთ, მაგალითად, გაბედულებმა მუმიფიკაციის ან იმქვეყნიურ სამყაროში მოგზაურობის თემაზე შოუ დადგან; სხვებმა რომელიმე ისტორიულ პერსონაჟთან, მაგ., ფარაონ ტუტანჰამონთან ინტერვიუ ჩაწერონ ან წარმოდგენა კულინარიასა და ხელოსნობას მიუძღვნან; ზოგმა შეიძლება სახლების ან პირამიდების მშენებლობა არჩიოს ან თემატური თოქ-შოუ გააკეთონ და ა.შ.

თითოეულმა ჯგუფმა ასევე უნდა წარმოადგინოს რომელიმე ერთი საგანი ან ობიექტი, რომელიც მათი თემის სიმბოლო იქნება, და მის შესახებ მოამზადონ სარეკლამო რგოლი ან სხვა სახის რეკლამა, რომელსაც შოუში აჩვენებენ. იმ ჯგუფებს, რომლებიც დავალებას სხვებზე ადრე გაართმევენ თავს, დამატებითი აქტივობების გაკეთება სთხოვეთ. მათ შეუძლიათ დაამზადონ სარეკლამო პლაკატი ან რაიმე სხვა სახის პროდუქტი, ან ინტერნეტის მეშვეობით ამ ობიექტზე კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია მოიძიონ, ანდა იპოვონ ონლაინმუზეუმები, სადაც მსგავსი საგნები ინახება.

ბანქოს თამაშის ეს ნაირსახეობა ბევრისთვის კარგად ნაცნობია. თავიდან შეგიძლიათ თავად შეადგინოთ კარტის თემატური დასტები, რომლებსაც მერე მოსწავლეები ამ სავარჯიშოში გამოიყენებენ. ეს აქტივობა მრავალი სახის ინტელექტუალური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. სემდეგ ბავშვები საკუთარ ბანქოს დასტებს თავად ამზადებენ და ამ პროცესში უამრავი არჩევანის გაკეთება უწევთ.

სულ ოცდაათამდე კარტი უნდა იყოს, გამომდინარე აქედან, თითოეულ მოწაფეს თითო კარტის დამზადება დაავალეთ. შეგიძლიათ ისინი დააწყვილოთ ან პატარ-პატარა ჯგუფებად დაყოთ, რათა იმსჯელონ ხოლმე, რომელი კარტი აირჩიონ. თითოეულ ჯგუფს A4-ის ფორმატში 4–6 კარტის გაკეთება დაავალეთ. A4-ის ფორმატი იმითაა კარგი, რომ მისგან ასლის გაკეთება იოლია, ისევე როგორც ამ ზომის ფურცლების ლამინირება.

ყოველი კარტი ამჟამინდელი სასწავლო თემის რომელიმე კომპონენტს უნდა გამოსახავდეს და შესაბამისი ციფრი ჰქონდეს. მაგალითად, აკეთებთ დასტას, რომელიც ვიქტორიანული ეპოქის დროინდელ გამოგონებებს ეძღვნება. თითოეულ გამოგონებას 10 ან 100-ქულიან სკალაზე შესაბამისი რიცხვი მიანიჭეთ. შესაფასებელ კრიტერიუმებად აიღეთ იმ დროისთვის ამა თუ იმ გამოგონების ფულადი ღირებულება, მისი პოპულარობა, სარგებლიანობა, ზეგავლენა იმდროინდელ სამყაროზე და ა.შ. შემდეგ მოსწავლეებს კატეგორიების მოფიქრება სთხოვეთ და მათგან ოთხი ან ხუთი აირჩიეთ, რომლებსაც მთელი კლასი გამოიყენებს. გამოგონებების ამგვარად შეფასება, რა თქმა უნდა, პირობითია, თუმცა ეს პროცესი, ჩვეულებრივ, ჯგუფებს შორის გაცხარებულ კამათს იწვევს ხოლმე!

როგორც კი კარტის დასტები მზადაა და დარიგებული, შეგიძლიათ „ბანქოს“ თამაში დაიწყოთ. თითოეული ჯგუფი კარტებს ერთმანეთში ინაწილებს. პირველი მოთამაშე იმ კატეგორიას ირჩევს, რომლის შესაბამისი უმაღლესი კარტის აქვს ჯგუფს და ხმამაღლა კითხულობს, ანუ „ჩამოდის“. ამის შემდეგ ყველა მოთამაშე თავის კარტებში იმავე კატეგორიის ყველაზე მაღალქულიან ბანქოს ირჩევს და ოპონენტის კარტის „გაჭრას“ ცდილობს. იგებს ის მოთამაშე, რომლის კარტიც ყველაზე „მაღალია“. ის მოგებულ კარტებს აგროვებს და ცალკე აწყობს. მოგებული შემდეგ კატეგორიასაც ირჩევს. თუ სხვადასხვა დარიგებისას ფრე დაფიქსირდა, ყველა კარტს ცალკე დასტად ალაგებენ და ის მომდევნო დარიგების გამარჯვებულს მიაქვს. ამის შემდეგ პროცესი ხელახლა იწყება.

როგორც კი კლასი კარტის თამაშს დაასრულებს, მოწაფეებს შეუძლიათ თანაკლასელების მიერ მათი კარტებისთვის მინიჭებული ქულების სისწორეზე

იმსჯელონ. ერთი კატეგორიის კარტებს რიგში ზრდის მიხედვით აწყობენ და მსჯელობენ იმაზე, რომ მათ ადგილები შეუცვალონ – ზოგს ქულები მოუმატონ, ზოგს კი დააკლონ. ცხადია, საქმეში ყველამ თავისი არგუმენტეცია უნდა ჩართოს. ამით მოსწავლეები კამათისა და არგუმენტრების უნარებს სწავლობენ. თუ რომელიმე საკითხზე ვერ თანხმდებიან, კამათს მთელ კლასში ჩატარებული კენჭისყრა წყვეტს, რომელმაც უნდა განსაზღვროს, რომელ მხარეს მოჰყავდა მეტი არგუმენტი და ვინ უფრო ზუსტად იხსენებდა ისტორიულ ფაქტებს.

რად შეიძლება გადავაქციოთ ოთახი? მაგალითად, რუკად, ეს ხომ ნათელია! ხშირად მუშაობის პროცესში ვსწავლობთ და ჩვენივე მოძრაობებს ძალიან კარგად ვიმახსოვრებთ. ამიტომ კარგი იქნება, თუ საკლასო ოთახის იატაკს ჰასტინგსის ბრძოლის ველად ან დასავლეთის ფრონტის ხაზად გადავაქცევთ, ან თუნდაც შუა საუკუნეების ერთ ჩვეულებრივ სოფლად.

მერხები კედლებს მიადგით ან უკეთესია, თუ დერეფანში ან სხვა სათავსოში გადაიტანთ. გეოგრაფიული ობიექტებისა თუ პოლიტიკური წარმონაქმნების სამანები, მაგალითად, მდინარეები ან ქვეყნებს შორის საზღვრები, ძაფით ან ფერადი ლენტებით მონიშნეთ. სამუშაობი მოსწავლეებს შორის გადაანაწილეთ, ზოგიერთები რეჟისორებად დანიშნეთ, სხვები – შემსრულებლებად. რეჟისორებმა შემსრულებლებს რუკაზე პოზიციები უნდა მიუჩინონ, ასევე მათი გადაადგილება და ქმედებები გააკონტროლონ. რეჟისორებმა ყველაფერი, რასაც გააკეთებენ, ლოგიკურად უნდა ახსნან, შემსრულებლებს კი შეუძლიათ ამ დირექტივების კომენტირება: ეთანხმებიან თუ არა გადაწყვეტილებებს და თუ არა, რას გააკეთებდნენ სხვანაირად და რატომ.

აუცილებელი არ არის, შემსრულებლებმა მაინცდამაინც ადამიანები განასახიერონ; თუ, მაგალითად, შუა საუკუნეების სოფლის დაგეგმარებას გადიხართ, ისინი შეიძლება შენობებად გადაიქცნენ და, იმის საჩვენებლად, რას წარმოადგენენ, ხელში შესაბამისი ნაგებობების სურათები დაიკავონ.

ამ სავარჯოშოს კიდევ ერთ-ერთი ნაირსახეობა ასეთია: მასწავლებელი სახელმძღვანელოდან ტექსტს კითხულობს, ხოლო წინასწარ შერჩეული რამდენიმე მოსწავლე თავად წყვეტს, რა მოძრაობები განახორციელოს და საით წავიდეს.

ყველა მასწავლებელი მუდმივად უნდა ამოწმებდეს ერთ რამეს: სვამს თუ არა სწორ კითხვებს? ბლუმის მეთოდიკა, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი სასწავლო პროცესის კატეგორიზაციაა, მოითხოვს, რომ ჩვენ მიერ დასმული კითხვები მოსწავლეების აზროვნებას მაქსიმალურად ახალისებდეს. კითხვების უმრავლესობა, რომლებსაც გაკვეთილებზე ვსვამთ, პირველი კატეგორიიდანაა, თუმცა პრაქტიკაში სხვა კატეგორიების კითხვებსაც ვიყენებთ ხოლმე და ისინიც ფრიად მნიშვნელოვანია.

კითხვების კატეგორიები

ცოდნა: კონკრეტული ინფორმაციის გახსენება.

სასარგებლო ზმნები: მოგვიყევი, ჩამოთვალე, აღწერე, შეადარე, დააკონკრეტე, დაწერე, იპოვე, განაცხადე, დაასახელე.

მაგალითი: ვინ ეომებოდა ერთმანეთს ჰასტინგსის ბრძოლაში? სად ჩატარდა ბრძოლა? რა იარაღი ჰქონდათ მოწინააღმდეგეებს?

გაცნობიერება: წაკითხულის შინაარსის გაგება.

სასარგებლო ზმნები: განმარტე, ახსენი, გაარჩიე, განაზოგადე, გამოარჩიე, იწინასწარმეტყველე, გაიმეორე, გადმოთარგმნე, შეადარე, აღწერე.
მაგალითი: რატომ აცხადებდა ნორმანდიის ჰერცოგი უილიამი ინგლისის ტახტზე პრეტენზიას? რატომ იყვნენ მეფე ჰაროლდის მეომრები გადაღლილები? რომელ ჯარს ჰქონდა უპირატესობა?

აპლიკაცია: აბსტრაქტული შინაარსის განვრცობა კონკრეტულ სიტუაციაზე.
სასარგებლო ზმნები: ამოხსენი, გვიჩვენე, გამოიყენე, შეავსე, შეადგინე, დაასრულე, გამოსცადე, დაახარისხე.

მაგალითი: შეადგინეთ ჯარების განლაგების რუკა. დახატეთ სრულად აღჭურვილი ნორმანდიელი ჯარისკაცი. რომელ კითხვებს დაუსვამდით მეფე ჰაროლდს?

ანალიზი: ტექსტის შინაარსის პიროვნულ გამოცდილებასთან შეჯერება.
სასარგებლო ზმნები: გააანალიზე, გამოარჩიე, გამოყავი, შეამოწმე, შეადარე, დააპირისპირე, გამოიძიე, დაახარისხე, განსაზღვრე, ახსენი, დააცალკევე, რეკლამირება.

მაგალითი: ჰაროლდის ჯარი ბორცვის მწვერვალზე რომ მდგარიყო, როგორ დასრულდებოდა ბრძოლა? წარმოიდგინეთ, რომ ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე

ხართ და აპირებთ, თქვენს ოჯახს მის შესახებ მოუთხროთ.

სინთეზი: ტექსტის შინაარსზე დაყრდნობით აზრების, იდეებისა და ინფორმაციის ჩამოყალიბება.

სასარგებლო ზმნები: შექმენი, მოიფიქრე, შეადგინე, იწინასწარმეტყველე, დაგეგმე, ააგე, წარმოიდგინე, წამოსწიე, შეადგინე, ჩამოაყალიბე.
მაგალითი: ქრონოლოგიურად ააგეთ მოვლენათა თანმიმდევრობა. ბრძოლის დაწყებამდე ორივე ჯარის სუსტი და ძლიერი მხარეების შედარებითი ცხრილი შეადგინეთ.

შეფასება: პიროვნებებზე, ქმედებებსა და შედეგებზე პიროვნული მსჯელობა და მათი სუბიექტური შეფასება.

სასარგებლო ზმნები: შეაფასე, შეარჩიე, ამოარჩიე, გადაწყვიტე, გაამართლე, ეკამათე, დაამტკიცე, ურჩიე, აწონ-დაწონე, შეადარე, განსაჯე.

მაგალითი: ორი ჯარის შედარებით ცხრილზე დაყრდნობით გადაწყვიტეთ, რომელი უფრო ძლიერი იყო. რა რჩევას მისცემდით მეფე ჰაროლდს ბრძოლის დაწყებამდე? აირჩიეთ ერთი მხარე და ჰასტინგსის ბრძოლის ირგვლივ გამართულ დებატებში მისი პოზიციების სამართლიანობა დაიცავით.

30-მდე ბარათზე ჩამოწერეთ სასწავლო თემის შესაბამისი მოვლენები. შეგიძლიათ ამ ბარათების ტექსტების მოფიქრება თავად ბავშვებს დაავალოთ. თითოეულ მონაფეს ხუთი მოვლენის ჩამოწერა სთხოვეთ, ოღონდ ბავშვებს სხვადასხვა მოვლენა უნდა ჰქონდეთ, რათა ყველამ ერთსა და იმავე ამბებზე არ შეაჩეროს არჩევანი. იდეები საკლასო ოთახის კედლებზე გააკარით ან ბავშვები ჯგუფებად დაყავით, რათა თითოეულმა ჯგუფმა 15-დან 30-მდე მოვლენა ჩამოწეროს. მზად უნდა იყვნენ საკუთარი არჩევანის დასაცავად, თუ რატომ აირჩიეს ესა თუ ის მოვლენები და სხვები კი უგულებელყვეს. შეგიძლიათ „სავაჭროდ“ სხვა მოვლენა შესთავაზოთ, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაუცვალოთ, თუ მისი საჭიროების დასაბუთებას შეძლებენ.

ნაწილი

10

ისტორიული თამაშები

პოპულარული სატელევიზიო პროგრამების, კინოფილმებისა და კომპიუტერული თამაშების წყალობით არქეოლოგია ბევრ ბავშვში დიდ ინტერესს იწვევს. თუმცა აქცენტი უფრო ხშირად მხოლოდ არტეფაქტების პოვნასა და აკლდამების „დაწიოკებაზე“ კეთდება, ამ დროს კი ამ საქმიანობის ფრიად მნიშვნელოვანი კონტექსტი იკარგება ხოლმე. რა თქმა უნდა, თავად აღმოჩენილი საგნები ძალიან მნიშვნელოვანია და დიდ ინფორმაციას გვაძლევს, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ადგილიც, სადაც არტეფაქტებს ვპოულობთ. თუ გსურთ, რომ კლასს არქეოლოგიური გათხრების პერიპეტიები გააცნოთ, ამისთვის ისეთი პოპულარული გასართობი გამოგადგებათ, როგორიცაა „სანაგვე ურნის თამაში“. ეს საკმაოდ სასარგებლოა იმის გასაგებად, როგორ იღებენ მეცნიერები ინფორმაციას წარსულის შესახებ მაშინ, როდესაც არავითარი წერილობითი წყაროები არ მოეპოვებათ.

ამ თამაშისთვის შეგიძლიათ ნამდვილი ურნაც გამოიყენოთ, თუმცა უფრო ხშირად სანაგვე ყუთის სქემატურ გამოსახულებას მიმართავენ ხოლმე. ურნა ნარჩენებით უნდა გაავსოთ, ხოლო თუ გამოსახულებას იყენებთ, ის დაფაზე მიამაგრეთ და სხვადასხვა ნარჩენის სურათი მიაკარით.

ამით ბავშვებს სტრატიგრაფიის პრინციპს გააცნობთ, ანუ, ჰორიზონტალურ ფენებს, რომლებიც ურნის ჭრილში ჩანს. მაგალითად, მოსწავლეებს ეკითხებით, რომელი საგანი უფრო ადრეა ჩაგდებული ურნაში და რომელი მის შემდეგ. უთხარით, რომ ურნა ბოლოს ორშაბათს დაიცალა და დაავალეთ, რომ, ამ ინფორმაციიდან გამომდინარე, ნარჩენების ყველაზე ქვედა ფენის ასაკი განსაზღვონ.

საერთოდ, ბავშვების ჩართვა სანაგვე ურნასთან მუშაობის პროცესში მარტივი საქმე არ არის. უთხარით, თითქოს ყუთის მეპატრონე ნარჩენების მეორად გამოყენებაზე სულაც არ ზრუნავდა და ყველაფერს ყრიდა, დაწყებული პლასტიკური პაკეტებითა და საკვების ნარჩენებით და ბოთლებით, ქილებითა და გაზეთებით დამთავრებული. მოსწავლეებმა იფიქრონ იმაზე, რა დახვდება არქეოლოგს, რომელიც ამ ურნას ერთი, ათი ან სულაც 100 წლის მერე იპოვის. ასეთი და მსგავსი კითხვები დაუსვით: კონსერვის ქილის ეტიკეტი რომ დაზიანდეს და დალპეს, როგორ გაიგებთ, რა იყო ამ ქილაში ოდესღაც? რაზე მეტყველებს, თუ ქილაში ჭიაყელების კვალს წააწყდებით?

ნაგვის ურნების გამოყენება ინტერპრეტაციის მიზნითაც შეიძლება. რას ვიგებთ მის მფლობელებზე ურნის შიგთავსზე დაყრდნობით? ვინ ცხოვრობს სახლში: მოზრდილები, მოზარდები, შინაური ცხოველები? რატომ იძლევა ხოლმე ნაგავი ზოგჯერ მცდარ ინფორმაციას მეპატრონის შესახებ? რა სახის საგნებს არ ყრიდნენ ოჯახის წევრები?

ეს აქტივობა შეგიძლიათ იმ ეპოქას დაუკავშიროთ, რომელსაც ამჟამად სასწავლო პროგრამით გადიხართ. წარსულში ადამიანებს შეიძლება სანაგვე ყუთები არ ჰქონოდათ, თუმცა აუცილებლად ექნებოდათ სანაგვე ორმოები ან ნაგვისთვის განკუთვნილი სპეციალური ადგილები. იმ ეპოქის სანაგვე ორმოს ან ყუთის სურათი მოამზადეთ, რომელსაც გადიხართ. თუ დროში გაწელილ ცვლილებებს ასწავლით, ფსკერზე შედარებით ადრეული პერიოდის საგნები მოათავსეთ, უფრო გვიანდელი კი ზემოთ დაალაგეთ. კლასს სურათების ანალიზი დაავალეთ, იმსჯელონ იმაზე, როგორი ხალხი ცხოვრობდა ამ ადგილას? რა სახის ნივთებს არ ყრიდა ხოლმე ეს ხალხი? სავარჯიშოს გასართულებლად შეგიძლიათ საგნების მაგივრად მათი ნაწილები მოათავსოთ, რათა ისე გამოჩნდეს, თითქოს ეს დამტვრეული ნივთებია. ბავშვებს შეუძლიათ ასეთი „ურნები“ თავადაც დაამზადონ, რათა ისტორიული ცვლილებები წარმოაჩინონ ან კონკრეტულ ადამიანზე, ან ადამიანთა ჯგუფებზე გააკეთონ აქცენტი.

სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს, ან მაშინ, როდესაც რომელიმე დიდი თემის სწავლებას ასრულებთ, კარგი იქნება, თუ ნასწავლის ბაზაზე ბავშვებს რაიმე სამაგიდო თამაშს გააკეთებინებთ. ეს კარგი საშუალებაა, რათა კლასის ცოდნა შეამოწმოთ და ისიც, ჯეროვნად აღიქვეს თუ არა ესა თუ ის ინფორმაცია. ამ თამაშისთვის თავიდან კითხვების სერიები მოამზადეთ და ბარათებზე ჩამოწერეთ. ასევე მოამზადეთ პასუხებიც, რომლებიც შეიძლება იმავე ბარათების მეორე მხარეს ჩამოწეროთ ან სულაც ცალკე ფურცელზე. თამაში შეიძლება ძალიან მარტივი იყოს: ბარათი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზებით უჯრედებად დაყავით, რომლებსაც მოსწავლეები თამაშის მსვლელობისას შეავსებენ, ან შეგიძლიათ მეტი კრეატიულობის საშუალება მისცეთ. მაგალითად, თუ ძველი ეგვიპტის ისტორიას გადიან, პირამიდების მოდელები ააგონ ან მდინარე ნილოსის სქემა შეადგინონ, სადაც ბარათებს ეგვიპტური ფელუკების ფორმას მისცემენ.

ეს სავარჯიშო ნებისმიერ ეპოქას მოერგება. მეტიც, შეიძლება რაიმე უფრო კონკრეტულ საკითხსაც დაუკავშიროთ. მაგალითად, შუა საუკუნეების სოფელს, სადაც მოთამაშეები გლეხების როლებს მოირგებენ და მათი სათამაშო არეალი ქაღალდის დიდ ფურცელზე გამოსახული სოფლის რუკა იქნება. აქვე შეუძლიათ ბამბისგან დამზადებული ცხვრები ჩასვან და სხვა მსგავსი გაფორმება მოიფიქრონ. მოთამაშეების მიზანი უნდა იყოს, ვთქვათ, ხორბლის რაც შეიძლება მეტი მოსავალი მოიყვანონ, რასაც კითხვებზე პასუხების სწორად გაცემით მოახერხებენ. თუ სამოქალაქო ომის თემის შესწავლა დაასრულეს, მაშინ კლასი ორ დაპირისპირებულ ჯგუფად დაყავით, რომლებიც რიგრიგობით პასუხობენ კითხვებს და თითოეული სწორი პასუხი კიდევ ერთ მოგებულ შეტაკებას ნიშნავს.

როგორც კი ბავშვები მათ მიერვე მოფიქრებულ თამაშს დაასრულებენ, თითოეულ ჯგუფს დაავალეთ, სხვა ჯგუფის თამაშით დაკავდეს. ამასთანავე, შეუძლიათ სხვა ჯგუფებს ქულები მიანიჭონ იმის გათვალისწინებით, რამდენად საინტერესო კითხვები იყო დასმული, სწორად იყო თუ არა წარმოჩენილი ისტორიული სინამდვილე, ადვილი სათამაშო იყო თუ ძნელი, რამდენად საინტერესო გამოვიდა და ა.შ. ბოლოს შეგიძლიათ ამ კონკურსის შედეგები შეაჯეროთ და გამარჯვებული გამოავლინოთ.

სიტყვა „გამოცანას“ მოსწავლეები, ჩვეულებრივ, ნაკლებად უფრთხიან ვიდრე „ტესტს“. გამომდინარე აქედან, თუ ბავშვების ცოდნის შემოწმება გსურთ, გამოცანები ამაში ძალიან კარგ სამსახურს გაგიწევთ. ეს უაღრესად ეფექტიანია, განსაკუთრებით გამოცდების წინ. შეგიძლიათ მეორე ნაწილში მოცემული სავარჯიშოების დიდი ნაწილი გამოცანებად აქციოთ, ასევე ბევრ სხვა პოპულარულ ფორმატში გადაიყვანოთ, მაგალითად, ისეთ სატელევიზიო შოუში, როგორიცაა „ვის უნდა მილიონერობა“.

კიდევ უკეთესია, თუ კლასი თქვენთვის დასასმელ კითხვებს მოამზადებს!

მას შემდეგ, რაც ამა თუ იმ ტექსტს გაეცნობიან, ბავშვებს სთხოვეთ, მასზე დაყრდნობით რამდენიმე თავსატეხი კითხვა მოამზადონ. ეს კითხვები ფურცლებზე უნდა ჩამოწერონ, ისინი შეაგროვეთ და მთელ კლასს ან კონკრეტულ მოწაფეებს კითხვები დაუსვით. გამარჯვებული ან თითოეულ კითხვაზე პასუხის გამომცნობი დააჯილდოვეთ, ვთქვათ, მიეცით პრივილეგია, ზარის დარეკვის მერე საკლასო ოთახი პირველმა დატოვოს. ეს სავარჯიშო იმაში დაგარწმუნებთ, რომ მოსწავლეებმა მიღებული ინფორმაცია ჯეროვნად შეითვისეს და მისი გახსენება შეუძლიათ.

კარგი იქნება, თუ სავარჯიშოში გუნდური შეჯიბრების კომპონენტს ჩართავთ, რაც ბავშვებისთვის საუკეთესო სტიმულია. როცა ჯგუფები დიდია, ხშირად ხდება ხოლმე, რომ აქტივობაში რეალურად მხოლოდ ერთი ან ორი მოსწავლე მონაწილეობს. ამიტომ კარგია, თუ ისეთ სისტემას დანერგავთ, როცა ჯგუფის თითოეულ წევრს მორიგეობით მოუწევს ჩართვა და სადაც ყველას, გამონაკლისის გარეშე, კონკრეტული დავალება ექნება. მაგალითად, დაავალეთ, რომ ყველა მოწაფემ რაიმე გამოსახულება დახატოს. ეს შეიძლება იყოს ძველი მიწური გეგმა, სცენა ბაიოს გობელენიდან და სხვა. შემდეგ კი თითოეულმა გუნდმა თავისი საუკეთესო ნამუშევარი თქვენ წარმოგიდგინოთ.

ნაწილი

11

ექსკურსიები და ვიზიტორები

ზოგჯერ იმის შესაძლებლობა გეძლევათ, რომ კლასი არქეოლოგიური გათხრების ადგილებზე გაიყვანოთ. ისტორიის ადგილობრივი საზოგადოება, არქეოლოგიის დეპარტამენტი ან უნივერსიტეტის არქეოლოგიური განყოფილება ხშირად გათხრების ადგილზე ვიზიტორებს თავისუფლად უშვებენ და ამას წაახალისებენ კიდეც. ამას გარდა, გამორიცხული არ არის, გათხრის ადგილზე მისულებს სამუშაოებში მონაწილეობის უფლებაც დაგრთონ. არქეოლოგიის ეროვნული დღესასწაული, რომელსაც ივლისში აღნიშნავენ, ასევე კარგ შესაძლებლობას იძლევა, ისეთ პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაერთოთ, როგორიცაა მცირე მასშტაბის გათხრები და სხვადასხვა ისტორიული თამაში.

იმის იმედი არ გქონდეთ, რომ მოსწავლეები საათობით იმუშავებენ ნიჩბებითა და ურიკით მიწის გადაზიდვისას ათეულობით წრეს გააკეთებენ. უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ მხოლოდ ყურებით შემოიფარგლონ, როგორ რეცხავენ მეცნიერები ნაპოვნ ნივთებს, შემდეგ კი მათ ახარისხებენ და ეტიკეტებს აკრავენ. ისე, შეიძლება ერთი-ორჯერ გადაყრილი მიწის გროვისკენ წავიდნენ და საცერში ცოტა მიწა გაატარონ, რათა დარწმუნდნენ, რომ არქეოლოგებს თვალთახედვიდან არაფერი გამორჩენიათ.

ამას გარდა, შეიძლება ნახევარი საათით საკლასო ოთახი დატოვოთ, რათა მოსწავლეებთან ერთად რომელიმე ადგილობრივი ღირშესანიშნაობა დაათვალიეროთ. ამ დროს რისკების შეფასების წესი არ უნდა დაივიწყოთ და, სანამ ბავშვებს სკოლიდან გაიყვანდეთ, მათი მშობლებისგან აუცილებლად აიღეთ ნებართვა. თუმცა ახლომდებარე არქიტექტურული ძეგლების დათვალიერება სრულიად უფასოა ხოლმე და თანაც ასეთი მინი-ექსკურსია მომზადებისთვის დიდ დროს არ მოითხოვს. ზოგიერთ მათგანს ამა თუ იმ ძეგლთან გავლა ყოველდღე უწევს, ამიტომ საჭიროა, მისი ისტორიის შესახებ მაქსიმალურად აუხილოთ თვალები. უთხარით, რაიმე არქიტექტურული დეტალი დახატონ, მაგალითად, ფანჯარა ან სკულპტურა, ან დაურიგეთ კითხვარი, სადაც სწორ პასუხებს უბრალოდ კალმით მონიშნავენ.

თუ ახლომახლო ისტორიული ღირშესანიშნაობების დათვალიერების საშუალება არ არსებობს და ბავშვების ექსკურსიაზე გაყვანა არ ხერხდება, ისე გააკეთეთ, რომ ისტორია თავად მოიყვანოთ კლასში. ამისთვის საჭიროა ადგილობრივი ისტორიული მონუმენტების ან არქიტექტურული ძეგლების დეტალების ფოტოები მოიმარაგოთ. ჩინებულია, თუ დიდი ზომის ასლების დამზადებას შეძლებთ, ბავშვებმა კარგად რომ დაინახონ. კლასს ეს ფოტოები ანახეთ და სთხოვეთ, ქრონოლოგიურად დაალაგონ ან, თუ დეტალებზეა ლაპარაკი, მაგ., სარკმელზე, ისინი ამა თუ იმ შენობას მოარგონ. თუ ციფრულ ფოტოაპარატზე მიგიწვდებათ ხელი, შეძლებთ ფოტოები პროექტორით დაფაზე გამოსახოთ და დეტალები კომპიუტერის საშუალებით გაადიდოთ.

თუ სკოლის ახლოს არის სხვადსხვა ძეგლი და ბავშვებს მათ მონახულება იოლად შეუძლიათ, ეს საშინაო დავალებად დაუსახეთ. მაგალითად, შესაძლოა ეს იყოს ომში დაღუპულთა მემორიალი. მოამზადეთ კითხვარი და გაკვეთილის შემდეგ ყველა მოსწავლეს დაურიგეთ, რათა სახლებში შეავსონ. ცხადია, არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ მიზეზით რომელიმე მოსწავლისთვის მემორიალის მონახულება შეუძლებელია ამოცანაა. მათთვის წინასწარ მოიმარჯვეთ სხვა დავალება, რომელიც ძირითადი დავალების მსგავსი იქნება. მაგალითად, თუ ბავშვებმა ომის მემორიალზე ამოტვიფრული სახელების რაოდენობა უნდა განსაზღვრონ, მათ, ვინც ადგილზე ვერ გადის, სია სახლში გაატანეთ, სადაც დავალების შესრულებას სხვების მსგავსად შეძლებს.

ხშირად, თავად სკოლა არის ხოლმე ისტორიულ ნაგებობაში განთავსებული. ამიტომ სკოლის შენობის ისტორიის შესწავლა, დროთა განმავლობაში მასში მომხდარი ცვლილებების დაფიქსირება, ვთქვათ, როგორიცაა გაუქმებული კარი ან ახალი მიმდებარე ნაგებობები, ბავშვებს ძალიან წაადგებათ. ეს მათ ირგვლივ არსებული გარემოს გათავისებაში ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს. ინტერნეტში თქვენი დასახლებული პუნქტის უამრავი აეროფოტოსურათი შეგიძლიათ ნახოთ, ისევე როგორც ადგილის ისტორიული რუკები. ეს რესურსები ბავშვებს ისტორიული ნარკვევების წერაშიც ძალიან დაეხმარება. დაბოლოს, აუცილებლად დაუკავშირდით სამოქალაქო რეესტრის ადგილობრივ განყოფილებას, ხშირად მათ სკოლებისთვის ფრიად საყურადღებო რესურსები აქვთ ხოლმე.

ვიზიტორების ცენტრები, მუზეუმები, გამოფენები, ეროვნული მემკვიდრეობის პარკები — ყველა ეს დაწესებულება რაც შეიძლება მეტი სკოლის მოსწავლის მიზიდვას ცდილობს. ამიტომ მათ სარეკლამო ბუკლეტებსა და ბროშურებს მრავლად იპოვით ისტორიის კაბინეტსა თუ ბიბლიოთეკაში. ბევრი ასეთი ბროშურა სადმე ბნელ კუთხეშია დახვავებული და ხშირად მივიწყებულიც. მათ უმრავლესობას, თუ ყველას არა, სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის სპეციალური პროგრამები აქვს. გამომდინარე აქედან, არაფერი გიშლით ხელს, რათა ამ ადგილებში ექსკურსიები მოაწყოთ. ზოგან ბავშვებს, დათვალიერების გარდა, ისტორიული ტანსაცმლის ან აღჭურვილობის მორგებაც შეეძლებათ.

როდესაც კლასი სადმე მიგყავთ, შეეცადეთ, ეს ადგილი პირველად თავად მოინახულოთ. შეამოწმეთ, შეესაბამება თუ არა ადგილი თქვენს სურვილებსა და მოლოდინებს. ამით ისეთ პრაქტიკულ საკითხებსაც წინასწარ გაარკვევთ, თუ სად უნდა მიირთვან ბავშვებმა ლანჩი, სად არის განლაგებული ტუალეტები, სად არის შეხვედრის ადგილები და ა.შ. ზოგჯერ კლასში ისეთი ბავშვები არიან, რომელთაც სპეციალური მოთხოვნები ან შეზღუდვები აქვთ. წინასწარი ვიზიტი ამგვარი პრობლემების მოგვარებაშიც დაგეხმარებათ. ბევრი ასეთი დაწესებულება პედაგოგებისთვის, რომლებიც წინასწარ ამოწმებენ ადგილს, სრულიად უფასოა. ამის შესახებ ცნობები შეგიძლიათ ტელეფონით მოიძიოთ.

ბევრგან, განსაკუთრებით მუზეუმებში, მასწავლებლებისთვის ისეთი ტრენინგები ტარდება ხოლმე, სადაც გაიგებთ, რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს კლასს მისმა დათვალიერებამ. ეს ტრენინგები ნანახის სასწავლო თემასთან გაკავშირებაშიც დაგეხმარებათ. ზოგიერთი დაწესებულება ექსკურსიასთან დაკავშირებული რისკების შეფასების მზამზარეულ დოკუმენტსაც მოგაწვდით. ინგლისის კულტურული მემკიდრეობის ფონდი თემატურ კროს-კურიკულურ ექსკურსიებს გთავაზობთ ისეთ საგანთან ერთად, როგორიცაა სამოქალაქო განათლება. გარდა ამისა, მოგაწვდით სპეციალურ ცნობარსაც, რომელიც პედაგოგებისთვის არის განკუთვნილი და ექსკურსიის დაგეგმვაში დაგეხმარებათ.

თუ XX საუკუნის ისტორიას გადიხართ, შეიძლება ისეთი ენთუზიასტი ბაბუის ან ბებიის პოვნა, რომელიც სკოლაში მოსვლასა და ბავშვებისთვის თავის გამოცდილებისა თუ მოგონებების გაზიარებას დათანხმდება. ამასთანავე, ზოგიერთი მუზეუმი გთავაზობთ ასეთ სერვისს: მათი წარმომადგენელი სკოლაში მოდის, ამა თუ იმ საკითხზე ლექციას ატარებს და შეიძლება თან რაიმე საინტერესო ისტორიული საგნებიც წამოიღოს, მეტიც, ეს საგნები მოსწავლეებს დასათვალიერებლად დაურიგოს. ჩვეულებრივ, ამ სერვისში დაწესებულება თითოეულ დამსწრე ბავშვზე მცირეოდენ საფასურს აწესებს. მიუხედავად ამისა, ხშირად ექსკურსიის დაგეგმვის პერიპეტიებს ასეთი ლექციის ჩატარებას არჩევთ ხოლმე. განსაკუთრებით მაშინ, როცა მუზეუმში რაიმე კონკრეტული ექსპონატი გაინტერესებთ. ზოგჯერ შეიძლება ისეთი სპეციფიკური საქმის პროფესიონალები დაგჭირდეთ, როგორიცაა, ვთქვათ, ქსოვის ან კაჟის დამუშავების მცოდნე. კარგი იქნება, თუ ამ ხალხის საკონტაქტო დეტალების გასაგებად ადგილობრივ მუზეუმს დაუკავშირდებით.

არტეფაქტებისა და ძველი კოსტიუმების მოტანასთან ერთად, სკოლაში ისტორიული წარმოდგენების მოყვარული მონაწილეებიც შეგიძლიათ მოიწვიოთ. მათ მოსაძებნად პირადი კონტაქტები ჩართეთ ან საგანმანათლებლო პრესაში განცხდებების განყოფილებას გადახედეთ. გაითვალისწინეთ, ბევრი ასეთი სტუმარი, გარდა ერთჯერადი ან თითოეულ ბავშვზე დაწესებული გადასახადისა, მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებასაც ითხოვს ხოლმე. ჩვეულებრივ, ეს მოყვარულები თავიანთი საქმის კარგი მცოდნენი არიან და ხშირად შესაბამისი კოსტიუმებისა და ისტორიული საგნების საკმაოდ დიდ კოლექციასაც ფლობენ. ბევრ მათგანს მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება აქვს, ეროვნულ სასწავლო პროგრამასაც ჩინებულად იცნობს და ბრწყინვალედ შეუძლია თავისი ვიზიტი თქვენს სპეციფიკურ მოთხოვნებს შეუხამოს. დაბოლოს, ერთი რჩევა ჩემი პირადი გამოცდილებიდან: ყოველთვის გააფრთხილთ მთელი სკოლა, როცა ასეთი ვიზიტისას დენთის გამოყენებას აპირებთ!

ნ ა წ ი ლ ი

12

არქეოლოგია

არქეოლოგია წარსულს მატერიალური კულტურის, და არა ტექსტების, საშუალებით იკვლევს. სხვათა შორის ამ ელემენტს სკოლაში ისტორიის სწავლების პროცესიც შეიცავს, როცა ბავშვებს ამა თუ იმ პერიოდს საგნების ან არქიტექტურული ძეგლების საშუალებით უხსნიან ან როცა ლაპარაკია ძალიან ძველ, პრეისტორიულ ეპოქებზე. ზოგადად, არქეოლოგიას დამოუკიდებელ დისციპლინად განიხილავენ, თუმცა სკოლის რეალობაში ის ისტორიის საგნის თვალსაწიერს მნიშვნელოვნად აფართოებს. ბევრ ბავშვს განძეულის ძებნის იდეა ძალიან იზიდავს. ისტორიის მასწავლებლებს ამ გარემოების საკმაოდ ნაყოფიერად გამოყენება შეუძლიათ.

ამას გარდა, არქეოლოგია პოპულარულ კულტურაშიც ძალიან ფართოდაა გავრცელებული (უფრო ხშირად, მცდარად გადმოცემული!). მაგალითად *ჰოლივუდის* ისეთ ბლოკბასტერებში, როგორიცაა კინოეპოპეა ინდიანა ჯონსზე ან „განძთა მაძიებლები“, ან მეოთხე არხის სატელევიზიო სერიალში „აკლდამების რეიდერები“. მიწაში საუკუნეების წინ ჩამარხული საგნის ნახვამ რომელიმე უმცროსკლასელს შეიძლება ისტორიისადმი ისეთი ინტერესი გაუღვივოს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება, უფროსკლასელები კი დაინტერესედებიან ისეთი საკითხების განხილვით, როგორიცაა, ვთქვათ, აკლდამების გათხრის ეთიკურობა. ამ საკითხის პრობლემატურობას საშუალო ასაკის მოწაფეებიც კი მიხვდებიან, თუნდაც ძველი ეგვიპტის ისტორიის მაგალითზე, კერძოდ იმის გათვალისწინებით, რა კოლოსალური შრომა დაიხარჯა მხოლოდ იმ მიზნით, რომ ფარაონის აკლდამა მძარცველებისგან დაეცვათ.

რა თქმა უნდა, ყველა მასწავლებელს არა აქვს იმის ფუფუნება, კლასი არქეოლოგიური გათხრების ადგილზე წაიყვანოს ან სკოლის ეზოში იმიტირებული გათხრები ჩაატაროს. მიუხედავად ამისა, ეს ნაწილი მოგაწვდით რამდენიმე საბაზისო იდეას, რომლებიც ისტორიის გაკვეთილებზე არქეოლოგიის დისციპლინის შემოტანაში დაგეხმარებათ.

ეს კლუბი მთელ გაერთიანებულ სამეფოს მოიცავს და მასში 8-16 წლის ასაკის მოზარდები არიან გაწევრიანებულნი. ის არქეოლოგიის ბრიტანული საბჭოს პატრონაჟით სარგებლობს და ფილიალები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აქვს. კლუბის ვებ-საიტი www.britarch.ac.uk/yac/index.html მასწავლებლებისთვის ძალიან სასარგებლო რესურსია. ამ ორგანიზაციაში საქმიანობა მისი წევრებისთვის კლასგარეშე აქტივობაა, თუმცა ურიგო არ იქნება, თუ მათ იდეებზე დაყრდნობით არქეოლოგიის კლუბს თქვენს სკოლაშიც დააფუძნებთ.

ააკ-ი საუკეთესო ახალგაზრდა არქეოლოგის წოდებაზე ყოველწლიურ კონკურსს მართავს, სადაც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ინდივიდებს, ასევე სასკოლო ჯგუფებსაც. ამ კონკურსში მეტწილად ადგილობრივ ისტორიასთან დაკავშირებული ახალგაზრდული პროექტებია წახალისებული. უმცროს და უფროსკლასელთათვის ნომინაციები დაყოფილია. ასოციაციის ვებ-საიტზე შეგიძლიათ წინა წლების გამარჯვებულების შესახებ ინფორმაციის მოძიება.

ამავე საიტზე ნახავთ ინფორმაციას არქეოლოგიის ეროვნული დღესასწაულის (რომელიც ივლისში ტარდება) და „შოტლანდიის არქეოლოგიური თვის“ შესახებ. გამორიცხული არ არის, ამ დროს ადგილობრივ მუზეუმში ან სხვა ისტორიულ დაწესებულებაში რაიმე სადღესასწაულო ღონისძიება იყოს დაგეგმილი. მაგალითად, საჯარო გათხრები, სადაც ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება, გადაღება ან ნაპოვნი ნივთების ხელში დაჭერა.

ამავე საიტზე ისტორიული ნაგებობების ცნობარსაც იპოვით, რომელიც შეიძლება ისტორიის გაკვეთილებზე გამოგადგეთ, როგორც ეს აღწერილია 97-ე იდეაში.

ინტერნეტის წყალობით ფაქტობრივად უსაზღვრო ინფორმაციაზე მიგიწვდებათ ხელი, თუმცა ხშირად ძებნის დაწყება ჭირს ხოლმე. თუ ისტორიის გაკვეთილებზე არქეოლოგიის შემოტანა გსურთ ან სკოლაში არქეოლოგიური კლუბის გახსნას გეგმავთ, ეს ვებ-საიტები ამაში ფასდაუდებელ სამსახურს გაგიწევთ.

არქეოლოგიის მონაცემთა სამსახური (Archaeology Data Service - ADS)

ads.ahds.ac.uk

ADS, რომელიც იორკის უნივერსიტეტის პროექტია, მაღალხარისხიანი და სანდო ციფრული რესურსებით კვლევას, სწავლასა და სწავლებას უწყობს ხელს. მოიძიეთ რუკები, სადაც ამა თუ იმ ადგილზე დაწკაპუნებით შესაბამის არქეოლოგიურ ინფორმაციას იპოვით. აქვე თემატური და კარგად ილუსტრირებული ტექსტების ნახვაც შეგიძლიათ. „სწავლებისა და სწავლის“ სექცია ისეთ რესურსებს გთავაზობთ, როგორიცაა „ვირტუალური გასეირნება“, რომელიც საველე სამუშაოების არსის გაგებაში გაგიწევთ დახმარებას.

არქეოლოგიის ბრიტანული საბჭო (The Council for British Archaeology – CBA)

www.britarch.ac.uk

ეს საბჭოც იორკშია დაფუძნებული. ამ რესურსს უაღრესად მრავლისმომცველი ვებ-საიტი აქვს და ჰყავს თანამშრომელი, რომელიც ექსკლუზიურად განათლების საკითხებზე მუშაობს. არქეოლოგიური ახალი ამბების სექციაში ბრიტანეთსა და ირლანდიაში მიმდინარე გათხრებზე წუთობრივ ინფორმაციას იპოვით. უფროსკლასელებს საველე სამუშაოებზე ვაკანსიების მოძიებაც შეუძლიათ. აქვეა ონლაინბმულები არქეოლოგიური პუბლიკაციებისა და მომსახურების შესახებ, ასევე ცნობები მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. აქვე იპოვით ბმულებს, რომელთა საშუალებითაც CBA-s უელსის ვებ-გვერდზე და არქეოლოგიის შოტლანდიური საბჭოს სიატზე (www.scottisharchaeology.org.uk) გადახვალთ.

„შესავალი არქეოლოგიაში“

www.staff.ncl.ac.uk/kevin.greene/wintro/index.html

ეს ამავე დასახელების წიგნის ონლაინვერსიაა. ის განკუთვნილია მოზრდილებისა და მასწავლებლებისთვის საკუთარი ცოდნის გასაუმჯობესებლად. ისინი უამრავ სასარგებლო ბმულს ნახავენ.

„ინგლისის გამოსახულებები“
www.imagesofengland.org.uk

ინტერნეტის ეს რესურსი ინგლისის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის ნაწილია

და მასში შემავალი შენობებისა და სხვა სახის კონსტრუქციების 300 ათასამდე ფოტოსურათსა და თანმდევ ტექსტს შეიცავს. მის სასწავლო სექციაში ეროვნულ სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ ფოტოალბომსაც იპოვით.

მსოფლიო მემკვიდრეობა განათლებისათვის

whc.unesco.org/education/sindex.htm

ეს ონლაინსწავლების რესურსია, სადაც სკოლის მასწავლებლები ზღვა საგანმანათლებლო ინფორმაციას ნახავენ, რომელსაც ისეთ საგნებთან აქვს კროს-კურიკულური კავშირები, როგორებიცაა გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება და ტურიზმი.

ბევრი ორგანიზაცია ვიდეომასალებს დროებით სარგებლობაში სრულიად უფასოდ იძლევა. ამას გარდა, ბრიტანეთის მუზეუმსა და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ ფონდში ასეთი მასალების ყიდვაც შეიძლება. აქ მიიღებთ სიდი-რომებსა და ონლაინრესურსებს მასწავლებლებისთვის, რომლებიც შესაბამისი დაწესებულებების საიტებიდან უნდა ჩამოტვირთოთ. უფრო სპეციფიკური მასალებისთვის შესაბამის თემატურ მუზეუმს მიმართეთ, მაგალითად, ზღვაოსნობის ეროვნულ მუზეუმს.

„24-საათიანი მუზეუმის“ ვებ-საიტზე (www.24hourmuseum.org.uk) ნახავთ ახალ ამბებს, ასევე ექსპონატებისა და რესურსების ჩამონათვალსა და მათ აღწერილობას გაერთიანებული სამეფოს 3 000 მუზეუმიდან, გალერეიდან და კულტურული მემკვიდერობის დამცველი სხვა დაწესებულებებიდან. აქვე იპოვით ვებ-გვერდებს ვალიურ ენაზე.

შეგიძლიათ ადგილობრივ არქეოლოგიურ დაწესებულებას დაუკავშირდეთ და მოსწავლეებთან სასაუბროდ პროფესიონალი მეცნიერი მოიწვიოთ — ეს მართლაცდა ცოცხალი რესურსი იქნება, რომელმაც, არ არის გამორიცხული, ბავშვებისთვის საჩვენებლად არტეფაქტები და სამუშაო იარაღებიც წამოიღოს! თუ სკოლა მუზეუმის შორიახლოს მდებარეობს, იქიდან რაიმე ექსპონატის თხოვებაც შეგიძლიათ. თუ სკოლასთან ახლოს რომელიმე უმაღლესი სასწავლებელია, მის ხელმძღვანელობას შეუთანხმდით, რათა ბავშვები წაიყვანოთ და უნივერსიტეტის ლაბორატორია და იქ დაცული ისტორიული ნივთები აჩვენოთ. ან რომელიმე მაღალკურსელი სტუდენტი მოიწვიეთ, რათა მოსწავლეებს ამა თუ იმ თემაზე გაესაუბროს და თან საინტერესო არტეფაქტები წამოიღოს. უნივერსიტეტებში ასეთი საგნები მრავლადაა ხოლმე, რომელთაც დაბალკურსელებისთვის იყენებენ, ასე რომ მათი სკოლის მოწაფეებისთვის ჩვენებაც შეიძლება.

არქეოლოგიის სწავლება მარტო გარდასულ დროთა ამბების მოყოლას არ გულისხმობს, არამედ იმასაც, როგორ, რანაირად ხდება ხოლმე არქეოლოგიური აღმოჩენები. გთავაზობთ რამდენიმე თემას, რომლებიც შეგიძლიათ გაკვეთილებზე გამოიყენოთ:

არქეოლოგიური ტექნიკები:

- გათხრები;
- საველე სამუშაოები და დაკვირვება;
- წყალქვეშა არქეოლოგია (ამის გასაცნობად საუკეთესო პერიოდი მაშინ არის, როცა ტიუდორების ეპოქას ასწავლით ან „მარი როუზის“ ისტორიას);
- სამეცნიერო ტექნიკები (აქ შესაძლებელია კროს-კურიკულური აქტივობის დაგეგმვა);
- ექსპერიმენტული არქეოლოგია (ამის გაკეთება სკოლაშიც შეგიძლიათ ან მის სიახლოვეს).

კონსერვაცია და გარემო:

- შენობების, მონუმენტებისა და გარემოს კონსერვაცია.

მეოთხე არხის „დროის მანქანა“ ერთ-ერთი გზაა, რომლითაც ბავშვებს არქეოლოგიურ ტექნიკებს გააცნობთ. ამ სატელევიზიო პროგრამის ვებ-საიტზე მრავალ საინტერესო ინფორმაციასა და კომპიუტერულ თამაშს იპოვით. მაგალითად, არქეოლოგიური გათხრების სიმულაციას, სადაც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ამა თუ იმ საიდუმლოებას უნდა ახადოთ ფარდა. ძალიან საინტერესო ვიდეოკლიპებსა და თავსატეხებს ნახავთ „დისქავერის“ ციფრულ ტელევიზიაში.

თუ არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობის სურვილი ისეთი ძლიერია, რომ ამ ცდუნების დაძლევა სულ უფრო რთული ხდება, შეგიძლიათ ამ პროცესის საკლასო ოთახში სიმულაცია. ამ პრობლემის ყველაზე მარტივი და, შეიძლება ითქვას, პრიმიტიული გადაწყვეტა იქნება, თუ იაფფასიან მაღაზიაში „სიურპრიზის“ საჩუქარს იყიდით, რომელშიც რა დევს, არ იცით — პლასტმასის მონეტები თუ „დინოზავრის“ ძვლები, და ამის გაგება მხოლოდ კოლოფის გატეხვის შემდეგ არის შესაძლებელი. მაგრამ უკეთესი იქნება, თუ მინი-გათხრების იმიტაციას მართლაც ჩაატარებთ. ამის მაგალითი შეიძლება იყოს 93-ე და 94-ე იდეებში გადმოცემული სანაგვე ურნის სავარჯიშო. ახლა კი ამგვარი აქტივობის კიდევ ერთ ნაირსახეობას შემოგთავაზებთ.

ამისთვის გამჭვირვალე პლასტმასის ყუთი ან უბრალო აკვარიუმი მოიმარაგეთ. განსხვავებული შრეების იმიტაციისთვის შეგიძლიათ კომპოსტი ან ფერადი ქვიშა გამოიყენოთ, რაც ყუთის გამჭვირვალე კედლებში კარგად უნდა გამოჩნდეს. იმ თემიდან გამომდინარე, რომელსაც კლასი ამჟამად გადის, თითოეულ შრეს დროის რომელიმე მონაკვეთი მიაკუთვნეთ. ყუთის კედლებზე, შრეებს შორის საზღვრის ადგილებში სტიკერები ან ეტიკეტები მიაკარით, რაც იმის აღმნიშვნელი იქნება, სად მთავრდება ერთი ეპოქა და იწყება მეორე. კლასს ჰკითხეთ, რომელი საგნები შემორჩებოდა იმ დროიდან ჩვენამდე და რომელი არა. ამის შემდეგ პლასტილინისგან არტეფაქტების მოდელების დამზადება შეუძლიათ, რასაც შესაბამის შრეებში ჩაფლავენ.

ჯგუფები თავიანთ დამზადებულ ყუთებს ერთმანეთს უცვლიან და არქეოლოგიურ „გათხრებს“ იწყებენ. ამავე დროს, ნიშნავენ იმ ადგილებს, სადაც არტეფაქტებს პოულობენ. ამ სავარჯიშოს არითმეტიკასთან კროს-კურიკულური კავშირები აქვს და, თუ ბავშვები ამ საქმიანობის პარალელურად შედეგებს კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაშიც აფიქსირებენ, ეს ICT ბმულების დემონსტრირების საშუალებასაც გაძლევთ.

თუ ამ საქმიანობაში ნამდვილი სტრატიგრაფიის ელემენტების შემოტანა გსურთ, მაშინ კლასს კენტერბერის არქეოლოგიური ასოციაციის ვებ-საიტი ანახეთ.www.canterburytrust.co.uk/schools/rubbish/rubbg02.html მოსწავლეების ნამუშევრების გამოყენება პატარა სტრატიგრაფიული გამოფენის შესაქმნელადაც შეგიძლიათ. ყოველი ახალი თემის გავლის შემდეგ ამ ექსპოზიციას ახალ-ახალ სურათებსა და ტერმინებს შეჰმატებთ ხოლმე.

ნაწილი

13

აქტივობები გაკვეთილის ბოლოს და საშინაო დავალება

გაკვეთილის დასაწყისისთვის განკუთვნილი ბევრი აქტივობის გამოყენება მის დასასრულსაც საკმაოდ ნაყოფიერად შეგიძლიათ. ოღონდ კარგი იქნება, თუ ამ დროს მას კონკურსის სახეს მისცემთ და გამარჯვებულ მოსწავლეს ან ჯგუფს დააჯილდოებთ, ვთქვათ იმით, რომ გაკვეთილიდან ყველაზე ადრე გაათავისუფლებთ (ეს განსაკუთრებით კარგად დიდი დასვენების წინ მოქმედებს ხოლმე).

თუ კლასისთვის საშინაო დავალების მიცემას აპირებთ, აუცილებელი არ არის, ეს მაიმცდამაინც მის დასასრულს გააკეთოთ. ზოგჯერ გაკვეთილის დიდი ნაწილი სწორედ საშინაო დავალებისთვის მოსწავლეების შემზადებას ეთმობა და ამ დროს კარგია, თუ მის არსს გაკვეთილის დასაწყისში ახსნით და ბავშვებს შიგადაშიგ შეახსენეთ ხოლმე. ეს იმითაა მოსახერხებელი, რომ გაკვეთილის მსვლელობისას მოწაფეები იმ იდეებსა და ინფორმაციაზე გამახვილებენ ყურადღებას, რომლებიც მათ შემდეგ საშინაო დავალების შესრულებისას გამოადგებათ.

როდესაც საშინაო დავალებას აძლევთ, დაფიქრდით, რატომ აკეთებთ ამას. ეს გაკვეთილზე გაგონილის უბრალო გადამუშავება არ უნდა ოყოს. საშინაო დავალება ხომ იმის დანახვის შანსს გაძლევთ, რისი გაკეთება და გაგება შეუძლიათ ბავშვებს მაშინ, როცა მასწავლებელი გვერდით არა ჰყავთ. ამასთანავე, ეს იმის გაგების შესაძლებლობაცაა, ყურადღებით გისმენდნენ გაკვეთილზე თუ არა. ამავე დროს, საშინაო დავალება მომავალი გაკვეთილისთვის შემზადების ხერხიცაა, რისთვისაც მოსახერხებელია პატარა კვლევის ან პროექტის ფორმატები.

მრავალი გზა არსებობს იმისთვის, რათა შევამოწმოთ მოსწავლეების ცოდნა, თუ როგორ გაიგეს გაკვეთილზე ახსნილი ინფორმაცია. მაგალითად, შეგიძლიათ უბრალოდ გამოკითხოთ ან დაავალოთ, გაგონილი წერილობითი ფორმით მოკლედ ჩამოაყალიბონ. ასეთი დავალებები მოსწავლეებს ინდივიდუალურად მიეცით ან დააწყვილეთ, ან შემთხვევითი წესით გამოიძახეთ და გამოკითხეთ. იმის საჩვენებლად, რომ გამოძახება სამართლიანად ხდება, სასწავლო წლის დასაწყისში თითოული ბავშვის სახელი და გვარი ცალკე ბარათზე ჩამოწერეთ. ყოველთვის, როცა ვინმეს შემთხვევითი წესით გამოძახებას აპირებთ, ამ ბარათების დასტა კარტის მსგავსად კარგად აურიეთ და რომელიმე ბავშვს ერთი ბარათი ამოაღებინეთ. როცა მოსწავლე გამოძახებულია, მისი ბარათი ცალკე გადადევით და მანამ არ გამოიყენოთ, სანამ ყველა მოსწავლე იმავე წესით არ იქნება გამოძახებული. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რათა კლასი არ მოდუნდეს.

კიდევ ერთი მეთოდია რომელიმე ბავშვის არჩევა, რომელიც გაკვეთილის ბოლო 5 წუთის მანძილზე მასწავლებლის როლს ითამაშებს და მისი მოვალეობა კლასისთვის გაკვეთილზე გაგონილის შეჯამება იქნება. ამ მოსწავლეს თქვენი სკამისა და ნივთების გამოყენების საშუალება მიეცით, რაც ხშირად მათთვის საკმარისი სტიმულია ხოლმე.

მეოთხე ნაწილში ნახსენები ბევრი სავარჯიშო საშინაო დავალებადაც სავსებით გამოდგება. ასეთ შემთხვევებში გაკვეთილი, ძირითადად, საშინაო დავლებისთვის ინფორმაციის შეგროვებასა და წყაროების ანალიზს უნდა დაუთმოთ. კლასს აჩვენეთ, წყაროებთან თავად როგორ მუშაობთ ხოლმე და აუხსენით, რატომ არის ეს აგრერიგად მნიშვნელოვანი მათი საშინაო დავალების ჯეროვნად შესასრულებლად. ამ გზით მათ დამოუკიდებლად აზროვნებასა და მუდმივად სასარგებლო ინფორმაციის ძიების წყურვილსაც მიაჩვევთ.

ზოგჯერ საშინაო დავალება ძალიან მარტივია და თქვენ მიერ დარიგებულ კითხვარში უბრალოდ სწორი პასუხების შემოხაზვას გულისხმობს. თუმცა ხშირად ხდება, რომ ამ დროს ნიჭიერი მოსწავლეები ასეთ დავალებას თვალის დახამხამებაში ართმევენ თავს და გამოდის, რომ მათ სხვებზე მნიშვნელოვნად ნაკლები სამუშაო ერგებათ. საჭიროა მათთვის დავალების გართულება.

ნუ მოელით, რომ სკოლის გარეთ ყველა მოსწავლეს კომპიუტერებზე ხელი თანაბრად მიუწვდება, ამიტომ მსურველებს საკმარისი დრო უნდა მისცეთ, რათა სკოლის ICT რესურსები გამოიყენონ. თუ საშინაო დავალებას წერით ფორმატში ითხოვთ, თქვენ გევალებათ, იზრუნოთ კომპიუტერის ხელმისაწვდომობაზე იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც ის სახლში არ აქვთ.

მოსწავლეებში დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი გააღვივეთ, რაშიც სკოლის ბიბლიოთეკა დაგეხმარებათ. კარგი იქნება, თუ საშინაო დავალებად რაიმე მოკვლევის დაწერას შეუდგებიან, რაშიც, მართალია, ნიშანს არ უწერთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც სავალდებულო სახე ექნება, ანუ ბავშვებმა შესრულებული სამუშაოს შედეგები უნდა გაჩვენონ. ამ დავალებას შეიძლება ზეპირი სახეც ჰქონდეს: როცა მოსწავლეები მოკვლევის შედეგებს გაცნობენ ვერბალურად ან წერილობით, ვალდებულნი არიან, წერილობითი ანგარიში წარმოგიდგინონ იმის შესახებ, თუ როგორ იკვლიეს საკითხი, რომელი მეთოდები გამოიყენეს და რამდენად წარმატებულად, შემდგომ რის გაკეთებას აპირებენ, მოკვლევის პროცესი უფრო შედეგიანი რომ გახადონ. ზოგჯერ ბავშვებს ჰგონიათ, რომ რაიმე საკითხის კვლევა ინტერნეტის საძიებო სისტემაში ამ სიტყვის შეყვანას, შემდეგ კი შედეგების ფურცლებზე ამობეჭდვას გულისხმობს და სხვას არაფერს. ამიტომ კარგი იქნება, თუ ასეთი შემთხვევების პრევენციას მოახდენთ. წინასწარვე გააგებინეთ, რომ ინტერნეტიდან განურჩევლად ამოღებული ინფორმაციის სანდოობა ფრიად საეჭვოა და რომ მათი ვალდებულებაა, ნაშრომში შეტანილი ინფორმაციის კარგად წაკითხვა და გაცნობიერება. ინტერნეტიდან ან წიგნებიდან პლაგიატის თავიდან ასაცილებლად კარგი იქნება, თუ სთხოვთ, ნაშრომები რაიმე განსხვავებულ ფორმატში შეასრულონ, მაგალითად, დიაგრამის ან სხვა სქემატური ფორმით.

კლასისთვის საშინაო დავალებად კვლევის მიცემა კითხვების ფორმითაც შეიძლება: დაურიგეთ კითხვების სია, რომლებზეც სწორი პასუხები უნდა გასცენ. ამასთანავე, შეგიძლიათ შესაბამისი წიგნის დასახელება ან ვებ-საიტის მისამართიც მიაწოდოთ. თუ გსურთ, რომ ბავშვები ბიბლიოთეკაში მუშაობას მიეჩვიონ, ისეთი წიგნი შეარჩიეთ, რომლის გატანაც არ შეიძლება და მსურველს მისი გაცნობა მხოლოდ ბიბლიოთეკის დარბაზში შეუძლია.

აქტივობები გაკვეთილის ბოლოს და საშინაო დავალება

კარგი სწავლა მარტო ცოდნის აკუმულირებას არ გულისხმობს, არამედ კროს-კურიკულური უნარების განვითარებასაც. გთავაზობთ რამდენიმე საკითხს, რომელთა გარკვევაც ისტორიის გაკვეთილის დაგეგმვაში დაგეხმარებათ.

რა იცით ამა თუ იმ მოსწავლის შესახებ? როგორი იყო მისი წინსვლა წინა წლების განმავლობაში? რა მიღწევები ჰქონდა? ისტორიის წინა მასწავლებელთან როგორ სწავლობდა?

თქვენს გაკვეთილებზე გახმიანებული იდეები და კონცეფციები რომელი სხვა იდეებისა და კონცეფციების ცოდნას მოითხოვს?

როგორი რიგითობით უნდა დალაგდეს თემები, რათა თითოეულმა მათგანმა მომდევნოს მყარი ნიადაგი მოუმზადოს? ეს მოვლენათა თანმიმდევრობისა და ზოგადი ქრონოლოგიის სწორად დაწყობას გულისხმობს და, ცხადია, შესაბამისი უნარების გათვალისწინებასაც.

როგორ აპირებთ ბავშვებში ყველაზე რთული საკითხების ცოდნის გამყარებას? როგორ დაგეგმავთ ამ მხრივ სავარჯიშოებს ისე, რომ სხვადასხვა მიდრეკილების მქონე მოსწავლეებმა ერთნაირად კარგად გაითავისონ, ანუ მათ, ვინც უფრო კარგად ვიზუალურ სტიმულაციაზე რეაგირებს, სმენითზე თუ ფიზიკურ შეხებაზე. როგორ დაგეგმავთ იმავე ატივობებს სულ სხვა თემებისთვის?

რას შესთავაზებთ ყველაზე დაჯილდოებულ მოსწავლეებს, ვინც ყველაფერს სწრაფად და სრულყოფილად ითვისებს და დავალებების გართულებას უფრო საჭიროებს, ვიდრე ნასწავლის რამდენჯერმე გამეორებას?

როგორ აპირებთ გაკვეთილებზე წერა-კითხვის, არითმეტიკული და ICT უნარების ჩართვასა და განვითარებას? გახსოვდეთ, რომ ICT-is ცოდნა, უბრალოდ, ეროვნული სასწავლო პროგრამის მოთხოვნა კი არ არის, არამედ ყველანაირი უნარისა და მიდრეკილების ბავშვების ჩართულობის საუკეთესო საშუალება. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა იმ მოწაფეებისთვის, რომლებსაც მათემატიკური მიდრეკილებები აქვთ, რადგან ზოგიერთი საგანი უფრო წერა-კითხვის უნარებზეა დაფუძნებული, ICT-s კი სწავლის პროცესში სწორედ გარკვეული მათემატიკური კომპონენტი შემოაქვს.

სთავაზობთ თუ არა საკმარისი გამოცდილებისა და სრულყოფილი ცოდნის მიღების შესაძლებლობას იმ მოსწავლეებს, რომლებიც ისტორიის სწავლას მომდევნო საფეხურზეც აპირებენ (ან არ აპირებენ)?

ჩვეულებრივ, მასწავლებლები სპეციალიზდებიან ან დაწყებით კლასებში სწავლებაზე, ან უფროს კლასებზე. ამიტომ ხშირად იმის ცოდნის შესაძლებლობა არ გააჩნიათ, თუ რას სწავლობენ უმცროს კლასებში ან პირიქით. აქ გთავაზობთ ორ იდეას, რომლებიც ორივე სასწავლო დონის შესახებ მოკლე ინფორმაციის მიღებაში დაგეხმარებათ და მისი გამოყენებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა გაგიადვილდებათ. განსაკუთრებით აქტუალური კი უმცროს და უფროს კლასებს შორის გარდამავალ პერიოდებშია.

უმცროსი კლასები (I –II კლასები)

ბავშვები უახლესი ისტორიიდან ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიებს სწავლობენ, ასევე ცნობილ ისტორიულ ფიგურებსა და მასშტაბურ მოვლენებს უფრო შორეული წარსულიდან, მათ შორის ბრიტანეთის ისტორიიდან. მათ მოეთხოვებათ:

- მსგავსებებისა და განსხვავებების შემჩნევა;
- ძირითადი ტერმინების გამოყენება, მათზე დისკუსიების გამართვა და წარსულის შესახებ ნააზრევის წერილობით გადმოცემა;
- იმის ცოდნა, რა მოხდა, და იმისაც — რატომ;
- ინფორმაციის განსხვავებული წყაროების გამოყენება.

უმცროსი კლასები (III –VI კლასები)

გამოცდილება უჩვენებს, რომ ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი პერიოდია, რათა მოსწავლეებში ისტორიის სიყვარული გაღვივდეს. ამ დროს საგნის შესახებ ზოგადი წარმოდგენები ყალიბდება და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გრძელდება. ამ წლებში მოსწავლეები ახალი და შორეული წარსულის ისტორიიდან ადამიანებსა და მნიშვნელოვან მოვლენებს სწავლობენ; ასევე, ცალკეული ქვეყნების განვითარების ისტორიას, მათ შორის ბრიტანეთისაც.

ამ სტადიაზე მოსწავლეები იწყებენ:

- სხვადასხვა ეპოქის ერთმანეთთან დაკავშირებას;
- კვლევების ჩატარებას ისტორიული ცვლილებების შესახებ, ამ ცვლილებების მიზეზების დადგენას;
- სხვადასხვა წყაროს გამოყენებას;
- ზეპირ დისკუსიებსა და წერილობით ნამუშევრებში ქრონოლოგიის გაგებისა და ისტორიული ტერმინების დემონსტრირებას;
- იმაზე ფიქრს, რატომ ხდება ხოლმე ისტორიის ინტერპრეტირება განსხვავებულად.

ისტორიას 14 წლამდე, ანუ IX კლასის დასრულებამდე ყველა სწავლობს. ამის შემდეგ მათ შეუძლიათ ეს საგანი კიდევ ორი წელი საკუთარი არჩევანით ისწავლონ, რაც საბოლოოდ სკოლის ატესტატის მიღებით მთავრდება.

უფროსი კლასები (VII–IX კლასები)

ამ დროს მოზარდები სწავლობენ ბრიტანელი მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურების ბიოგრაფიებს, დაწყებული შუა საუკუნეებიდან და XX საუკუნით დამთავრებული; ამას გარდა, ევროპისა და მსოფლიო ისტორიის ძირითად საკითხებსაც.

მათ მოეთხოვებათ:

- სხვადასხვა პერიოდსა და განსხვავებულ ასპექტში მომხდარ მოვლენებს შორის კავშირების გამოყოფა, ასევე, მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების ანალიზი;
- საზოგადოების სტრუქტურასა და ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა;
- ინფორმაციის წყაროების შეფასება და გამოყენება;
- წარსულის ანალიზი და მისი სხვადასხვანაირად ინტერპრეტირება.

უფროსი კლასები (X–XI კლასები)

ამ დროს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები განსხვავებულ თემატურ საკითხებს გადიან, რაც შესაბამისი სკოლის საგამოცდო კომიტეტებზეა დამოკიდებული. ეს შეიძლება იყოს: დანაშაული და სასჯელი, მედიცინის ისტორია, გერმანია 1918-1945 წლებში და სხვა. მიუხედავად იმისა, რომელ თემას სწავლობს მოზარდი, მას მოეთხოვება:

- ძირითადი ისტორიული საკითხების, მოვლენების, მიმდინარეობებისა და პერსონაჟების ცოდნა;
-
- თემატურ საკითხებში ღრმა გარკვევა;
- პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური, ტექნოლოგიური და რელიგიური საკითხების ცოდნა;
- კვლევითი უნარები, რომლებსაც მრავალი წყაროს კრიტიკული ანალიზით განივითარებს;

- ისტორიული მოვლენებისა და ფიგურების ინტერპრეტირება და რეპრეზენტაციის უნარი, მათ შორის რეინტერპრეტაცია და გადაფასება;
- სულ მცირე, ორი სხვადასხვა ისტორიული განზომილების ცოდნა, როგორებიცაა ლოკალური, ნაციონალური, ევროპული, საერთაშორისო და გლობალური.

უნდა აჩვენონ, რომ შეუძლიათ:

- აღწერის, ანალიზისა და ახსნის საშუალებით ინფორმაციის გახსენება, შერჩევა, ორგანიზება და წარმოდგენა;
- ისტორიული წყაროების კრიტიკული ანალიზი მათსავე კონტექსტში;
- განსხვავებული ინტერპრეტაციებისა და რეპრეზენტაციების გაგება, ანალიზი და შეფასება.

58-ე იდეაში ვამტკიცებდი, რომ ინტერნეტის განვითარების ტემპისა და ვირტუალურ სამყაროში სწრაფად მიმდინარე ცვლილებების გამო სასარგებლო ვებ-საიტების ჩამონათვალის გაკეთება ამაო საქმეა-მეთქი. მიუხედავად ამისა, შემოგთავაზებთ რამდენიმე ბმულს, რომლებმაც დროის გამოცდას ჯერჯერობით გაუძლეს, ასევე, დამატებით საკონტაქტო ინფორმაციასაც.

ბი-ბი-სის განათლების საინფორმაციო სამსახური

მის.: ბი-ბი-სი, უაით-სითი

201 ვუდ ლეინი

ლონდონი W12 7TS

www.bbc.co.uk/learning/ da_www.bbc.co.uk/learning/subjects/history.shtml

ბი-ბი-სის ვებ-საიტი საკმაოდ მოცულობითი და სასარგებლო რესურსია. ამის შესახებ ლაპარაკი მე-60 იდეაშიც გვქონდა.

ბრიტანეთის მუზეუმის საგანმანათლებლო დეპარტამენტი

გრეით რასელის ქუჩა

ლონდონი WC1B 3DG

www.thebritishmuseum.ac.uk/ დაwww.thebritishmuseum.ac.uk/education/teachers/home.html

მაშინაც კი, თუ ბრიტანეთის მუზეუმის სანახავად ხელი არ მიგიწვდებათ, მისი ვებ-საიტი ფასდაუდებელ სამსახურს გაგიწევთ. ეს ჩინებული ონლაინრესურსი მოიცავს საბავშვო „კომპასს“, სადაც სპეციალური ონლაინტურებია სხვასასხვა საგნების სანახავად, ასევე, მათი აღწერილობა, სხვადასხვა სავარჯიშო, ხმოვანი ტექსტები და ვალიური ენის განყოფილება. მოზრდილებისთვის ცალკე „კომპასის“ განყოფილებაა. აქვე ნახავთ ბმულებს ბრწყინვალედ შესრულებულ სპეციალიზებულ ვებ-გვერდებზე, როგორიცაა, მაგალითად, www.ancientgreece.co.uk

საზოგადოებრივი ტელევიზია, მეოთხე არხის პროგრამა „სკოლა“,
PO საფოსტო ყუთი 100
უორვიკი CV34 6TZ

www.channel4.com/schoolsდაwww.channel4.com/learning/teachers/programmenotes/history.html

არხი თავის ისტორიული და სასწავლო პროგრამებისთვის დამატებით ცნობებს გთავაზობთ. ახლა უკვე შეგიძლიათ მათი საგანმანათლებლო პროგრამების უფასოდ ჩამოტვირთვა, ოღონდ მანამდე თქვენს კომპიუტერზე სპეციალური ინტერნეტპროგრამა უნდა დააყენოთ. გარდა ამისა, აქვე არის გამოწერის სისტემა, რომელიც 250-მდე ვიდეოკლიპზე მოგცემთ დაშვებას. და, რა თქმა უნდა, „დროის მანქანის“ ვებ-გვერდი, თავის მხრივ, საკმაოდ სასარგებლო არქეოლოგიურ ინფორმაციასა და ისტორიულ თამაშებს გთავაზობთ.

ინგლისის კულტურული მემკვიდერობის ფონდის საგანმანათლებლო სამსახური
429 ოქსფორდის ქუჩა
ლონდონი WC1R 2HD

www.english-heritage.org.uk

ფონდი უფასო საგანმანათლებლო ვიზიტების ორგანიზებას ახდენს. ამ ვებ-საიტის სასწავლო რესურსების სექციაში ონლაინფოტოკოლექციას ნახავთ, ასევე, მონაცემთა ბაზებსა და „ბავშვების ზონას“ ანიმაციითა და თამაშებით.

პორტრეტების ეროვნული გალერეის საგანმანათლებლო დეპარტამენტი
სენტ-მარტინის მოედანი

ლონდონი WC2H 0HE www.npg.org.uk

ამ ვებ-საიტს საგანმანათლებლო სექცია აქვს, სადაც ინტერაქტიურ რესურსებს ნახავთ, მაგალითად, დედოფალ ელისაბედ I-ის პორტრეტების ონლაინკატალოგს. აქვე იპოვით სასარგებლო რჩევებს მასწავლებლებისათვის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მონობის საწინააღმდეგო კონვენცია, რაც შესაბამის სურათებს ახლავს თან.

ბრიტანეთის ნაციონალური ფონდი
36 დედოფალ ანას კარიბჭე
ლონდონი SW1H 9AS

www.nationaltrust.org.uk დاwww.nationaltrust.org.uk/trusty/index.html
აქ მასწავლებლებისათვის „სწავლისა და აღმოჩენების“ სექციას ნახავთ.

გაერთიანებული სამეფოს ეროვნული არქივი

www.thenationalarchives.gov.uk
აქ იპოვით ინფორმაციას ოჯახების, დასახლებული პუნქტების, სახლების ისტორიის შესახებ, ასევე, ცნობებს სამხედრო ისტორიაზე. სექციაში „მხოლოდ ბავშვებისთვის“ ნახავთ ონლაინთამაშებს, მაგალითად, ტიუდორების ეპოქის რაინდულ ტურნირებს.

ნაწილი

15

ისტორიული ფულის „ღირებულება“

ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეებისგან სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ფულის ნომინალური და შედარებითი ღირებულების საკითხების ცოდნას მოითხოვს. წყაროებში ფულადი თანხების რაოდენობა ხშირად არის ხოლმე დაფიქსირებული, თუმცა ამ ფულის რეალური ღირებულების განსაზღვრა ძალიან რთულია, თუ ამ საკითხებში კარგად გარკვეული არ ხართ. საერთოდ, ბუღალტერიასა და საბანკო საქმეს 5000-წლოვანი ისტორია აქვს და ძველ მესოპოტამიაში იღებს სათავეს. პირველი მონეტები კი მცირე აზიაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში გაჩნდა. სხვათა შორის, ეს ძალიან საინტერესო თემაა!

ისტორიკოსებმა კარგად იციან, რომ ძველ ტექსტებში მოხსენიებული თანხის დღევანდელ ეკვივალენტში ავტომატურად გადატანა არასწორი იქნებოდა, რადგან მაშინ ფულს მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამას გარდა, ინფლაციის გამო ფასებიც ძალიან მერყეობდა ხოლმე. ინტერნეტში იპოვით ვებ-საიტებს, რომლების მფლობელებიც ირწმუნებიან, რომ შეუძლიათ „ისტორიული ფული“ დღევანდელ რეალურ ეკვივალენტში გადმოიტანონ. მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოთვლები, ჩვეულებრივ, ძალიან პრიმიტიულია, ცნობისმოყვარე მოსწავლეებისთვის ეს ინფორმაციაც შეიძლება საკმარისი იყოს.

მართალია, თქვენ ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემას, ალბათ, ვერ შევძლებ, მაგრამ ამ ნაწილის ფუნქციაა, რომ ძირითად ისტორიულ ეპოქებში ფულის რეალური ღირებულების შესახებ გარკვეული მეცნიერული ინფორმაცია მოგაწოდოთ. თავიდანვე ვაცხადებ, რომ აქ მოტანილი ინფორმაცია განზოგადებული და სკოლის პროგრამასთან მისადაგებული იქნება; ვისაც უფრო ზუსტი ცნობები აინტერესებს, ამ თემის ირგვლივ სპეციალიზებული საკვლევი პროექტი უნდა დაგეგმოს. არსებობს საუნივერსიტეტო, ისტორიული და სამეცნიერო საზოგადოებებისა და, უბრალოდ, მოყვარულთა მიერ მართული უამრავი ვებ-საიტი, სადაც ნახავთ ცხრილებს წარსული პერიოდების ხელფასებისა თუ ოჯახური ბიუჯეტის შესახებ. მათ საპოვნელად საძიებო ინტერნეტსისტემებს მიმართეთ, სადაც „ცხოვრების ღირებულებას“ ან მსგავს სიტყვებს ჩაწერთ, ისევე როგორც თქვენთვის საინტერესო პერიოდს. ურიგო არ იქნება, თუ ფულის ისტორიასთან დაკავშირებით შეიძენთ გლინ დევისის წიგნს „ფულის ისტორია: უძველესი დროიდან დღევანდლამდე“ (*A History of Money: from ancient times to the present day*, by Glyn Davies. Cardiff: University of Wales Press, 2002).

თუ გაზეთის პირველ გვერდს აკეთებთ, ხშირად მოსწავლეებს სურვილი უჩნდებათ, მასზე ფასიც მიაწერონ. პრინციპში, შეგიძლიათ ფასი საერთოდ არ მიუთითოთ, თუმცა, თუ ამის გაკეთებას მინც გადაწყვეტთ, შემდეგი რჩევების გამოყენება არ გაწყენდათ.

ძველი ბერძნები

საბერძნეთში მონეტების მოჭრა ძვ.წ.აღ.-ით VI საუკუნეში დაიწყეს. მანამდე კი ამ მიზნით რკინის ჩხირებს იყენებდნენ ხოლმე. მოგვიანებით ბრინჯაოს მონეტების დამზადება დაიწყეს, ზოგჯერ მათ მოვერცხლავდნენ კიდევაც. ალექსანდრე დიდმა ვერცხლის 10 ერთეულის ფასი ოქროს 1 ერთეულს გაუტოლა. ვერცხლის 6 *ობოლი* კი ვერცხლის 1 *დრაქმის* ეკვივალენტი იყო.

ძველი ეგვიპტელები

ბერძნების მიერ ქვეყნის დაპყრობამდე (ძვ.წ.აღ.-ით IV საუკუნის ბოლო) ძველი ეგვიპტელები ფულის მაგივრად ხორბალსა და ძვირფას ქვებს ხმარობდნენ.

კელტები

ძველი ბრიტები, სანამ ოქროს მონეტების მოჭრას დაიწყებდნენ, ფულად ერთეულად ხმლის პირებს ხმარობდნენ. უძველესი ოქროს მონეტები ძვ.წ.აღ.-ის 125 წლით თარიღდება. მოგვიანებით ვერცხლის, ასევე სპილენძისა და თუთიისგან დამზადებული დაბალი ღირებულების მონეტებიც გავრცელდა. გაცვლა-გამოცვლაში საქონელსა და მარცვლეულსც იყენებდნენ.

რომაელები

რომაელებმა თავიდან ბრინჯაოს ფირფიტების გამოყენება დაიწყეს, ძვ.წ.აღ.-ით III საუკუნიდან კი უკვე ვერცხლის მონეტებს ჭრიდნენ, რომელთა ღირებულება სხვადასხვა დროსა და ადგილას განსხვავებული იყო. რომაული მონეტარული სისტემის დიდი რეფორმა ავგუსტუსმა განახორციელა და ხმარებაში ოქროს, ვერცხლის, თითბერისა და სპილენძის ახალი მონეტები შემოიტანა.

ბრიტანეთში რომაული ფული, ძირითადად, ლეგიონერების გასამრჯელოსა და გადასახადების ასაკრეფად გამოიყენებოდა.

ეს არის რომალური მონეტების ძალიან მოკლე კლასიფიკაცია: ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ღირებულების ერთეული იყო *ასი*. ათი ასი ქმნიდა 1 *დინარს*. 25 დინარი

— 1 ოქროს *ავრეუსს*. ეს მონეტები ბრიტანეთში რომაელების წასვლიდან (ძვ.წ.აღ.-ით 410წ.) დიდი ხნის მერეც დარჩა მიმოქცევაში.

ანგლო-საქსები

ადრეულ შუა საუკუნეებში რამდენიმე ასწლეულის მანძილზე ბრიტანეთი კვლავ ბარტერული გაცვლის სისტემას დაუბრუნდა. ანგლო-საქსების პირველი ფული კონტინენტური მონეტების უბრალო ასლი იყო. VI–VII საუკუნეებში მონეტების მოჭრა კვლავ დაიწყეს, მაგრამ თავიდან მათ უფრო სამკაულების სახით იყენებდნენ. მაგალითად, სატონ-ჰუს სამარხში აღმოჩენილ გემზე ვერც ერთი ინგლისური მონეტა ვერ იპოვეს, თუმცა მრავლად ნახეს უცხოური ფული.

ადრეულ ვერცხლის მონეტას *სკეტას* უწოდებდნენ. „სკეტა“ თავიდან განძს, ძვირფასეულობას ნიშნავდა. VIII საუკუნეში ის ვერცხლის *პენიმ* ჩაანაცვლა.

აღსანიშნავია, რომ მონეტები კუნძულის მთელ ტერიტორიაზე გავრცელებული არ ყოფილა; უელსში ფულის მაგივრად ცხვარ-ძროხას იყენებდნენ და ეს სიტუაცია, ცალკეულ შემთხვევაში, XIV საუკუნემდე გაგრძელდა.

ვიკინგების ფართომასშტაბიანი შემოჭრის აღკვეთის შემდეგ ათელსტანმა მიიღო კანონი, რომელმაც ინგლისში მხოლოდ ერთი ვალუტის გამოყენება დაუშვა. ეს კანონი ახლაც ძალაშია.

ვიკინგები

ხარკს, რომელსაც ინგლისის მეფეები ვიკინგებს უსაფრთხოების სანაცვლოდ უხდიდნენ, *დანეგელდი* ერქვა, რაც, პრინციპში, რეკეტისა და გამოძალვის უძველეს მაგალითადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ. ვიკინგებმა ინგლისის მიწებზე დასახლება 865 წელს დაიწყეს, ხოლო 876-ში იორკში უკვე სამეფო დააფუძნეს. ამ სამეფოდან შემორჩენილ მწირ არტეფაქტებს შორის მონეტები, ძირითადად, ვერცხლის პენი ჭარბობს.

ინკები, აცტეკები და მაია

ინკები ფულს არ იცნობდნენ, თუმცა ბევრი ოქრო და ვერცხლი ჰქონდათ. ესპანელების გამოჩენამდე მაია და აცტეკები უკვე იყენებდნენ ოქროს, რასაც ფრინველის გამჭვირვალე ფრთის ღეროებში ინახავდნენ. დიდი თანხების გადასახდელად კი კაკაოს მარცვლებს იყენებდნენ, რასაც სპეციალურ ტომსიკებში ათავსებდნენ, სადაც 24 000-მდე მარცვალი ეტეოდა.

აქ შემოგთავაზებთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც ძალიან გამოგადგებათ მაშინ, როცა ბავშვები, ცოტა არ იყოს, უხერხულ შეკითხვებს დაგისვამენ, რაც არც თუ იშვიათად ხდება ხოლმე!

შუა საუკუნეები

ამ პერიოდის კარგად ცნობილი მონეტაა *გროუთი*. ის მეფე ედუარდ I-მა 1279 წელს შემოიღო, თუმცა თავიდან ისეთი მაღალი ღირებულება ჰქონდა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ფაქტობრივად არ გამოიყენებოდა. ამიტომ ედუარდ III-ის ეპოქამდე, XIV საუკუნის შუა წლებამდე, ბრუნვიდან ამოიღეს. ედუარდ I-მა ხმარებაში *ნახევარპენიანი* და *ფარტინგიც* შემოიტანა, რადგან პენი, ჩვეულებრივ, დღიური სარგო იყო ხოლმე და უფრო დაბალი ღირებულების მონეტების მწვავე საჭიროება არსებობდა.

ტიუდორები

ჰენრიხ VII-მ 1489 წელს ინგლისური *გირვანქა (ფუნტი) სტერლინგის* მონეტა გაუშვა ბრუნვაში, 1504 წელს კი *შილინგი* შემოიღო.

სტიუარტები

აქამდე შემორჩენილი ყველაზე ძველი ბრიტანული ჩეკი 1659 წლითაა დათარიღებული. დაახლოებით ამავე პერიოდში ხმარებაში შემოვიდა პირველი ბანკნოტებიც. 1663 წელს დაიწყო *გინეის* მოჭრა, რომელიც თავიდან 1 ფუნტის ეკვივალენტი იყო, მერე კი 21 შილინგს გაუტოლდა.

1694 წელს დაფუძნდა ინგლისის ბანკი, ერთი წლის შემდეგ კი – შოტლანდიის ბანკი. 1707 წლიდან, ინგლისისა და შოტლანდიის სამეფოების გაერთიანების შემდეგ, გაერთიანებულ სამეფოში მიმოქცევაში ერთიანი ვალუტაა. გაუქმებული შოტლანდიური ფულის ერთეულებია: *ბოდლი* (2 პენი), *პლაკი* (2 ბოდლი), *ბაუბი* (3 ბოდლი), *შილინგი* (3 ბაუბი) და *მერკი* (13 შილინგი და 4 პენი).

ინდუსტრიული ბრიტანეთი

XVIII საუკუნის ბოლოს ბრიტანეთში სპილენძისა და ვერცხლის დეფიციტმა ბევრი ფირმა აიძულა, გაცვლა-გამოცვლა უცხოური მონეტებითა და არაოფიციალური ჟეტონებით განეხორციელებინა.

1816 წელს ოქროს ეტალონი შემოიღეს და გირვანქა სტერლინგის ღირებულების ახალი ოქროს მონეტა მოჭრეს, რომელსაც *სოვერენი* დაარქვეს. 1820 წლიდან ვერცხლის პენის უკვე არ აწარმოებდნენ. 1849 წლიდან ორშილინგიანი მონეტა შემოდის, რომელსაც *ფლორინი* ერქვა და ხშირად „ორბობიან ნაგლეჯსაც“ უწოდებდნენ („ბობი“ შილინგის მეტსახელი იყო). გროუთი კი მაშინ 4 პენსს უდრიდა და უკანასკნელად 1855 წელს მოიჭრა.

XX საუკუნის ბრიტანეთი

1914 წელს ახალი 10-შილინგიანი და 1-ფუნტიანი ბანკნოტები იბეჭდება, ოქრო კი მიმოქცევიდან გადის. დაკანონდა საფოსტო გადარიცხვები. 1971 წელს კი ვალუტის სტანდარტიზაცია განხორციელდა.

გირვანქა, გინდათ ფუნტი სტერლინგები, შილინგები და პენსები ბრიტანეთში საბაზისო ფულადი ერთეული იყო და, ჩვეულებრივ, აღინიშნებოდა შემდეგი სიმბოლოებით (შესაბამისად) - **£**, **s** და **d**. გირვანქა სტერლინგის აღმნიშვნელი სიმბოლო ლათინური *librum*-ის პირველი ასოდან მომდინარეობს და ძველ რომში წონის ერთეულს აღნიშნავდა; **s** შილინგის (ან *solidus*-ის) აბრევიაციაა, **d** კი *denarius*-ს აღნიშნავს, რაც ძველრომაული მონეტა იყო.

- 1 შილინგი, ჩვეულებრივ, 12 პენსს უტოლდებოდა. თუმცა არა ყოველთვის.
- 1 გირვანქა სტერლინგში 240 პენსი შედიოდა-.
- 1 გირვანქა სტერლინგი 20 შილინგისგან შედგებოდა.
- გინეა, ჩვეულებრივ, 21 შილინგს უტოლდებოდა.
- მერკი — 13 შილინგსა და 4 პენსს.
- ნობლი — 6 შილინგსა და 8 პენსს.
- ქრაუნი — 5 შილინგს.
- ნახევარქრაუნიანი მონეტა — 2 შილინგსა და 6 პენსს.
- ფლორინი — 3 შილინგს.
- სხვა მონეტები იყო: 6-პენსიანი, 3-პენსიანი, 2-პენსიანი, ნახევარპენსიანი და ფარტინგი (პენსის მეოთხედი). ამ მონეტებს ბევრი სხვადასხვა სახელი ჰქონდა.

1971 წლის თებერვალში ბრიტანეთმა საკუთარი ვალუტის სტანდარტიზაცია მოახდინა. მას შემდეგ 1 გირვანქა 100 პენსისგან შედგება. ერთფუნტიანი მონეტები 1983 წელს გამოუშვეს, ხოლო იმავე ღირებულების ბანკნოტების ბეჭდვა 1988 წელს შეწყდა (შოტლანდიის გარდა).

სასარგებლო ცნობები

ისტორიის რაც უნდა დიდი სპეციალისტი იყოს, ადამიანების უმრავლესობას ცოდნაში გარკვეული ხარვეზები მაინც აქვს ხოლმე. აქ შემოგთავაზებთ ბრიტანეთის მონარქების სიას, რაც შეიძლება გაკვეთილების დაგეგმვაში ფრიად გამოგადგეთ და მაშინაც, როცა რომელიმე გონებამახვილი მოსწავლე თავის კითხვებით ჩაგეძიებათ! ნუსხაში პირველი ედუარდ აღმსარებელია, რადგან საშუალო სკოლაში ბავშვები ისტორიის შესწავლას სწორედ მისი მმართველობიდან იწყებენ. ამ სიაში შეყვანილია შოტლანდიის მეფეები და უელსის მმართველები, რომლებიც ინგლისელი მეფეების პარალელურად მოღვაწეობდნენ.

ესექსის (განახლებული) დინასტია	
ედუარდ აღმსარებელი	1042-66
ჰაროლდ II	1066
ნორმანდიული შტო	
უილიამ I დამპყრობელი	1066-87
უილიამ II რუფუსი	1087-1100
ჰენრიხ I	1100-35
სტეფანი	1135-54
მატილდა იმპერატორი	1141
პლანტაგენეტები, ანგევინის შტო	
ჰენრიხ II	1154-89
რიჩარდ I ლომგული	1189-99
ჯონი	1199-1216
ჰენრიხ III	1216-72
ედუარდ I გრძელფეხა	1272-1307
ედუარდ II	1307-27
ედუარდ III	1327-77
რიჩარდ II	1377-99
პლანტაგენეტები, ლანკასტერის შტო	
ჰენრიხ IV ბოლინგბროკი	1399-1413
ჰენრიხ V	1413-22
ჰენრიხ VI	1422-61

პლანტაგენეტები, იორკის შტო

ედუარდ IV	1461-70
	1471-83
ედუარდ V	1483
რიჩარდ III	1483-85

ტიუდორები

ჰენრიხ VII	1485-1509
ედუარდ VI	1547-53
ლედი ჯეინ გრეი	1553
მარია I	1553-58
ელისაბედ I	1558-1603

სტიუარტების დინასტია

ჯეიმს I	1603-25
ჩარლზ I	1625-49

თანამეგობრობა

ოლივერ კრომველი	1649-58
რიჩარდ კრომველი	1658-59 1658-59

სტიუარტების (აღდგენილი) დინასტია

ჩარლზ II	1660-85
ჯეიმს II	1685-88

ორანელებისა და სტიუარტების დინასტია

უილიამ III, მარია II	1689-1702

სტიუარტების დინასტია

ანა	1702-14

ბრუნსვიკების დინასტია, ჰანოვერის შტო

ჯორჯ I	1714-27

ჯორჯ II	1714-27
ჯორჯ II	1727-60
ჯორჯ III	1760-1820
ჯორჯ IV	1820-30
უილიამ IV	1830-37
ვიქტორია	1837-1901
საქს-კობურგ-გოთას დინასტია	
ედუარდ III	1901-10
ვინძორეგის დინასტია	
ჯორჯ V	1910-36
ედუარდ VIII	1936
ჯორჯ VI	1936-52
ელისაბედ II	1952-დღემდე
დუნკან I კეთილი	1034-40
მაკბეტი	1040-57
ლულახ უბრალო	1057-58
მაკოლმ III დიდთავა	1058-93
დონალდ III	1093-94
დუნკან II	1094
დონალდ II (თანამმართველი)	1094-97
ედმუნდი (თანამმართველი)	1094-97
ედგარი	1097-1107
ალექსანდრე I მრისხანე	1107-24
დევიდ I წმინდა	1124-53
მალკოლმ IV მორწმუნე	1153-65
უილიამ I ლომგული	1165-1214

ალექსანდრე II	1214-49
ალექსანდრე III	1249-86
მარგარეტ ნორვეგიელი	1286-90
უმეფობა	1290-92
ჯონ ბალიოლი	1292-96
უმეფობა	1296-1306
რობერტ I ბრიუსი	1306-29
დევიდ II	1329-32
ედუარდ ბალიოლი	1332-38
დევიდ II (ისევ)	1338-71
რობერტ II	1371-90
რობერტ III	1390-1406
იაკობ I	1406-37
იაკობ II	1437-60
იაკობ III	1460-88
იაკობ IV	1488-1513
იაკობ V	1513-42
მარია, შოტლანდიის დედოფალი	1542-67
იაკობ VI (რომელიც ინგლისისა და უელსის ტახტზე იაკობ I-ის სახელით ადის)	1567-1625

უელსის მმართველები

გრუფუდ აპ ლიველინ გვინედი	1039-63
რის აპ ტეუდურ დეჰებარტი	1075-93
გრუფუდ აპ კინან გვინედი	1081-1137
ოვაინ გვინედი	1137-70
ლორდ რისი, უელსის ოვერლორდი	1170-97
ლიველინ დიდი	1196-1240
დაფუდ აპ ლიველინი	1240-46
ლიველინ II	1246-82

ეროვნული სასწავლო გეგმის ისტორიული ნაწილი აგიხსნით, რა ცოდნა და უნარები უნდა მიიღონ მოსწავლეებმა თითოეულ დონეზე. აქ ყველაფერ ამას ძალიან მოკლედ შემოგთავაზებთ, რაც ბავშვების წინსვლის შეფასებას გაგიიოლებთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა საეჭვო საკითხზე წინასწარ კონსულტაცია შესაბამის ოფიციალურ პირთან გაიაროთ, რადგან თითოეული დონე კონკრეტული უნარების განვითარება-ჩამოყალიბებას საჭიროებს, აქ კი ეს ინფორმაცია მოცემულია ძალიან მოკლე ფორმატში.

- დონე 1: წარსულის მნიშვნელობის აღიარება საკუთარ და სხვების ცხოვრებაში.
- დონე 2: წყაროებზე დაყრდნობით მარტივი დაკვირვებების გაკეთების ცოდნა.
- დონე 3: მოვლენების, ადამიანებისა და ცვლილებების გახსენება და აღწერა.
- დონე 4: რაიმეს აღწერა და ქრონოლოგიურად დალაგება სტრუქტურირებულ წერით ნამუშევარში.
- დონე 5: წყაროების ზოგადი შეფასება.
- დონე 6: წყაროების კრიტიკულად შეფასება და საკუთარი ნაშრომის ანალიზი.
- დონე 7: დამოუკიდებელი მოკვლევის ჩატარება და ჯეროვანი დასკვნების გამოტანა.

დაჯილდოებული მოსწავლეებისთვის ზოგჯერ VIII დონეც არის დაშვებული, ყველაზე ნიჭიერებისთვის კი „განსაკუთრებული მაჩვენებლის“ კატეგორია.

I–II-კლასელები I, II და III დონეებზე მუშაობენ. 7 წლის ასაკის მოსწავლეები II დონის უნარებს უკვე უნდა ფლობდნენ.

III–VI-კლასელები, ძირითადად, II–V დონეებზე მუშაობენ. 11 წლისთვის კი IV დონის უნარებს უნდა ფლობდნენ.

VI–IX-კლასელების უმრავლესობა III–VII დონეების მოთხოვნებს ეუფლება. 14 წლისთვის კი მათ V ან VI დონის უნარები უნდა ჰქონდეთ.

აქ ძალიან შემჭიდროებულ, მაქსიმალურად მოკლედ გთავაზობთ სხვადასხვა ცნობებსა და ინფორმაციას, თუმცა სავსებით საკმარისს, რათა ამა თუ ეპოქაში გამოცემული ‚გაზეთის' ფასი გამოთვალოთ! თუ რომელიმე კონკრეტული თარიღისთვის უფრო ზუსტი ინფორმაცია გესაშჭიროებათ, ინტერნეტში ბევრი შესაბამისი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ. მათგან ყველაზე სანდო საუნივერსიტეტო და სამუზეუმო ვებსაიტებია.

ძველი საბერძნეთი

მუშის დღიური გასამრჯელო	2 ობოლი
აკროპოლისის არქიტექტორის დღიური სარგო	1 დრახმა (6 ობოლი)

რომაელები

ჯარისკაცების ყოველწლიური ხელფასები იმპერატორ ავგუსტუსის დროს, ჩვ.წ.აღ.-მდე 27-16 ჩვ.წ.აღ-ით

რიგითი	225 დინარი
ცენტურიონი	3 750 დინარი

ჯარისკაცების ყოველწლიური ხელფასები იმპერატორ კარაკალას დროს, 211-217 წწ.

რიგითი	750 დინარი
ცენტურიონი	12 500 დინარი

IV საუკუნე

მოდური ფეხსაცმლის 1 წყვილი	150 დინარი
ქალის ჩექმების 1 წყვილი	60 დინარი
ღორის ხორცის 1 გირვანქა	12 დინარი
საქონლის ხორცის 1 გირვანქა	8 დინარი

შუა საუკუნეები

ამ პერიოდში ფასები დიდწილად ამა თუ იმ გარემო ფაქტორებზე იყო დამოკიდებული, მაგალითად წინა წლის მოსავლიანობაზე. საქონლის ღირებულება მისი ასაკითა და ზომებით განისაზღვრებოდა, ასევე სხვა მახასიათებლებითაც. მაგალითად, ისეთი კატის ფასი, რომელსაც უკვე ჰყავდა თაგვი დაჭერილი, ორმაგდებოდა — 2-დან 4 დინარამდე! ამავე დროს, საერთოდ, ნივთებს ნაკლებად ყიდულობდნენ ხოლმე - ბევრ საგანს თავად ოჯახში აწარმოებდნენ.

ედუარდ I–ის მეფობის წლები

ხარი ღირდა	10-12 შილინგი
ბატკანი	10-12 პენსი
ბატი	3 პენსი
იხვი	1 პენსი
20 კვერცხი	1 პენსი

მე-14 საუკუნე

ხილის ჩირის 1 გირვანქა	1-4 პენსი
ღვინის 1 გალონი	4-8 პენსი
ფეხსაცმელების 1 წყვილი	4-6 პენსი

ტიუდორები და სტიუარტები

(ძალიან ზერელე მიმოხილვა)

- 1400 და 1500 წლებში ფასები თითქმის ერთნაირი იყო.
- 1540 წელს ფასები თითქმის გაორმაგდა.
- 1560 წელს კი, 1500-სთან შედარებით, გასამმაგდა.
- 1600 წლისთვის თითქმის გაოთხმაგდა.
- 1620-ში უკვე 5-ჯერ მეტი იყო 1500 წელთან შედარებით.
- 1640-ში კი ხუთნახევარჯერ მეტი.
- 1680-ისთვის ცოტათი შემცირდა.
- 1700 წლისთვის ფასები უკვე 6-ჯერ აღემატებოდა 1500 წლის მაჩვენებლებს.

1500 წელს მუშის საშუალო დღიური გასამრჯელო იყო 5 პენსი, 1600 წელს კი 1 შილინგი.

დედოფალ ელისაბედ I–ის ეპოქა

ღირებულება დიდწილად გასაყიდი საქონლის ხარისხზე იყო დამოკიდებული, თუმცა, უხეშად რომ მოვხაზოთ, დაახლოებით ასეთი იყო.

ფერმერის სახლის ატრიბუტიკის ფასები ასე გამოიყურებოდა:

ქვაბი, ჭურჭელი და საბერველი	1 შილინგი
თითბერის საგნები — ტაშტი, 3 ჩაიდანი, ქოთანი, 2 ტაფა, 2 შანდალი	16 შილინგი
კალის საგნები — 2 ქვაბი, 4 თეფში, 1 ლამბაქი, 1 სამარილე	5 შ, 4 პენსი
უბრალო საწოლი, მუთაქა და საბანი	12 შილინგი
ძველი საწოლი, სკივრი და ხელსაბანი	3 შილინგი
1 ძროხა და 2 ახალგაზრდა ხარი	2 გირვანქა, 10 შ
მსხვილი ვაჭრის წლიური შემოსავალი	100 გირვანქაზე მეტი
მოახლის წლიური გასამრჯელო	4 გირვანქაზე მცირე
დურგლის ყოველკვირეული გასამრჯელო	5 შილინგი
შაქარი	0.5 ქრაუნი
ქიშმიში და მოცხარი	6 პენსი
ამბრის 1 უნცია	1 პენსი
1 პური	3-4 პენსი
კარგი ჩექმის 1 წყვილი	4-10 გირვანქა

ტიუდორების ეპოქის ფეოდალის სასახლის წლიური ხარჯები, დაახლ., 1 000 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა.

სტიუარტების ეპოქა: 1625

საუკეთესო ყველის 1 გირვანქა მაღაზიასა და ბაზარში	2½ პენსი
საუკეთესო ბატკნის ხორცის მეოთხედი გირვანქა	1 შ, 4 პენსი
ქონის სანთლის 1 გირვანქა	4 პენსი
1 ცარიელი ოთახის ყოველკვირეული ქირა	4 პენსი

ბამბის ტანსაცმლის 1 ხელი	15 შილინგი
ტილოს ტანსაცმლის 1 ხელი	7 შ, 6 პენსი
კაცის ჩექმების 1 წყვილი	9 შილინგი
პატარა ჩაიდანი	10 შილინგი

1700-იანები

1 დღის სამყოფი ნახშირი	1 პენსი
1 პური	1 პენსი
სამხარი (პური, ყველი ლუდი)	3 პენსი
1 გირვანქა ყველი	4-6 პენსი
1 გირვანქა თმის პუდრი	5 პენსი
ბუხრის საკვამურის გაწმენდის ღირებულება	6 პენსი
საგზაო გადასახადი ოთხცხენშებმულ ოთხთვალაზე	8 პენსი
1 გირვანქა კარაქი	8-10 პენსი
სადილი (საქონლის ხორცი, პური, ლუდი და ფეხის ქირა)	1 შილინგი
არომატული საპნის 1 გირვანქა	1 შილინგი
გასახადი ერთ ფანჯარაზე 12-ფანჯრიან სახლში (1762)	1 შ, 6 პენსი
კარგი ფეხსაცმლის 1 წყვილი	7 შილინგი
შავი მუშის ყოველკვირეული გასამრჯელო	9 შილინგი
დოქტორ ჯონსონის ლექსიკონის ფასი 1756-ში	10 შილინგი
ახალგაზრდა ხელოსნის ყოველკვირეული შემოსავალი (1777)	18-22 შ
ხავერდის ბრიჯები (შარვალი)	1 გ, 10 შ
იუნგას წლიური გასამრჯელო გემზე	2 გ, 10 შ
მოახლეს წლიური გასამრჯელო	6-8 გირვანქა
ლაქიას წლიური გასამრჯელო	8 გირვანქა
სახლის დაქირავების წლიური საფასური	10 გირვანქა
ოჯახის შენახვის ღირებულება წელიწადში	40 გირვანქა

ვიქტორიანული ეპოქა

ადამიანების სხვადასხვა სოციალური კლასებისთვის განკუთვნილ საქონელს შორის ფასები რადიკალურად მერყეობდა. იმდროინდელ ფასებზე ინფორმაციას ბევრ სახელმძღვანელოში იპოვით, აქ შემოგთავაზებთ იმ პროფესიების ადამიანების შემოსავალსა და ხელფასზე ინფორმაციას, რამაც შეიძლება სწავლის პროცესში დაგაინტერესოთ.

მე–19 საუკუნის შუა პერიოდი

მღვდლის წლიური შემოსავალი	40-50 გირვანქა
ლონდონელი მუშის ყოველკვირეული გასამრჯელო	20 შილინგი
ინჟინრის წლიური გასამრჯელო	100 გირვანქა
მოახლის წლიური გასამრჯელო	11-14 გირვანქა
მზარეულის წლიური გასამრჯელო	11-50 გირვანქა
კამერდინერის წლიური გასამრჯელო	60 გირვანქა

მე–19 საუკუნის ბოლო

მოახლის წლიური გასამრჯელო	12-22 გირვანქა
კამერდინერის წლიური გასამრჯელო	70 გირვანქა

მეოცე საუკუნის დასაწყისი

ამ პერიოდის შესახებ ინფორმაცია ბევრად უფრო ხელმისაწვდომია, ასე რომ, ძალიან მოკლე სიას შემოგთავაზებთ:

3 გირვანქა შაქარი	5 პენსი
ნახევარი გირვანქა ჩაი	8 პენსი
1 პინტა ლუდი	2 პენსი
მუშის დღიური გასამრჯელო	4-5 შილინგი